

გივი კალატოზიშვილი

აშერიანის
გამოქანილი



გივი ქალატოზიშვილი

აშურიანის გამოძახილი

ეძღვნება მეტენის
აგურის ქარხნის
50-ე წლისთავს

თბილისი
1999

„մելուրած ոյ ճագագօնիցը, մա՛ս,
ճագագօնիցը իշխան Անդրբաշնակ
սատաց, իշխան Անդրբաշնակ սամարկազնու
ճա ոյ ասեա, ռաճակաց յենք յենք
ճագամպարտ իշխան ավագու, իշխան
մյութմաս” (օլուած).

Րապ լրու ցածու, և յալ պարու մերմած վարութեատ յարենուսա ճա մուսո
և կելուցան կոլայէլուցուս մշամածուս Մրումուտ ճալուցն, առու, ուրմուցու
վլուս վոնատ մոմենդարու մուզլենեն ճա վարչիցը աս յմլուցա. մուժուս աճամունեն
ճա մատուս յրտաճ ամ ճալուտա ցուցեալու մունիցը օւչ, զուսաց ցուրտա ռամ մանց
անսուց. յաց վարունարժեն ճա ճացայկալուն տառեն, ռոմլումաց յաշնին
մուշումած մուշումած մուշումած յարենուսա յարեն.

„ամերանուս ցամունանուն յամացուս յամացուս մուշումած մուշումած
և նանածուս ճալութալուն վրւուլու ասանցա, մագրամ ալուատ ծեւրու ռամ ար ոտքա
յարենուս ցերութեալուն ճա մուսու մուշումած մուշումած մուշումած յամացուս
տուտույլու մուշումացուս նամացար-նամուզավարունան.

Ճայ, մասաւուն իշխան տանամուանը յամացուս, ոյ յար մուշումած յամացուս մուշումած
մատուցուս օւս, րապ յամացուս տանամուանը յամացուս, մագրամ ալուատ ծեւրու ռամ ար ոտքա
յարենուս ցերութեալուն յամացուս յամացուս մուշումած մուշումած յամացուս
մուշումած մուշումած յամացուս յամացուս մուշումած մուշումած յամացուս յամացուս.

Ճալուրու

ՐԵԴԱՅԻՒԹՈՐՈՒ: ԸՆԱԼՈՒ ԶԱՏԱՑՅՈՒՆՈ

ՐԵՎԵՆՑԵՆՑԻՒՐՈՒ: ՑՈՂԱՑՈՒ ԿՐԱՑԱՑՅՈՒՆՈ
ԱՅՈՒՆԱՆ ՔԱԼԱԿԱՋԱ

პერამიგის სიპათა

თიხის ნაწარმს ადამიანი უხსოვარი დროიდან იყენებდა. პირველ ხაებში თიხას ნედლი სახით იყენებდნენ, როგორც დუღაბს. აგრეთვე თიხასხმულ და თიხატკეპნილ ნაგებობებში ბუნებრივ ან სილასთან თუ ბზესთან შერეულ ძღვომარეობაში. შემდეგ ადამიანებმა გაიგეს, რომ თიხის ცომისაგან დამზადებული ალიზი, ცეცხლში გამოწვის შედეგად ქვისებრ პროდუქტს იძლევა... და თიხა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მასალად იქცა. ამ აღმოჩენამ უდიდესი სამსახური გაუწია კაცობრიობის კულტურულ წინსვლას. შიხვებზე აღმა თიხის გადასაცემად იყო მასალად იქცა.

ლიტერატურულ წყაროებში შეხვდებით, რომ ჩინეთში თიხის მარაგს შვილისშვილისა შვილთაშვილისათვის წინაპრები ამზადებენ. აყოვნებენ, რათა უკეთესი ნაწარმი შექმნან.

საქართველოში მოძიებელი კერამიკული ნაწარმი მეტყველებს, რომ ქართველი კაცის მარჯვენას ბევრი ნიმუში აქვს შექმნილი, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზეა შესრულებლი.

მცხეთის, თრიალეთისა და გასპის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია კერამიკის წარმოების საუკეთესო ნიმუშები, რომელთაც 3000-4000 წლის ისტორია აქვთ. ამ ნიმუშების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ქართველებს უხსოვარი დროიდან სცოდნიათ თიხის დამუშავების ტექნიკა და ყვარებათ თიხის ძერწვა.

ხოვლე გორაზე აღმოჩენილია უნიკალური ისტორიული მასალები, რომელიც განეკუთვნება ძვ. წ. აღ. მეთხუთმეტე-პირველ საუკუნეებს. მაღალ დონეზე მდგარა კერამიკის წარმოება. აღმოჩენილია თიხის ჭურჭელი-დერგები, ჯამ-ფიალები, ისიც დასტურდება, რომ ზოგჯერ ხოვლური კერამიკა უფრო მაღალი ხარისხისაა, ძირითადად მისდევდენ შავ-ლეგა, მორუხო, შავ, ცოტა გვიან, მოწითალო და წითელი ფერის გამოწვის წესს.

ხოვლეს უმაღლესი ხარისხის კერამიკული მასალის წარმოებას ხელი შეუწყო მის მიდამოებში მდიდარი, მაღალხარისხოვანი თიხა-მიწის მოპოვებამ, თიხის მდიდარი მარაგის არსებობამ.

— ხოვლური საამშენებლო თიხა მიწა გამოყენებულია სამთავისის ძეგლის (1030 წ.) აღმშენებლობის დროს.

ცნობილი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის სტრაბონის ცნობით, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისშივე საქართველოს ქალაქებსა და დაბებში სახლები კრამიტით ყოფილა დახურული. ეს ცნობილი დაცხის ინტერიერის უცნობი მოძრავის შეცვერის შეცვერის – სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ სამარხებში ნაპონია საუცხოლო გაქოთხული გამომწვარი დიდი ზომის აგურისა და ორგვარი მოყვანილობის კრამიტის ცალები. მათი წყალობით ახლა ზედმიწევნით ვიცით იმ სამშენებლო მასალის თვისება“ (ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია)

მცხეთისა და თბილისის კერამიკული საწარმოები დღესაც საყიფაცხოვრებო და სამშენებლო კერამიკის საუკეთესო ნიმუშებს უშვებენ. ქალაქებსა და სოფლებში დღესაც შეცვდებით ქართველი კაცის ნახელავი კრამიტით დახურულ სახლებს.

აშურიანის თიხები კერამიკული წარმოებისათვის საუკეთესო მასლაა. მდინარე მტკვრის ნაპირზე (იქ, საღაც ახლა მელორეობის ფერმებია) ექსკავატორის ციცხვს არა ერთხელ მოსდება თიხის ჭურჭლის ნამსხვრევები. ჩემი ამ უბაზე მუშაობის პერიოდში მინახავს თიხის ამოღების დროს გატეხილი თიხის ჭურჭელი, რომელიც 8-15 მეტრის სიღრმეში იყო ჩამარხული. ეს მრავალზე მეტყველებს. რაც, ბუნებრივად, ცალკე შესწავლის საგანია.

აშურიანის თიხების სიკეთე, განსაკუთრებით კი მეტეხის მიღდამოებში, არ გამორჩენია ჩვენს მამა-პაპას და გადაუწყვეტია კერამიკულ ნაკეთობათა წარმოება.

30-იან წლებში მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე ხიდთან ახლოს ჩნდება კუსტარული ტიპის საწარმო არტელი, საღაც ინჟინერ-ტექნიკოვ ფიცხელაურის მიერ მუშავდება საწარმოს გაფართოება – მშენებლობის პროექტი, რის საფუძველზეც კასპის რაიალმასკომის 1934 წლის 12 ოქტომბრის № 150 ბრძანების შესაბამისად დაიწყო მეტეხის კერამიკული ქარხნის მშენებლობა (საქ. 2. ფ. 62). მშენებარე ქარხნის ხელმძღვანელად დაინიშნა ჯერ ი. ჭალიაშვილი, ხოლო შემდეგ – ირაკლი მაღალაშვილი.

საქ. სახკომსაბჭოს 1939 წლის 4 დეკემბრის № 2291 დადგენილების შესაბამისად გამოიყო კომისია ქარხნის მიღება-ჩაბარებისთვის გიგ ქსოვრელის, ლეო მაჭავარიანის, მიხეილ ჯანჯალაშვილის, თეიმურაზ მელიქოვის შემადგენლობით (საქ. 5 ფ. 19).

კასპის რაისაბჭოს აღმასკომის 1940 წლის 11 იანვრის № 2 ბრძანების შესაბამისად მეტეხის კერამიკული წარმოების კრამიტის ქარხანა შევიდა ექსპლოატაციაში (საქ. 5 ფ. 19).

1941-1943 წ.წ. საარქივო მასალები ჯერ მოკვლეული არ არის.

გიგანტის პრინციპები

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მეტეხის კერა-
მიკულმა ქარხანამ ახალი პერსპექტივები დასახა. დირექტორმა ივანე
დიაკონიძემ თავი მოუყარა საწარმოო ძალებს. დაკომპლექტა კად-
რები, შეიძინა გამწევი ძალა — ორი კამეჩი, ხის მასალა, შეშა, ნავთი,
შეაკეთა კერამიკის გამოსაწვავი ღუმელი, კრამიტის საშრობი ფიცარ-
ნაგები, შტაბელები, თიხის დასალბობი ორმო. იზრუნეს სოფელ
მეტეხიდან სასმელი წყლის გამოყვანაზე, თიხის ახალი კარიერის
გახსნაზე და სხვა.

ქარხანამ დაიწყო კერამიკულ ნაკეთობათა წარმოება.

მშვიდობიანმა ცხოვრებამ ახალი საზრუნავი გაუჩინა მოსახ-
ლეობას. უფრო მეტ კრამიტს, თონებს, ჭურჭელს მოითხოვდნენ.

ქარხანა მუშაობის ტემპებს უმატებდა და პროდუქციის წარ-
მოებაც გაიზარდა.

დირექტორი წერილობით მიმართავდა ზემდგომს, სადაც
მოითხოვდა დახმარებას წარმოების გასაფაროთოებლად.

სოფელმა, მისმა თავკაცებმა აღუთქვეს დახმარება, ქარხანაში
მომუშავეთა დიდი უმრავლესობა სოფელ მეტეხიდან იყო მუშაობდნენ
ახალქალაქელი მეჭურჭლეებიც, მუშაობა პრიმიტიული წესით
მიმდინარეობდა.

ქარხანაში სამი ძირითადი სახის პროდუქცია გამოდიოდა: ნარიმანდიანი დაშტამპული /მარსელის/, ბრტყელი-ლენტური /ქართული/ და კუთხის-ღარიანი /კურტანის/ სახის კრამიტი. უშვებდა აგრეთვე თონებსა და საოჯახო ჭურჭელს. არის ცნობები, რომ გამოდიოდა აგურიც ხის ყალიბებით (ეს საქმიანობა მოკლე დროში შეწყვეტილა). ქარხანაში დასაქმებული იყო 35 კაცი. მას ჰქონდა ერთი აღმავალალიანი პერიოდული მოქმედების ღუმელი, რომელსაც საველე ღუმელსაც უწოდებენ. ღუმელის წარმადობა მთლიანად აკმაყოფილებდა გამოსაწვავი ნაწარმის მოცულობას.

თიხის დამუშავება-დაზელვა ორმხრივი წესით მიმდინარეობდა. ქართული კრამიტის, თონებისა და ჭურჭლისათვის ფეხით იზიდებოდა და ხელით ყალიბდებოდა. ხელო მარსელის ტიპის კრამიტისათვის თიხა მუშავდებოდა საზელ ვერტიკალურ კასრში, რომელიც შემორჩენილია თიხის ზელვის უძველესი მეთოდებიდან. კასრის საზელი ღერძი მოძრაობაში მოჰყავდა ცოცხალ გამწევ ძალას: ხარკამეჩის ან ცხენს.

მარსელის კრამიტის დასაყალიბებლად გამოყენებული იყო ე. წ. ექსცენტრიკული წნეხი, რომელიც ხელის ამძრავი მქნევარათი მოჰყავდათ მოძრაობაში.

მარსელის ტიპის დაყალიბებაზე დიდი ენთუზიაზმით, გულმოდგინედ მუშაობდნენ თიხის მზელავი იღია მამულაშვილი, გამომწველი გიგო წერუაშვილი, დამყალიბებელი ნიკო მაღალაშვილი, თიხის დამგუნდავებელი ოთარ შარიფაშვილი, ნაწიბურების ჩამომცლელი ნინო შარიფაშვილი, ყალიბის გამზეთი გაბრიელ (ცინცა) აზმაიფარაშვილი.

ქართული კრამიტის დაყალიბებაზე მუშაობდნენ: შანკულა გუგულაშვილი, გიორგი გზირიშვილი, მიხეილ მერაბაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი. საამქროს ხელმძღვანელობდა გულო გორგაძე.

საწარმოს ორი ძირითადი საამქრო ჰქონდა – კრამიტის დაყალიბების (საკუთარი საშრობი სტელაუებით) და გამოწვისა.

ქვეყნაში სახალხო მუსურნეობის აღდგენისა და განვითარების ხეთწლიანი გეგმით დიდი მასშტაბით ხორციელდებოდა აღმშენებ-

ლობის პროცესამა. ახალმა მშვიდობიანმა ცხოვრებამ მოითხოვა საშენ მასალათა მრეწველობის მნიშვნელოვანი გაფართოება. სამშენებლო კერამიკის განვითარება საქართველოში ახალი ეფექტური მასალების ათვისების მიმართულებით უნდა წარმართულიყო.

საშენი მასალების წარმოების ძირითადი ნედლი მასალა თიხაა. ინდუსტრიალიზაციის ამოცანა მოითხოვდა, რომ საკედლე მასალების განვითარება ძირითადად ბეტონისა და სილიკატური მსხვილი ბლოკების წარმოების ორგანიზაციის გზით წარმართულიყო. მაგრამ თიხას, აგურსა და კრამიტს ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საშენ-მასალათა მრეწველობის წამყვან სპეციალისტთა და შესაბამისი ინსტიტუტების მუშაქთა მიერ მუშავდება საქართველოში სამშენებლო კერამიკის წარმოების განვითარების პერსპექტიული გეგმები.

1946 წლიდან იწყება რესპუბლიკაში სამშენებლო კერამიკის წარმოებისათვის საჭირო ნედლეული ბაზების საკვლევაძიებო სამუშაოები თიხის მარაგის, მისი ვარგისიანობის, შემაღენლობის და თვისებათა გათვალისწინებით.

კომპეტენტურმა კომისიამ გულდასმით შეისწავლა რესპუბლიკის კარიერებზე ჩაწილილი თიხების ნაირსახეობა, ისინი ხელმძღვანელობნენ დებულებით, რომელშიც ვკითხულობთ: ამა თუ იმ ნედლეულის ბაზაზე კერამიკის ქარხნის მშენებლობა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება ამ ნედლეულის მარაგით 25 წლის მანძილზე.

„ციინუ წარმადობის პრიმიტიულად მოწყობილი ქარხნისათვის საქმარისია ნედლეულის 10 წლის მარაგი“ (ვ. იაკაშვილი, კერამიკის საშენი მასალების ტექნოლოგია, 1956 წ.).

თიხა წარმოშობილია მინდვრის შტაპის შემცველი მთის ქანების – გრანიტის, გნეისის, პორფირის, სეინიტის და სხვათა გამოფიტვის და ქიმიური დაშლის შედეგად, აგრეთვე ტემპერატურის ცვალებადობა, ატმოსფერული ზეგავლენა (ქარი, წვიმა და თოვლი) თანდათანობით

შლიან გრანტის უზარმაზარ ლოდებს და მათ უწვრილეს ნაწილაკებად აქცევენ.

ჩატარებული საკვლევაძებო სამუშაოების შედეგად, ერთობლივი და სკენების საფუძველზე განისაზღვრა თიხის ფართობები, მარაგი, შემადგენლობა, პლასტიკურობა, ქუთრი წონა და ყველა კომპონენტი, რომელიც აქმაყოფილებდა სამშენებლო კერამიკის წარმოების მოთხოვნებს.

თიხის ვარგისიანობის გამოსაკვლევად არსებობს ორი ძირითადი მეთოდი: ლაბორატორიული და საქარხნო. მეტენის თიხების შესწავლისას ორივე მეთოდი გამოიყენეს თბილისში, ლენინგრადში, ხარკოვში, მინსკში, მიღებული ერთობლივი და სკენების საფუძველზე გადაწყდა, რომ სამშენებლო კერამიკის მშრალი წნეხვის მცირე და დიდი ქარხნები აშენდეს აშურიანზე სოფელ მეტეხის ფართობებში მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს. ხიდთან ახლოს პატარა ქარხანა, ხოლო დიდი ქარხანა ამიერკავკასიის რკინიგზის მეტეხის სადგურთან.

„თიხის მასის ტენიანობის მიხედვით სამშენებლო კერამიკის ნაკეთობის დაყალიბების სამგვარი წესი არსებობს: პლასტიკური, მშრალად წნეხვის და ჩამოსხმის. აქედან მშრალად წნეხვის მეთოდი ახალია. მშრალად წნეხვის გამოსაყენებელი თიხის ასორტიმენტი გაცილებით ფართოა. იგი აყალიბებს ისეთ თიხებს, რომლის პლასტიკური მეთოდით დაყალიბება თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა და კერამიკოსებმა აგურის მშრალად წნეხვის მიმართულებით წარმართეს შეშაობა.

მშრალად წნეხვას დაყალიბების პლასტიკურ წესთან შედარებით მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს, ჯერ ერთი, რომ მშრალად დაწნეხილი ალიზი უმეტეს შემთხვევაში შრობას არ საჭიროებს. რაც მეტად ეკონომიურია. შემდეგ ისიც, რომ მშრალად წნეხვისათვის გამოსაყენებული თიხების ასორტიმენტი გაცილებით უფრო ფართო, ვიდრე პლასტიკური დაყალიბების დროს, რადგან მშრალად წნეხვას ემორჩილება ისეთი ნაკლებად პლასტიკური გადამეტჭლევებული თიხები, რომელთა დაყალიბებაც პლასტიკური მეთოდით თითქმის შეუძლებელია ან, ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია“ (ვ. იაკაშვილი).

საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებიდან გამომდინარე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საშენ მასალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს (მმართველი პატაშვილი) 1946 წლის 24 თებერვლის № 97 ბრძანების საფუძველზე ლიკვიდირებულ იქნა მოქმედი კრამიტის ქარხანა, მთელი შტატი თანამდებობრივი შენარჩუნებით გადაეცა შშენებარე მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის განკარგულებაში და დაიწყო მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხნის შშენებლობა. კრამიტის წარმოება არ შეწყვეტილა.

1946-1947 წლებში კრამიტის ქარხნის ტერიტორიაზე შემოზიდულია გერმანული წარმოების დაზგა-დანადგარები. „შპენგლერის“ ტიპის წნეხები, თავისივე ტექნოლოგიური მოწყობილობებით ე. წ. „ტროფეინი“. ამასთან ერთად შემოზიდულია სამამულო წარმოების დაზგა-დანადგარები და ტექნოლოგიური მოწყობილობანი დიდი ქარხნის შშენებლობისათვის. ყოველივე ეს იმყოფებოდა განსაკუთრებულ აღრიცხვაზე, როგორც ძირითადი საშუალებანი. მის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა კრამიტის ქარხნის დირექციას, რომელმაც შექმნა სპეციალური სამსახური სანდორ ქამხაძის ხელმძღვანელობით. სამუშაოები წარმოებდა სამშენებლო სარემონტო სამმართველოს უფროსის ვახტანგ მუხულიანის ხელმძღვანელობით, ათისთავად მუშაობდა ვალიკო ოიკაშვილი.

1947 წლიდან კრამიტის ქარხანასთან დაიწყო ნახევრად მშრალი წნეხვის აგურის საწარმოს შშენებლობა, წნეხისა და ღუმელის ტექნოლოგიური ხაზის მონტაჟით. პარალელურად მიმდინარეობდა კასპი-მეტეხის მაღალი ძაბვის ელექტრო ენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა.

აგურის მცირე საწარმო დროებით ხასიათს ატარებდა, ვინაიდან მას აგურით უნდა მოემარაგებინა დიდი აგურის ქარხნის შშენებლობა, ხოლო ჭარბ პროდუქციას მიაწვდიდა რაიონისა და რესპუბლიკის შშენებლებს. ასეც მოხდა.

ქარხნის შშენებლობას ხელმძღვანელობდნენ თანამიმდევრობით: ლევან პარკაძე, არჩილ გრიგოლაშვილი, შალვა ვარაზანაშვილი, კოტე პაპიტაშვილი.

აგურის საწარმოს პირველი მშენებლები იყვნენ: მატია, გურგენა და წყალობა შარიფაშვილები, ზაქარია, ვასილ და ვლადიმერ პატარქალაშვილები, ვლადიმერ (ლადო) გეჯაძე, ოლია გუგულაშვილი, შოთა აზმაიფარაშვილი, ვასილ გელიტაშვილი და სხვები.

მშენებლობა განსაზღვრულ დროში დამთავრდა.

პირველები შორმით ვახტაე

მშრალი წნეხვის აგურის საწარმოს ასამუშავებლად ქარხნის ხელმძღვანელობამ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად, ჩატარა კადრების მომზადების ღონისძიებანიც.

მომუშავეთა ერთი ნაწილი თბილისში – საბურთალოს და მცხეთის აგურის ქარხნებში გაგვაგზავნეს აგურის წყობის და გამოწვის შესასწავლად; დაზგა-დანადგარებზე მომუშავეთათვის ადგილზე ჩატარდა მომზადება მთავარი ინჟინირის – შალვა გიორგაძის, ინჟინერ-მექანიკოსის გრიგოლ ზუბკოვის, გამოწვის ოსტატის სტეფანე კაზადუანოვის ხელმძღვანელობით.

ჩატარდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა საწარმოს ტექნიკური კვანძების შესწავლისა და მის ასამუშავებლად. თითოეული დანადგარი მუშაობდა თავისუფალ სვლაზე მომზადების მიზნით.

დამთავრდა კასპი-მეტეხის (პირველად აშურიანზე) ტექნოლოგიური ელექტრო ხაზის და სოფელ მეტეხიდან სასმელი წყლის გამოყვანის სამუშაოები (ხელმძღვანელი გ. გორგაძე).

დირექტორმა გ. ჯაშიაშვილმა გამოსცა ბრძანება მუშა-მოსამსახურეთა დაკომპლექსებისა და აგურის საწარმოს ასამუშავებლად.

1948 წლის 9 სექტემბრის ბრძანებით განისაზღვრა კომისია: მთ. ინჟინირის შალვა გიორგაძის – კომისიის თავ-რე, მთ. მექანიკოს გრიგოლ ზუბკოვის, საწარმოოს უფროსების: გიორგი ლალიაშვილის, კოტე რამინეშვილის, გიორგი მერაბიშვილის, ანდრე ივანენკოს შემადგენლობით, რომელთაც ევალებათ ჩატარებული კაპიტალური

სახის სამუშაოების განსაზღვრა და აგურის საწარმოს ნორმალური ამუშავების მიზნით, სათანადო აქტის წარდგენა. ქარხნის ამუშავების პროცესს აკონტროლებდნენ სამინისტროსა და რაიონის წარმომადგენლები.

1948 წლის 10 სექტემბერს. ამუშავდა მეტების მშრალი წნებვის აგურის (საწარმო) ქარხანა – პირველი ქარხანა საქართველოს სამშენებლო კერამიკის წარმოების ისტორიაში.

აგურის წარმოება ორი ძირითადი (დაყალიბებისა და გამოწვის) განყოფილებისაგან შედგება, ხოლო თვითონ (მშრალი წნებვის) აგურ-კრამიტის ქარხანა ორი საამქროსაგან: კრამიტის (უფ. გ. გორგაძე) და აგურის (უფ. გ. ლალიაშვილი) წარმოებისაგან. თუ როგორ გაამართდებს მშრალი წნებვის წესით კერამიკული წარმოების ეს მეთოდი, ამას შემდეგში გავეცნობით. მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც.

როგორც ითქვა, ქარხნის ტექნოლოგიური ხაზი მარტივი ტიპისა იყო. მაგალითად, თიხის ალიზი შრომის გარეშე და არა საკმარისი ტექნოლოგიური დამუშავებით ყალიბდებოდა. თიხა ხშირად იყო ნორმაზე ჭარბი სინებტით. ასევე არ იყო ღუმელი უზრუნველყოფილი სათანადო ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

ქარხნის მოკლე ტექნოლოგიური დახასიათება ასეთია:

თიხა კარიერზე ხელით ითხრებოდა ტრანსპორტიორით აწვდიდნენ თიხის ლილვებიან მსხვრევანას შემდეგ გადადიოდა დეზინდეგრატორში. დაფქული თიხა ელევატორით იყრებოდა წნების ბუნკერში, დაწნებილი ალიზი ეწყობოდა ვაგონებზე და მიჰონდათ გამოსაწვავ ღუმელში ჩასაწყობად.

აგურის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზში პირველები დადგნენ: მწნეხავი გიორგი (ტურტა) მერებაშვილი, გიორგი შარიფაშვილი და ოთარ სეხნიაშვილი.

წნების ძირითადი მუქანიზმი უძრავი ღერძის გარეშე ბრუნვით ასრულებს მთავარ მუშაობას და 2000 ც. ალიზს აყალიბებს საათში.

თიხის მოწოდება ხდება ტრანსპორტიორით ახლო მდებარე კარიერიდან, სადაც წერაქვითა და ნიჩბით მუშაობენ მატია

შარიფაშვილი, კოსტა გუგულაშვილი, ლადო გეჯაძე, ლევან გუგულაშვილი, წყალობა შარიფაშვილი, სანდრო ბარნაბიშვილი.

თიხის დამფევავ დამჭუცმაცებელ მსხვრევანასა და დეზინ-დეგრატორზე მუშაობას ყურადღებით აკონტროლებენ დიმიტრი ტატანაშვილი, ნოდარ აზმაიფარაშვილი, გოდერი პატარქალაშვილი.

დაყალიბდა პირველი აგურები. ალიზის დამწყობები იყვნენ: ეთერ მაღალაშვილი, ტასია მამულაშვილი, კოტე ხეჩუაშვილი, ოლია გუგულაშვილი, უუშუნა გეჯაძე და სხვები. მათ პირველად უჭირდათ, მაგრამ მაინც მთელი ენერგიითა და ენთუზიაზმით აწყობენ დაწნებილ ალიზებს – ხის ძარიან რონოდაზე, რომელსაც ღუმელამდე ესტატე დათაშვილი, მურაზა პატარქალაშვილი და ილო თაბორიძე აგო-რებდნენ. მოწყობილობა-დანადგარების მუშაობას აკონტროლებდა ზეინკალი ივანე (გიძგიძა) შაქარაშვილი, დანადგარებს პოხავდა ვანო ოზმებაშვილი.

კერამიკის ნაკეთობათა გამოსაწვავად გარკვეული უპირატესობა აქვს უწყვეტი მოქმედების წრიულ უკამარო-გადაუხურავ ღუმელს, რომელსაც სხვა ღუმელებთან შედარებით წარმადობა დიდი აქვს, სამართვად ადვილია და სათბობის ეკონომიურობითაც გამოირჩევა. ღუმელის მთლიანი არხი მიწაშია ჩამჯდარი, რის გამოც სათბობის მიცემა და აგურის ჩატვირთვა-ამოტვირთვა ხდება ზევიდან.

ამ კონსტრუქციის ღუმელის აშენება ნაკარნახევი იყო იმით, რომ იგი დროებით ხასიათს ატარებდა და მის ამოცანას შეადგენდა აგურით მომარაგება მშენებარე (დიდი) მშრალი წნეხვის აგურის ქარხნისა, ხოლო ჭარბი პროდუქცია უნდა გაეგზავნა სხვა მშენებლებისათვის.

ღუმელში ალიზის ჩაწყობაზე მუშაობდნენ: თენგიზ ლარიბაშვილი, გიორგი ოდოშვილი, ელიზბარ აზმაიფარაშვილი, ოთარ შარი-ფაშვილი ესტატე დათაშვილი. მათ მიერ ირიბულად ჩაწყობილი ალიზით ღუმელის შევსების შემდეგ გერმეტულად შეფერვის სამუშაოს აწარმოებდა იოსებ ბოგველი. ღუმელის ასანთვებად პირველები დადგნენ გამოცდილი ილია მამულაშვილი, დავით გუგულაშვილი, ზაქარია პატარქალაშვილი, მიხეილ გზირიშვილი, მათ ხელმძღვანელობდა გამოწვის ოსტატი სტეფანე კაზადჟანოვი.

ცეცხლი ჯერ დაბლიდან, სპეციალურად დატანებული საცეცხლურიდან ენთებოდა შეშით (ასეთია პირველად ანთების წესი) და შემდეგ სათბობი ეძლეოდა (მაღლიდან) სპეციალურად დატანებული საცეცხლურიდან.

აგურის ამოსატვირთად და ავტო მანაქანაზე დამწყობად მუშაობდნენ: პელო მამულაშვილი, ეკატერინე (კატუშა) კალატოზიშვილი, მანია ლაფერაშვილი, იზოლდა ზუბიაშვილი, ანა და კატუშა აზმაიფარაშვილები, ეთერ იაძე და სხვები. ამ უბრალო ადამიანების ხელში გაიარა პირველმა აშურიანულმა აგურმა, პირველმა სიხარულმა, პირველმა მაცნემ სამშენებლო კერამიკის წარმოების მოამაგეთათვის, მშენებელთათვის „პურის“ მისაწოდებლად. მშენებლობაზე მიღის აგურით დატვირთული ავტო მანქანები, რომელსაც მართავენ ივანე გეჯაძე, შალვა გეჯაძე და გიორგი მარგალიტაშვილი.

აშურიანის გამოძახილმა კიდევ ერთი ისტორიული მოვლენა აღრიცხა.

მუშაობის პირველმა შედეგებმა ცხადყო, რომ აგურ-კრამიტის ქარხანაში ყველაფერი რიგზე არ იყო, ირთვებოდა ელექტრო ენერგია, მალ-მალე ჩერდებოდა დაზგა-დანადგარები. იმის გამო, რომ სრულყოფილი არ იყო ტექნოლოგიური პროცესები, სიძნელეებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ზამთრის პერიოდში, ყინვისა და თოვლის დროს ფარლალალა დაუცველ შენობა-ნაგებობაში მომუშავე საწარმოში. თითქმის მეორედ აშენდა ღუმელის გარე კედელი. ყოველივე ამაზე იმანაც მოახდინა გავლენა, რომ სრულყოფილი არ იყო ტექნოლოგიური ხაზის მუშაობა. თვით მომუშავე პერსონალს აკლდა მუშაობის გამოცდილება და სხვა.

ყოველივე ამის მიუხედავად, ქარხნის ხელმძღვანელობა პერიოდულად, სიძნელეთა წარმოქმნისთანავე ქმნის კომისიებს, მთ. ინჟინრის, მექანიკის საამქროს უფროსის, პარტორგანიზატორის, მუშაოთა კომიტეტისა და აქტივის მონაწილეობით. დასახმარებლად ჩამოდიან ზემდგომ ხელმძღვანელთა წარმომადგენლები, დირექტორთან და აქტივთან ერთად ტარდება ერთობლივი ღონისძიებანი. თანმიმდევრული ღონისძიებათა შედეგად მდგომარეობა ნორმალურ კალაპოტში დგება.

სამინისტროს, რაიონის და ქარხნის ზელმძღვანელობის ერთობლივ ღონისძიებათა შუქჩე ქარხანას 1949 წელში უნდა გამოეშვა 400 000 ცალი ხარისხიანი კრამიტი და 1 მილიონი ცალი აგური. ეს უკვე ქარხნის მთელი დატვირთვით მუშაობის ტოლფასი იყო.

უფრო შედეგიანი, ფეხბეჭდიერი გამოდგა ახალგაზრდა ქარხნის კოლექტივისათვის 1949 წელი. ქარხნის დირექტორი აქტივთან ერთად ეცექტურ ღონისძიებებს ახორციელებს. საიმედოდ ტარდება პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რის გამოც დაზგა-დანადგარები, ღუმელები, ელექტრო ხაზი შედარებით კარგად მუშაობს.

რაც შეეხება კრამიტის წარმოებას, აქ სერიოზული კორექტივები შეიტანა ელ. ენერგიის მოსვლამ. პრიმიტიული, სეზონური მუშაობიდან იგი გადავიდა მუშაობის უწყვეტ (წლიურ) ციკლზე. მამე სამუშაოს ახლა ელექტრო ძრავა ასრულებდა. ელ. ძრავით ამუშავდა კრამიტის დამყალიბებელი წესი, თიხის (სარეველა) საზელი, ელექტრო ღუმელით თბებოდა და შრებოდა სტელაჟებზე დაწყობილი კრამიტი. ელ. ძრავით შემოჰქონდათ თიხის სავსე ვაგონეტი და სხვა.

მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხანას ემატება ახალი საიმედო კადრი: ინჟინერ-ტექნოლოგები ნათელა ბალავაძე, ჯულიეტა ჯავახიშვილი, ინჟინერ-ეკონომისტი ოთარ მალალაშვილი, მთავარი ინჟინერი ვახტანგ დავითაშვილი, ზეინკალ-მექანიკოსი ილო ნავროზაშვილი, ივანე შაქარაშვილი და სხვა.

აშურიანის გამოძახილმა უპირველესად მშენებლებამდე მიაღწია. გაჩნდა მოთხოვნები სამშენებლო კერამიკის აშურიანულ ნაწარმზე. აგურითა და კრამიტით დატვირთული ავტომანქანები მიდიან კასპში, გორში, თბილისში, ქარხნების, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, სპორტული ნაგებობების და სხვათა მშენებლობაზე და, რა თქმა უნდა, აგურის ქარხნის სამშენებლო პოლიგონზე, რომელმაც ის-ის არის დაიწყო მოქმედება.

პატარა კოლექტივმა თანდათან გააუმჯობესა საფინანსო მდგრამარეობა. ქარხანა გადახდაუნარიანია. თანდათან იფარება დავალიანებები. მოწესრიგდა ხელფასის გაცემის საქმე, გამართულად და უკეთესად მუშაობს ცვლები. გაიზარდა მომუშავეთა აქტივობა.

დირექცია, პარტორგანიზატორისა და საამქროთა ხელმძღვანელობასთან ერთად ატარებს მორალურ-წამახალისებელ ღონისძიებებს, გაკეთდა საპატიო დაფა, სადაც ვხედავთ მწერების გიორგი მერებაშვილს, გაბრიელ აზმაიფარაშვილს, მუშა ეთერ იაძეს და გამომწვევლს ილია მამულაშვილს, მატია შარიფაშვილს და სხვებს.

მეტეხის (მშრალი წნევის) აგურ-კერამიკის ქარხნის სამმართველო აპარატი ახლად აშენებულ ფინანს ბინაში გადავიდა სამუშაოდ.

დირექტორი – გიორგი ჯაშიაშვილი;

მთ. ინჟინერი – შალვა გიორგაძე და შემდეგ ვახტანგ დავითაშვილი

მთ. ბუღალტერი – ვალენტინა კალაძე;

ეკონომისტი – ოთარ მალალაშვილი;

ექსპედიტორი – სიმონ ბოგველი;

მოლარე-მოანგარიშე – მოსე ლარიბაშვილი;

აგურის საამქროს უფროსი – გიორგი ლალიაშვილი;

კრამიტის საამქროს უფროსი – გულო გორგაძე;

სამშენებლო კანტორის უფროსი – კოტე რამინეიშვილი;

მთავარი მექანიკოსი – გრიგოლ ზუბკოვი;

გიგანტის შენება

ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო გრანდიოზული ამოცანები დაისახა. ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა აღმშენებლობის პროცესი, რომელიც ხალხის ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა.

– ქვეყნის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივა მოითხოვდა სამშენებლო კერამიკის ნაკეთობათა წარმოების განვითარებას. იგი ჯერ კიდევ დიდად ჩამორჩებოდა სამრეწველო, საბინაო და კულტურული მშენებლობის განვითარების სწრაფ ტემპს.

განსაკუთრებით ნაკლებად იწარმოებოდა ისეთი სამშენებლო მასალები, როგორიცაა აგური, კრამიტი. რაც, ცხადია, სრულიად ვერ აკმაყოფილებდა სამშენებლო ინდუსტრიის მოთხოვნებს. დაბალი იყო აგურ-კერამიკის ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც. გამოშვებული პროდუქცია რაოდენობით და ხარისხით სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებდა მშენებლობებს. თავიდათავი კი ის იყო. რომ ქარხნები შეიარაღებული იყო მოძველებული ტექნიკით.

რესპუბლიკის მშენებლობის პერსპექტიული გეგმებიდან გამომდინარე, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საშენ მასალათა მრეწველობის მთავარმა სამმართველომ (პაატაშვილი) დროულად მიიღო გადაწყვეტილება „მეტების მშრალი წნევების აგურის ქარხნის მშენებლობის შესახებ“, რომლის წლიური წარმოება შეადგენდა 25 მილიონ ცალ აგურს. ამასთან ერთად, შემუშავდა ღონისძიებანი ძირითად საშუალებათა მოწყობილობების სხვა რესპუბლიკიდან შემოტანისათვის. დაიწყო დაზგა-დანადგარების ინტენსიური შემოტანის სამუშაოები.

ქარხნის მშენებლობა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით (თავ-რე ჩხუბიანაშვილი) დაევალა იმ დროს ქვეყნაში ერთ-ერთ ძლიერ და სახელგანთქმულ სამშენებლო ორგანიზაციას – „საქახტმშენს“. (მშენებლობას აწარმოებდა) კასპის სამშენებლო სამმართველო-ხელმძღვანელი ვასილ ბარიშვილი.

მშენებარე ქარხნის ტერიტორიაზე მოაწყვეს სამშენებლო მოედანი, სადაც თავი მოუყარეს მბლავრ ტექნიკას. შემოზიდეს სამშენებლო მასალები. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები.

აშურიანის გამოძახილმა მოუხმო ქარხნისა და მუშათა დასახლების უბნის მშენებლობას.

სამშენებლო მოედანზე მობრძანდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. იშახნოვი. სამინისტროდან მინისტრი პაატაშვილი და ლევან პარგაძე, არჩილ გრიგოლაშვილი, კოტე რამინეიშვილი. რაიონიდან გიორგი მერებაშვილი, ვლადიმერ გეჯაზე, ქარხნიდან გიორგი ჯაშიაშვილი, შალვა ვარაზანაშვილი, ვახტანგ დავითაშვილი, მშენებლებიდან გივი ფანჩაველი, ვასილ

გარიშვილი, სოფლისა და ადგილობრივი აქტივი და მუშა-
მოსამსახურეთა ის ჯგუფი, რომელიც იმედით შეჰქურებდა მის
დაწყება-დამთავრებას. ასე დაიწყო ქარხნის მშენებლობა და
საძირკველი ჩაეყარა ახალი გიგანტის დაბადებას.

როგორც წესია, საძირკველში ჩაისხა პირველი ბეტონის ხსნარი.
ტრადიციისამებრ, ჩაიყარა ზურდა ფულები. დაიბადა ახალი იმედი,
სიხარული და აი, 1949 წლის 10 თებერვლიდან აშურიანზე დაიწყო
„მეტების გიგანტის“ მშენებლობა, რომლის საპროექტო სიმბლავრე
გათვალისწინებული იყო 25 მილიონი ცალი აგურის წარმოებაზე.

მშენებლობა გაცხოველებით მიმდინარეობდა. არანაკლებ
მნიშვნელოვანი იყო მუშათა დასახლების უბნის მშენებლობა.

მეტების აგურის ქარხნის მშენებლობა იყო (ხელისუფლების
გატარებული) სტრატეგიულ გეგმათა ერთ-ერთი დიდი ღონისძიება
ამ რეგიონში, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია რაიონისა და
მთელი რესპუბლიკის მშრომელებს (ამაზე შემდეგ).

ქარხნის მშენებლობაზე 600-ზე მეტმა მუშამ მოიყარა თავი.

ჩამოყალიბდა სამი დიდი სამშენებლო უბანი:

საყალიბო საამქრო თიხის მიმღები განყოფილებით (სამუშაოთა
მწარმოებელი დავით ლუარსაბიძე);

საგამოწვი საამქრო-საშროებების, გაზოგენერატორებისა და
გადმოტვირთვის მოედნით (გალიკო ოიკაშვილი);

მუშათა დასახლების უბანი გზები, წყალკანალიზაცია, შემოლობა
და დამხმარე მეურნეობები (ელიზბარ მუსელიანი);

გარკვეული ჭურადღება დაეთმო სარკინიგზზო ხაზის მშენებლობას,
რომლის საშუალებითაც საჭირო მასალები და დაზგა-დანადგარები
უნდა შემოეტანათ. მშენებლობას აწარმოებდა ა/კ რკინიგზის მე-10
სამშენებლო სამმართველო. პარალელურად მიმდინარეობდა ვიწრო
ლიანდაგის (კარიერი-ქარხანა) გაყვანაც.

მშენებლობა მიმდინარეობდა გრაფიკით გათვალისწინებულ
ვადებში, რომელსაც აკონტროლებდა და ზედამხედველობას უწევდა
საქართველოს მინისტრთა საბჭო: ლ. პარკაძე, ჩხებიანაშვილი და მისი
მოადგილეები.

უდიდესი კურადღება პირველი რიგის (აგურის წარმოების) სამუშაოების მიმდინარეობაზე იყო გამახვილებული.

მარტო „საქათქმშენის“ ხაზით 200-ზე მეტი კაცი მუშაობდა აქედან თითქმის ნახევარი კალატოზების, დურგლების, ზეინკლების, მლესავების, ელექტრო-შემდუღებლების, მემონტაჟეების, ხუროების და სხვათა წამყვანი სპეციალისტების სახით. მომუშავეთა დიდი ნაწილი სხვა რესპუბლიკებიდან მივლინებებით ან ორგშეკრების წესით მოიყვანეს. მონაწილეობდა აგრეთვე სოფლის ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილიც, რომელთა სახელებსაც დღესაც ვხვდებით ქარხანაში. მათი ამაგი უაღრესად დიდია და შთამბეჭდავი: გენო კვერცხიშვილი, გოგი და თალიკო გვარამაძეები, კატო ანტონოვა-კალატოზიშვილი, თამარ სკვარცოვა ქარხნის საძირკვლის ჩაყრიდან მოვიდნენ ქარხანაში და აქედან წავიდნენ პენსიაზე.

ვანო შარიფაშვილის, შოთა აზმაიფარაშვილის, ოლია გუგულაშვილის, ვლადიმერ პატარქალიშვილის, ლევან გუგულაშვილის, არჩილ კალატოზიშვილისა და სხვათა შრომითი ბიოგრაფია „პატარა“ ქარხნიდან იწყება. არჩილმა პირველმა დააყენა რკინა-ბეტონის სეეტი დიდი ქარხნის მშენებლობაზე.



ქ. კალატოზიშვილი

უუჟუნა კალატოზიშვილი-შაველაშვილი პირველი მომუშავე ქალია, რომელმაც მშენებლობაზე თავი მოუყარა და ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ბრიგადა, იგი შემდეგ (კომკავშირულ) ახალგაზრდულ ორგანიზაციად გადაიცა და მასაც უუჟუნა უძღვებოდა. მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი

ახლაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მთავარ ბუღალტრად და თავისი ცხოვრების წლებით მუდამ პირნათელია თავისი პროფესიის, საქმის, საზოგადოების და ოჯახის წინაშე.

ამ მშენებლობაზე ქალთა დიდი კონტინგენტი მუშაობდა „მშენებლობაზე ქალებიც მუშაობენ,“ „ქარხანას ქალებიც აშენებენ,“ მეტეხელ

მშენებელთა ნობათი“ ამ და სხვა საქები სათაურებით ქვეყნდებოდა რაიონულ და რესპუბლიკის პრესაში და რადიო-გადაცემებში ნორა ედიშერაშვილის, ვალია თამაზაშვილის, ლერი მუსხელიძის, ჭ. ამაშუ-კელის, ვ. ელისაბედაშვილის და სხვათა კორესპონდენციები.

ქარხნის მშენებლობით დაინტერესებული იყვნენ ზემდგომი ორგანოები, ვინაიდან ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ეს ისეთი სიმძლავრის საწარმო იყო, რომელსაც ძირითადად „უნდა „დაენაყ-რებინა“ რესპუბლიკის მშენებლობანი, იყო პრობლემები, სიძნელეები, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდიოდა.

მშენებლობის მიმდინარეობას ყურადღებას და დახმარებას არ აკლებდნენ რესპუბლიკის სამინისტროსა და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები. თუ რამდენად დიდი იყო მშენებლობისადმი ყურადღება, მოვიყვან ერთ მაგალითს:

ბრძანება № 8

კასპის რაისაბჭოს აღმასკომისადმი

15 ივნისი 1950 წელი

„მშრომელთა დეპუტატების კასპის რაისაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. მერებაშვილი მ/წლის 10 ივნისს გავემგზავრე მეტეხის, წინარეხის და კავთისხევის სასოფლო საბჭოებში მივლინებაში. მეტეხის აგურის ქარხნისათვის მუშახელის ჩამოსაყვანად და დაგბრუნდი სამსახურში ა/წლის 15 ივნისს.

კასპის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

გ. მერებაშვილი“

/ფ. 1 არქ. 8/

ეს ბევრს მეტყველებს.

მშენებლობის მიმდინარეობა სისტემატურად განიხილებოდა ხელმძღვანელ ორგანოთა გაერთიანებულ (რაიაღმასკომის, რაიკომის, ბიუროს ან კოლეგიის) სხდომებზე და გამოჰქონდათ სათანადო დადგენილებები, მეტეხის მშრალი წნევების ქარხნის მშენებლობის შესახებ“ მუშაობის გაუმჯობესების თვალსაზრისით გამოქვეყნდა რადიოსა და პრესაში.

ერთი წლის პერიოდში „საქმახტმშენის“ კასპის სამშენებლო სამმართველომ ძირითადად შეასრულა ხელშეკრულებით

გათვალისწინებული მოცულობები და მუშაობის შემდგომი გაგრძელებისათვის ძირითადი კონტინგენტი, რომელიც ქარხნის მშენებლობაზე ჰყავდა დასაქმებული (კალატოზების, დურგლების, ელექტრო-გაზო შემდებლების, მემონტაჟების და სხვათა სახით), გადააბარა ახალ ჩამოყალიბებულ საქ. საშ. მასალათა „მეტეხის სამშენებლო სამმართველოს“, რომლის ხელმძღვანელია გივი ფნჩაველი, ხოლო მშენებარე ქარხნის დირექტორია შალვა ვარაზანაშვილი. მშენებლობა 1950 წლის ბოლოსათვის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მშენებლებმა და მემონტაჟებმა დაამთავრეს პირველი რიგის სამუშაოები. (კარიერი, ქარხნის რეინიგზა, თიხის მიმღები განყოფილება, ორი წნევის მონტაჟი. 2 ღუმელი (გადმოტვირთვის მოედანი).

ქარხნის მშენებლობის მიმღინარეობის პარალელურად მისი ტექნიკური შეიარაღების მიზნით სამინისტროს ხელმძღვანელობამ გაატარა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. დიდი ფურადღება დაუთმო ქარხნის დაზგა-დანაღვარებით მომარაგებას. სამინისტროს და ქარხნის წამყვანი ინჟინრები, სპეციალისტები ა. გრიგოლაშვილი, ნ. ჩიკაევა, პ. უღენტი, კ. ლუბი-ანეცკი, პ. კერვალიშვილი და სხვ. სისტემატურად იგზავნებიან მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, სტალინგრადსა და სხვა ქალაქებში ტექნოლოგიური მოწყობილობების, წნევების, ვაგონეტების დოლური საშრობის და სხვა ძირითად საშუალებათა „გაცნობა-შესწავლისა და მიღება-გადმოტვირთვისათვის“.

ხელმძღვანელთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი გახდა კადრების მომზადება. ერთობლივ ღონისძიებათა შესაბამისად შეარჩიეს, კიევსა და ხარკოვში გაგზავნეს მოწინავე ახალგაზრდები: აბესალომ მალაციძე, ბიჭიკო ჰატურეალაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, მიხეილ გზირიშვილი, მიხეილ დათაშვილი, გოგი შარიფაშვილი და ლევან ფოზოვი „მელიას“ წნევების, გვირაბისებური ღუმელების „გაზოგენერატორის“ და პარამეტრული საზომი ხელსაწყოების მუშაობის პრინციპების შესასწავლად.

ალიზის დაყალიბების, გამოწვის ტექნოლოგიის და დაზგა-დანაღვარების სწორი ექსპლოატაციის თვალსაზრისით. ადგილზე

შემქმნა ტექნიკური მინიმუმის სწავლების წრეები, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ინჟინერ-ტექნოლოგები ნ. ბალავაძე, ჯ. ჯავახიშვილი, პ. შარაშიძე, ნ. ჩუკაევა, კ. ლებაძანეცკი, ა. გრიგოლაშვილი.

თავისი მხრივ პატარა ქარხანამაც გაიღო წვლილი დიდი ქარხნის მწნეხავებითა და გამომწველებით დაკომპლექტებაში.

1951 წლის იანვარში პირველი რიგის სამუშაოები დამთავრდა.

შესრულებული სამუშაოების მისაღებად გამოიყო კომპეტენტური კომისია სამინისტროს, რაიონის მშენებელთა და ქარხნის წარმომადგენელთა მონაცილეობით. მოქმედი დებულების შესაბამისად გაანალიზდა შესრულებული სამუშაოების ხარისხი და მისი საიმედობა. მიღებული დასკვნების შესაბამისად: ქარხნის პირველი რიგის სამუშაოები შესრულებულია, ქარხანა მზად არის ასამუშავებლად.

ბრძანება № 31

– მეტების მშრალი წნევების აგურის ქარხნისადმი

17 თებერვალი 1951 წელი

„თანახმად საქ. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს 1951 წლის 17 თებერვალის № 224 ბრძანებისა, მეტების მშრალი წნევების აგურის ქარხანა შევიდა ექსპლოატაციაში.

(საქ. 6 ფ 18)

ბრძანებას ხელს აწერს ახლად დანიშნული პირველი დირექტორი შალვა მიქაშვიძე.

ასე დაიბადა „გიგანტი“ აგურის ქარხანა-ყველა დროის დიდი აგურის წარმოება საქართველოში.

იმ დროს დახურვის პირამდე მისულ მცხეთის, საბურთალოს, გურჯაანის, ნოსირის ქარხნებთან შედარებით, მართლაც იმსახურებს ამ საპატიო სახელს.

დაიწყო საამქროების, წამყვარი დარგის მუშაკთა და ცვლების დაკომპლექტება.

სამინისტროს ბრძანებით დაინიშნა კაპ. მშენებლობის უფროსად შალვა გარაზანაშვილი, ლაბორატორიის უფროსად თ. ჯანჯალა-შვილი, მთავარ ინჟინრად პავლე შარაშიძე, მომარაგების განყო-

ფილების უფროსად პარმენ კერვალიშვილი, მთავარ მექანიკოსად კონსტანტინე ლუბიანეცი, კარიერის უფროსად ირაკლი მაღალაშვილი, ცვლის ინჟინრად მიხეილ სპარსიაშვილი, საშრობი განფრფილებისა დ. ოქროუაშვილი, საღუმელე და საშრობების გამგედ ვლადიმერ ენუქიძე, მთავარ ბუღალტრად-მერი მერებაშვილი და ა. შ.

დირექციის მიერ დაკომპლექტდა სამქროები და ცვლები. ცვლის უფროსებად დაინიშნებ: პ. სპისიაშვილი, იასონ დათაშვილი, ჯულიეტა ჯავახიშვილი. — მრავალ ციცხვიან ექსკავატორზე-გაბრიელ გუგულაშვილი, მოტომზიდზე — შანქულა გუგულაშვილი, წერხე-მიხეილ დათაშვილი, გიორგი (ტურტა) იაკობის ძე მერებაშვილი, გოგი შარიფაშვილი, გიორგი მერებაშვილი, გამომწველები — მიხეილ (ჭილრა) გზირიშვილი, მიხეილ შარიფაშვილი, ვასილ (მსუქანა) მერებაშვილი, გამოწვის ოსტატებად — აბესალომ მალაციძე, ამირან კალატოზიშვილი, ნიკოლა ბარანი.

მუშაობა ორცვლიანია; (ღუმელების გარდა).

წარმოების ტექნოლოგიური რუქა ასეთია:

კარიერი, მრავალ ციცხვიანი (2) ექსკავატორი, 2 მოტომზიდი, თიხის ჩასაყრელი „გადასაყირავებელი“ რონოდები 1 მ³-ის ტევადობით, ვიწრო ლიანდაგების რკინიგზა.

საყალიბო-თიხის მიღება-დამუშავება, დაფქვა, შრობა, ალიზის წერხვა.

საგამოწვო-გვირაბისებური საშრობები, გვირაბისებური ღუმელები, გადმოტვირთვის მოედანი, დაცლილი რონოდების დასაბრუნებელი რკინიგზის ხაზი.

თიხის, ალიზის და გაგონეტების გადაადგილების კვანძებია: ლენტური ტრანსპორტიორი, ელევატორები, ელექტრო ურიკები და ჰიდრავლიკური ჰიძგავები.

დანართი

მეტეხის მშრალი წერების აგურის ქარხნის ტექნოლოგიური სქემა:

საკარიერო მუერნეობა. ემ- 201 ტიპის მრავალციცხვიანი ექსკა- ვატორი, მოტომზიდი, ვიწრო ლიანდაგის რკინიგზა, დასაცლელი ვაგონეტები.

ბეშიკერი, ფუთური მიმწოდებელი, მცირე ზომის თიხის სამარაგო ლენტური დახრილი ტრანსპორტიორი.

კენჭგამომყოფი ლილვებიანი მსხვრევანა.

ლენტური დახრილი ტრანსპორტიორი

მჩრუნავი დოლური საშრობი

ელევატორი, ჰორიზონტალური ვიბრაციული ცხავი (საცერი)

დეზინდეგრატორი. ანაცერი თიხის ხელახალი დაფქვისათვის

ჰორიზონტალური „რევერსიული“ ლენტური ტრანსპორტიორი წნევები თიხის მიმღები ბუნკერებით

ალიზის ასაღები ჰორიზონტალური ლენტური ტრანსპორტიორი.

ელექტრო ურიკა „შიბიბიუნა“ რკინიგზის ხაზით.

გვირაბისებური საშრობები, რკინიგზის ხაზებით.

გვირაბისებური ღუმელი ელ ურიკის ხაზით.

გადმოტვირთვის მოედანი და საწყობი მზა პროდუქციისათვის

რკინიგზის ხაზი ვაგონეტების საყალიბო საამქროში დასა- ბრუნებლად.

პროფილაქტიკის უბანი ვაგონეტების გასაპოხად და აგურის ლეწისაგან ვაგონეტის გასათავისუფლებლად.

საყალიბო საამქროში ცარიელი რონოდების შესატანი რკინიგზის ხაზი.

ფუნქცია, რომელიც ქარხანაშ შეასრულა
ისტორიული თვალსაზრისით:

აშურიანზე საშენებლო კერამიკის წარმოების ისტორიას თუ გადავხედავთ, პირველია კერამიკული კრამიტის ქარხანა, რომლის მშენებლობას 6 წელი დასჭირდა (1934-1940 წ. წ.) პირველი

დირექტორი ივანე ჭალიაშვილი. წარმოებაში დასაქმებული იყო 15 კაცი. პრიმიტიული ხელით შრობა.

მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის მშენებლობას (1949-1951 წ. წ.) ორი წელი დასჭირდა, პირველი დირექტორი შალვა მიქაშავიძე. დასაქმებულია 600-ზე მეტი მომუშავე. სამუშაოს დიდი ნაწილი მექანიზირებულია.

ეკონომიური თვალსაზრისით:

ქარხანა აშენდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. ახლოს მარჯვედ არის სასმელი და ტექნიკური წყლები, რკინიგზა. მუშამოსამსახურეთა ძირითადი შემადგენლობა ადგილობრივია, რაც ქმნის ყველა პირობას ქარხანამ იმუშაოს მოგებაზე.

სოციალური თვალსაზრისით:

ქარხანამ უდიდესი როლი შეასრულა რესპუბლიკაში გაშლილი მშენებლობის გზაზე. მეტეხური აგურით აშენებულია უნიკალური შენობა-ნაგებობანი. რომელშიც ცხოვრობს და შრომობს ასეული ათასობით ადამიანი. ქარხანაში აღიზარდნენ შესანიშნავი კადრები, რომლებიც სასარგებლო საქმიანობას ეწევიან ქვეყანაში.

ქართლის ამ რეგიონში წარმოიშვა სოფელი-დასახლება 500-ზე მეტი მცხოვრებით.

აშერიანელი ცოგათი

მეტეხის მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა ისტორიის კუთვნილება გახდა. მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი საშენი მასალების მწარმოებელ საწარმოთა შორის და გვერდში ამოუდგა რესპუბლიკის ფლაგმანს, აშერიანელს – კასპის ცემენტის ქარხანას.

აგურის წარმოება სამი ძირითადი უბნისაგან შედგება: თიხის კარიერი, საყალიბო და საგამოწვო საამქრო (თავისი დატვირთვა-გადმოტვირთვის მოედნით) დამხმარე ელექტრო, მექანიკური და ავტოტრანსპორტის საამქროებით.

თიხის კარიერი ქარხნიდან დაცილებულია 800-100 მ-ით, მოქმედების არეალი შეიძლება განვსაზღვროთ 750-800 მ-ით. კარიერზე მუშაობს მრავალციცხვიანი ექსკავატორები (3), მოტომზიდები (3), თიხის ფართო და ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის ხაზით გადასაყირავებელი რონოდები. მუშაობა სამცვლიანია.

მოკლედ ტექნოლოგიულ შეიარაღებაზე:

კერამიკის მრეწველობაში მრავალციცხვიანი ექსკავატორები ერთციცხვიანზე უფრო მეტადაა გავრცელებული. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ექსკავატორები თიხის მოპოვებასთან ერთად აწარმოებენ მის გადამუშავებას, რადგან თიხას თხელ 2-3 სმ. სისქის ფენებად თხრიან და ამავე დროს შერევასაც ახდენენ.

დაწნებვამდე თიხა დამუშავების სამ სტადიას გადის. ქუცმაცდება ლილვებიან მსხვრევანაში, შრება დოლურ საშრობში და იცრება. (ანაცერი ხელმეორედ იუქვება დეზინდეგრატორში).

თიხის ბუნებრივი სინესტე 11-13%-ს შეადგენს შრობის შემდეგ კი იგი უნდა დავიდეს 9-11%-მდე, რაც წნებვისათვის არის ნორმით გათვალისწინებული, ეს პროცესი დოლური საშრობით სრულდება.

საწარმოს ამუშავების პროცესში აღიზის დაწნებვაზე მუშაობდა 2 ცალი „შპენგლერის“ სისტემის წნები, შეძლევ ისინი შეიცვალა თანამედროვე სისტემის წნებით.

თიხის მშრალად წნებვას პლასტიკურთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს. მუშაობს ისეთ თიხებზე, რომელიც პლასტიკურ წნებვაზე არ ყალიბდება.

მეტების თიხის ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობა:

SiO_2 - 51,24%

Al_2O_3 - 14,22%

Fe_2O_3 - 5,83%

CaO - 13,91%

MgO - 2,19%

SO_3 - 0,41%

N_2O - 1,28%

K_2O - 1,7%

სინესტე - 2,1 %

П.П.П - 8,46%.

თიხის ჩვეულებრივი აგური სამშენებლო მასალების ერთ-ერთი დიდად გავრცელებული სახეა, იგი წარმოადგენს სწორკუთხოვანი პარალელების ფორმის ნაწარმს, რომელიც მიიღება წინასწარ მომზადებული თიხის მასის დაყალიბებითა და გამოწვით.

მისი ზომებია:

სიგრძე 250 მმ ± 6

სიგანე 120 მმ ± 4

სისქე 65 მმ ± 3

წონა მოელკანიანის (უხვრელო) 4 კგ-მდე

ხვრელიანი 3-3,5 კგ-მდე

კერამიკულ ნაკეთობათა წარმოებაში მშრალად წნეხვა შედარებით ახალია, ამიტომ მისი მუშაობის მეთოდები ერთგვარ სიფრთხილეს და დაკვირვებას მოითხოვს, რაღაც მშრალად წნეხვის დროს თიხის მასაში მიმდინარე პროცესები საფუძვლიანად განსხვავდება პლასტიკური დაყალიბების პროცესისაგან.

აღიზის სიმტკიცე დიდადაა დამოკიდებული თიხის მასის ტენიანობაზე, გრანულომეტრულ შემადგენლობასა და წნეხვაზე. ამიტომ არის, რომ თიხის მომზადებას და მის დაწნეხვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგურის ხარისხსა და მის მარკიანობაზე. აგური ფორმას აქ ღებულობს.

აღიზის მშრალი წნეხვის პირველი ოსტატები და ამ საქმის სულისჩამდგმელები იყვნენ: გიორგი ალექსანდრეს ძე მერებაშვილი, გიორგი შარიფაშვილი, ალექსი მღებრიშვილი, თენგიზ შარიფაშვილი, მიხეილ დათაშვილი, გიორგი (ტურტა) მერებაშვილი, რომლებსაც დიდი ამაგი მოუძღვით აღიზის წნეხვის შემდგომი გაუმჯობესებისა და წნეხვაზე მომუშავეთა (მწნეხავების) დაოსტატების საქმეში.

აღსანიშნავია, რომ მწნეხავზე დამოკიდებულია ცვლის მუშაობის მთელი ციკლი. იგი თანაბრად აკონტროლებს თიხის ვარგისიანობას, წნეხვის ხარისხს, აღიზის წყობას, დაცლილი და სავსე რონოდების

დროულად შეტანა-გატანის ოპერაციებს. იგი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა წარმოებაში.

როდესაც ცვლის მუშაობის შედეგებს ვიხილავდით, პირველ რიგში ვკითხულობდით, თუ ვინ იყო მწნეხავი. რა თქმა უნდა, ცვლის უფროსს თავისი მოეთხოვებოდა. იგი მართავს მთელი ცვლის მუშაობას.



საყალიბო სამქროში

გ.ოსეფაშვილი, ვლ.ნაკროზაშვილი, გ.ქვერცხაშვილი, ხ.ქიტიაშვილი – სამქროს უფროსი – გ.შარიფაშვილი და ვ.აბუშვილი

დაყალიბებული აღიზის შრობისათვის მოქმედებს გვირაბისებური საშრობები, რომელიც წარმოადგენს გრძელ დერეფანს 30–35 მეტრი სიგრძით (სასაშრობო მეურნეობა ცალკე უბნად იყო. ახლა მიეკუთნება საგამოწვი სამქროს). თითოეულ საშრობში ეტევა 15 რონდა. თითოეულ რონდაზე ეწყობა 1100 ც. აღიზი. შრობა მიმდინარეობს ღუმელების გაციების ზონიდან მიღებული ცხელი აირებით.

ალიზის შრობის ხანგრძლივობა 60-65 საათია. საშრობში შემავალი აირის ტემპერატურა 60-70 გრადუსია.

ალიზის შრობის პროცესის მიზანია საჭირო საზღვრამდე შეამციროს მასალის ან ნაკეთობის ტენიანობა.

მასიდან წყლის გამოდენის ალიზით სავსე რონდების ღუმელში მოძრაობის დროს გადატან-გადმოტანისას შეუნარჩუნოს ფორმაც და გამოწვას კიდეც, აღნიშნული ერთ-ერთი რთული პროცესია.

ალიზის შრობის ცალკე პროცესი ნაკარნახევია ღუმელში აგურის გამოწვის ინტენსივობის გაზრდის, გამტარუნარიანობის გადიდების, გამოწვის მთლიანი ციკლისათვის საჭირო დროის შემცირების მიზნით.

ალიზის შრობა სამ სტადიას გადის: ხელოვნური წყლის დაკარგვა, ქიმიური წყლის გამოდენა, ტემპერატურის აწევის შედეგად მასის შემაღებელი ნაწილაკები ერთმანეთს უახლოვდებიან, რასაც მოსალევს ჩაჯდომა, ანუ გამოწვა – ეს უკვე მესამე სტადიაა.

თიხისაგან დამზადებული ალიზი გამოშრობის შემდეგ ერთგვარ მექანიკურ სიმაგრეს იღებს. არ იფრვნება, აღვილად არ ტყდება, იმისათვის, რომ სიმგვიდრე და ატმოსფერული მოვლენებისადმი მდგრადობის უნარი მიეცეს, საჭიროა მისი გამოწვა, ანუ მაღალი ტემპერატურული გადამუშავება.

კერამიკის ნაკეთობათა გამოსაწვავად სხვა ღუმელებთან შედარებით უფრო სრულყოფილია გვირაბიანი უწყვეტი მოქმედების ღუმელი. მის უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ შეტვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციები აქ მექანიზებულია და შესაძლებელია გამოწვის რეჟიმის ავტომატური რეგულირება. აგურის ჩატვირთვა-გადმოტვირთვა რონდებითაა და ნაკლებ შრომატევადია.

გვირაბიანი ღუმელის სიგრძე 105 მეტრა 51 რონდების ტევადობით, საერთო მოცულობა 415 მ³-ია. სასარგებლო მოცულობა 315 კუბამეტრი, სიმაღლე 1,74 მ. გამოწვის ხანგრძლივობა 40-45 საათია. ღუმელს აქვს სამი (ძირითადი) ზონა: შეთბობის (ანუ მომზადების), გამოწვის და გაციების. ცეცხლი ღუმელის შუაზე, ორივე მხრიდან ანთია სათბობი (თხევადია) და ეძლევა იფრქვევანებით. ამჟამად მუშაობს კომინირებული მფრქვევანები, როგორც ბუნებრივ აირზე, ისე თხევად საწვავზე, პაერთან ერთად.

აგურის წარმოების საწყისი ამუშავების მომენტში ერთი ღუმელი ამუშავდა შეშით და პირველი აგურები შეშით გამოიწვა.

მეორე ღუმელი შემდგომ პერიოდში – ივლისში ამუშავდა მაზუთზე, რაზედაც უკვე გამოცდილების მქონე მუშავების მიერ შედარებით იოლად გაიშვა და რაზედაც ნაკლები ხარჯები იქნა გაწეული ეკონომიურადაც. ამის გამო კი დირექციამ დააჯილდოვა მომუშავეთა ჯაგუფი მასალების ეკონომიური ხარჯვისათვის და ხარისხიანი აგურის გამოშვებისათვის – დასაწყისში აგურის წარმოების მართვა არც თუ იოლი გამოდგა. მუშაობაში თავი იჩინა არაერთმა პრობლემამ, გამართულად ვერ მუშაობდა ზოგიერთი დაზგა-დანადგარი, ელექტრომეურნეობა, წნევები. თიხისაგან იღესებოდა ამძრავი მექანიზმები, მოქმედი კვანძები. სუსტად მიმდინარეობდა ალიზის წყობის, შრობის და გამოწვის პროცესები. დიდი იყო რონოდაზე დაწყობილი აგურის ნგრევის ალბათობა. მაზუთით ღუმელების მუშაობა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვდა, ვინაიდან საკმარისად არ ცხელდებოდა საწვავი (საჭიროა 70–80 გრადუსი).

კონკეირულ ხაზში ალიზის აღება-დაწყობა და დაცლა ერთ-ერთ რთულ პრობლემას შეადგენდა. მომუშავეთა დიდ ნაწილს უჭირდა მუშაობა, ძნელად ეუფლებოდნენ პროფესიას, ალიზის – დაწყობის მეთოდებს. იყო სხვა ტექნიკური შეფერხებებიც. რაც შეეხება „გაზოგნერატორის“ ექსპლოატაციაში შეკვანას, არ უმუშავია მისი არაეკონომიურობის გამო, ვინაიდან იგი გათვალისწინებული იყო დონიასის ქვანახშირზე და „გაზოგნერატორის“ მეშვეობით ძალზე ძვირი ჯდებოდა ქვანახშირიდან საწვავი გაზის მიღება.

დაბრკოლება შეიქმნა კადრების ხშირი დენადობითაც, ვინაიდან რუსეთის ორგშეკრების წესით მოყვანილი მუშები, რომლებმაც მშენებლობის დამთავრების შემდეგ გააგრძელეს ქარხანაში მუშაობა, თანდათან გაიკითხნენ. ქარხანაში ერთდროულად 500 კაცის დასაქმება და მათი პროფესიული დაოსტატება არც თუ იოლი საქმე აღმოჩნდა. სოფლებიდან კი ხელა მიმდინარეობდა მუშა კადრით წარმოების შევსება და დასაქმება. ხდებოდა პირიქითაც, კოლმეურნეობები უკან ითხოვდნენ მათ უნებართვიდ მოსულ მუშებს-კოლწევრებს.

1952 წლის ზაფხულში ქარხანა სერიუზული ყურადღების ცენტრში მოექცა. კვლავ აქტიურად ჩაერია ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოები. ტარდება დამატებითი ღონისძიებანი წარმოებაში სუსტი რგოლების (ბინათმშენებლობა, სამაზუთე და ელექტრო მეურნეობა, წნეხებას, თიხის დასამუშავებელი კვანძების და სხვ.) პროექტაქტიკურ-გამაჯანსაღებელი სამუშაოებისათვის.

შეიცვალა ქარხნის ხელმძღვანელობა. სამინისტროს ბრძანებით შემოღებულ იქნა ახალი ნორმა-შეფასებანი, რითაც გაუმჯობესდა შრომის ანაზღაურების სისტემა. ქარხანას გამოეყო ავტომანქანა ვახტისათვის. ქარხნის ხელმძღვანელობის მიერ რეაგირება უკეთდება ცვლებსა და უბნებზე მუშაობის მიმდინარეობებს. გამოიცა არაერთი ბრძანება. -განკარგულებანი მუშაობაში ხელისშემშლელი მიზეზების სალიკვიდაციოდ სამუშაოს გამცდენების, დამგვიანებლების, წუნის-მკეთებლების მიმართ. გაიშალა მუშაობა გამოშევებული პროდუქციის გაზრდისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად. შრომის დისციპლინის და შრომის ორგანიზაციის გასაჯანსაღებლად. მეტი ყურადღება დაეთმო აღიზის შრობისა და გამოწვის საქმეს.

ქარხანა გადადის მუშაობის უწყვეტ-სამცვლიან ციკლზე. კვლავ გატარდა კადრების მომზადების ღონისძიებანი, როგორც აღგილზე, ისე სხვა რესპუბლიკების – ხარკოვის, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მოწინავე ქარხნებში წარმოების წამყვანი დარგის მუშაკები გაიგზავნენ ტექნოლოგიური პროცესების ასათვისებლად.

რაიონის ხელმძღვანელები რჩევას აძლევენ მეტებისა და ახლო მდებარე სოფლების (ხელმძღვანელებს) თავკაცებს მეტების ქარხნისათვის მუშახელით დახმარების თაობაზე, ხოლო თავის მხრივ ქარხანამ იგაღდებული მუშახელის გადმოყვანა ვახტის ავტომანქანით.

კომპლექსურ ღონისძიებათა შედეგად დამთავრდა მუშათა დასახლების უბანში ორი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა 16 ფინური ბინის ასაწყობი კონსტრუქციების სამუშაოები. ყოველივე ეს კი აღგილობრივი მუშახელის კონტიგენტის გაზრდის ტოლფასი იყო.

ამ და სხვა გატარებულმა ღონისძიებებმა შედარებით გააჯანსაღა
მუშაობის პროცესები, რის შედეგადაც გაიზარდა გამოშვებული
პროდუქციის მოცულობა. რამდენადმე ამაღლდა მისი ხარისხი. აგურის
წლიურმა გამოშვებამ შეადგინა 12 მილიონი ცალი.

გატარებული ღონისძიებანი საქმარისი არ აღმოჩნდა, რათა
ქარხანას მიეღწია საპროექტო სიმბლავრისათვის. წარმოების ყველა
უბაზე ჭირდა მუშაობა-ცნობილი მიზეზების გამო. ძნელად, ძალზე
ნელა მიმდინარეობდა საწარმოო პროცესების ათვისება ქარხნის
კოლექტივის, მშენებლების და ქვეყნის ინტერესები კი თავისას
მოითხოვდა — აგურის წარმოების გაზრდას, მისი ხარისხის
გაუმჯობესებას.

გატარებული ღონისძიებანი, მუშაობის პერსპექტივები იმის
პირობებს იძლეოდა, რომ მოახლოვდა გარდატეხის პერიოდი.
აშურიანის ნობათი უკვე გამოსცადეს მშენებლებმა. ქარხანამ ორი
წლის მანძილზე 16 მილიონი ცალი აგური გამოუშვა.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში მაღალსართულიანი
სახლების მშენებლობაზე მხოლოდ აშურიანული აგური იქნა
გათვალისწინებული.

მშენებლობის ტემპის ტალღა დღითი დღე იზრდებოდა. აგური
ჭირდებოდა საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული
ნაგებობების, ბაგა-ბაღების, სკოლების, კურორტების... მშენე-
ბლობებს.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი, მისი ხელმძღვანელობა
ცდილობს, პირნათელი გამოვიდეს მშენებლების წინაშე.
განსაკუთრებით კი საქართველოში მიმართ, რომელმაც უანგარო
დახმარება გაუწია ქარხანას. ისინი ხომ კასპის რაიონის ობიექტებსაც
აშენებდნენ.

1953 წელი შედარებით უკეთ დაიწყო. ქარხანაში თანდათანობით
მკვიდრდება აღგილობრივი მუშახელი, სოფლებმა გამოიღეს
დახმარების ხელი ქარხანაზე. „სარბიელზე“ ქარხნის გასვლამ მისკენ
შემოაბრუნა სამუშაოს „მაძებარნიც“.

„შურიანის მკერდიდან ამოტყორცნილი აგური აშენებული სახლების საიმედო სიმაგრედ იქცა. მან უკვე გაუძლო გამოცდას. მშენებლებმა გაითავისეს (მეტეხური) აშურიანული აგური.


მეტების მშრალი წნეხვის აგურის ქარხანა დამკვიდრდა ქვეწის აღმშენებლობის ერთ-ერთ შემადგენელ (ნაწილად) საწარმოდ. ქარხნის მუშაობისადმი კიდევ უფრო იზრდება ხელმძღვანელი ორგანოების მუშაოთა ინტერესი. სხვადასხვადროს აგურის წარმოება დაათვალიერეს და დახმარება გაუწიოს საქ. კპ. ცპ-ის პირველმა მდივანმა აკაკი მგელაძემ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჩხუბიანაშვილმა, მათმა წარმომადგენლებმა იშხანოვა, ბუჯიაშვილმა და სხვა. იყვნენ აგრეთვე საკავშირო სამინისტროდან – მინისტრი იუდინი, ჩვენი სამინისტროდან მინდიაშვილი. რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსა და რაიონის ხელმძღვანელობამ მეტები ერთ-ერთ საზრუნავ ობიექტად გადიხადეს. როდესაც სამრეწველო მასალების წარმოების განვითარების საკითხი იხილებოდა. რესპუბლიკის პარტიის ცეკასა და მთავრობის გადაწყვეტილებაში ერთ-ერთი დიდი ადგილი დაეთმო სამშენებლო კერამიკის და კერძოდ აგურის წარმოების განვითარების პერსპექტივებს. ბუნებრივია, დადგენილებებში მეტების აგურის ქარხანა იყო ნაგულისხმევი.

ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარების გარიერაჟზე ქართველი კონსტრუქტორების ძმები სერგო და ალექსი მელიქიძის მიერ შექმნილმა თანამედროვე ამ 11, სმ - 198, სმ-301 ტიპის წნეხებმა სერიოზული კორექტივები შეიტანეს სამშენებლო კერამიკის წარმოების განვითარების საქმეში. წნეხების მუშაობის დადებით მხარედ ითვლება ისიც, რომ გარდა აგურის წარმოებისა, წარმატებით გამოიყენება აგრეთვე დეკორატიული კერამიკის ფართო ასორტიმენტის დასამზადებლად. საექსპლოატაციო მაჩვენებლებით დიდად უსწრებს მასის მშრალი წნეხისათვის მანამდე არსებულ ყველა სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხის ნაწარმის მიღების თვალსაზრისით. ხელმძღვანელობა სწორედ ამ მიზანს ისახავდა, როდესაც არჩევანი ამ წნეხების შემოტანაზე შეაჩერეს.

წნეხებს აწარმოებდა ხარჯოვის ქარხანა „კრასნი ოქტომბერი“ (წითელი ოქტომბერი).

პირველად 1953 წელს შემოიტანეს და დამონტაჟდა ამ-11 ტიპის როტაციულ-ბერკეტული წნეხები, რითაც თანდათან შეიცვალა გერმანული წარმოების „შპენგლერები“.

პირველ ხანებში საწნეხი მეურნეობის მოღვერნიზაციას სასურველი შედეგები არ მოუტანია. მათი მუშაობის პრინციპების აუთვისებდობისა და კონსტრუქციული ხარვეზების გამო. ამისათვის მოვლენილი იყვნენ მისი კონსტრუქტორები, რომლებმაც აღგილობრივ სპეციალისტებთან (გიორგი მერებაძევილი, მიხეილ დათაშვილი, ნათელა ბალავაძე, ნატალია ჩუკავა, ლევან მუხრანელი და სხვ.) ერთად სათანადო შესწორებები შეიტანეს. დაიწყო ხვრელიანი აგურის გამოშვება, რითაც სერიოზული ცვლილებები მოხდა აგურის



შპრალი წნეხვის წესით
დაყალიბებული აგური

ლობისა და კონსტრუქციული ხარვეზების გამო. ამისათვის მოვლენილი იყვნენ მისი კონსტრუქტორები, რომლებმაც აღგილობრივ სპეციალისტებთან (გიორგი მერებაძევილი, მიხეილ დათაშვილი, ნათელა ბალავაძე, ნატალია ჩუკავა, ლევან მუხრანელი და სხვ.) ერთად სათანადო შესწორებები შეიტანეს. დაიწყო ხვრელიანი აგურის გამოშვება, რითაც სერიოზული ცვლილებები მოხდა აგურის წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის საქმეში.

ხვრელიანი (ღრუ) აგურის სიკეთე.

„საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და ზოგიერთ სამრეწველო შენობაში საჭირო თბოიზოლაციის უზრუნველსაყოფად ჩვეულებრივი აგურისაგან ნაგები კედლის სისქე ხშირ შემთხვევაში ჭარბობს კედლის მექანიკური სიმაგრისათვის საჭირო სისქეს, ეს იწვევს კონსტრუქციის ზრდას, საშენი მასალისა და სამუშაო ძალის დიდ ხარჯვას და აძვირებს მშენებლობის ღირებულებას. აგურის წონის შესამცირებლად საყალიბო მასაში ურკვენ წვად ნივთიერებას, ან მცირე ხვედრითი წონის მქონე დანამატებს, ხოვჯერ კი თვით აგურის კონსტრუქციას ცვლიან და მის სხეულში სპეციალურ ხვრელებს ტოვებენ“ (ვ. იაკაშვილი).


ამით ყველაფერია ნათქვამი სახელმძღვანელოში.

ხვრელიანი აგურის გამოშვება ეს მეორე უდიდესი მოვლენაა ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ. იმ მუდმივი ცვლილებების შემდეგ, რასაც წარმოება განიცდიდა (საწნეხი მეურნეობის მოშლა, ალიზის წყობის ნგრევა, საშრობებსა და ღუმელებში ხშირი ავარიები და სხვ.), ერთაშად ამოისუნთქა ყველამ და ყველაფერმა.

უპირველესად მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მომუშავეთა ხელით - პრომის ხვედრითი წილი. ალიზის დაყალიბებაზე თიხა 20-25 პროცენტით ნაკლები დაიხარჯა ყოველ ათას ცალ აგურზე. შეღავათი

მიიღო თიხის კარიერმა, გაადვილდა ალიზის მიწოდება-დაწყობის სამუშაო.

საშრობებსა და ღუმელებში მდგარ 300-ზე მეტი რონოდაზე ალიზის სიმძიმეში ერთბაშად 70 ტონაზე მეტი მოიკლო. ამით კი გაუმჯობესდა ალიზის შრობა-გამოწვის პროცესი, ტექნოლოგიური პროცესები მართვადი გახდა. მოხდა სათბობის ეკონომია. შემცირდა



ონეინერ-ტექნოლოგები ჯ. ჯავახიშვილი და
ნ. ბალავაძე ამოწმებენ აგურის ატანდარტს.

წუნის პროცენტი, დიდი გადა-
ჭარბებით სრულდებოდა
საწარმოო დავალებანი, ახლა
უკვე აგურის უდიდესი ნა-
წილი მარკა „150“ გამოდიოდა,
მანამდე მარკა 75-ის ნაც-
ვლად. ეს კი თანაბრად მომ-
გებიანი იყო როგორც ქარხნი-
სათვის, ისე მშენებლობის-
თვისაც.

ყოველივე სიკეთემ შექმნა
ჰირობები მატერიალური და

ფინანსური რეზერვის შესაქმნელად, სოციალური და კულტურულ
მშენებლობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის. დადგებითი
გავლენა მოახდინა კოლექტივის ფსიქოლოგიურ (გარდაქმნაზე)
გაჯანსაღებაზე, მის (დარაზმვაზე) აღმასვლაზე.

აღსანიშნავია, რომ ხვრელიანი აგურის წარმოებას ერთბაშად არ
მოუტანია სიკეთე. მასაც პქონდა მთელი რიგი ხარვეზები.
უპირველესად წნეხები საჭიროებდა კონსტრუქციულ შესწორებებს.
ვერ დადგინდა ხვრელიანი აგურის, ალიზის დაყალიბების
ოპტიმალური ვარიანტი 18, 16, 12, 10, 8 ან ღრუ და ა. შ. თუ რა სახის
უნდა დაყალიბებულიყო. (მაგ. 18 ხვრელიანი უკეთესია, რვიანზე,
მაგრამ ტექნიკურად ვერ უძლებდა წნეხ ფორმები). ამასთან
მეორედებოდა ის ნაკლოვანებები, რაც საერთოდ ახასიათებს მშრალ
წნეხვის მეთოდით მუშაობას. არასაკმარისი შეთბობის გამო შტამპავ
მატრიცებზე ეკვროდა თიხა, დაყალიბებულ ალიზს ემჩნეოდა გრძივი
და განივი ბზარები და სხვ.

მისმა კონსტრუქტორებმა ადგილობრივ სპეციალისტებთან
ერთად შეისწავლეს საწნეხი მეურნეობის ნაკლოვანებები და შეიტანეს
კონსტრუქციული შესწორებანი.

კოლექტივის პერსპექტიული ამოცანებიდან გამომდინარე 1954 წლის ბოლოსათვის ქარხანა ღებულობს ახალ გაუმჯობესებულ კონსტრუქციის „სტ 198-ა“ ტიპის წნევებს, რომლებმაც შედარებით უკეთ იწყეს მუშაობა (4500 ცალის წარმადობით საათში).

ბუნებრივია, რომ აგურის წარმოებაში შუქ-ჩრდილები მარტო საწნებ მეურნეობაში არ ყოფილა, იგი უნდა განვიხილოთ წარმოების მოელ პროცესში.

შექმნილ სიძნელეებთან ჭიდილში ქარხნის კოლექტივმა თანდათანობით შეიძინა მუშაობის გამოცდილება. საამქროების; ცვლების და უბნების მუშაობა უფრო სტაბილური და ორგანიზებული გახდა.

პატარა (ძველი) ქარხნის შესახებ.

დიდი (ახალი) ქარხნის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ აგურ კრამიტის ქარხანა თავისი შტატებით და დაზგა-დანადგარებით ჯერ დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფებოდა, ხოლო 1951 წლის ივნისიდან სამინისტროს ბრძანების საფუძველზე შეუერთდა დიდ ქარხანას, რის შემდეგ განხორციელდა ერთიანი მართვა.

1952 წლის ზაფხულიდან მომუშავე კადრები თანდათან გადანაწილდნენ დიდი ქარხნის სამუშაო უბნებზე პროფესიებისა და თანამდებობების შენარჩუნებით და ამის შემდეგ პატარა ქარხანამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

პატარა (ძველმა) ქარხანამ ორი ძირითადი ამოცანა შეასრულა:

სამშენებლო აგურით მოამარავა დიდი ქარხნის მშენებლობა და შესაძლებლობის მიხედვით აქ მომზადებული კადრები გადანაწილდნენ საამქროებისა და ცვლების მიხედვით.

ქარხნის გამართული მუშაობა, კოლექტივის შეკავშირების პროცესი, ბუნებრივია, უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. ეს კი უპირველესად მის ხელმძღვანელ მუშაკებზე, მთელ აპარატზე ახდენდა გავლენას. სწორედ ამის მიზეზია ის, რომ სულ რაღაც სამ წელიწადში ხუთი დირექტორი (შ. მიქაშვიძე, გ. ყანჩაველი, შ. ნოსელიძე, პრ. მითაგვარია, ა. გაბუნია, ავადმყოფობის გამო) შეიცვალა. იცვლებოდნენ მთავარი ინჟინრები პ. შარაშიძე, ბ. მაკალათია, ლ. მუხრანელი, განყოფილების გამგები, საამქროს უფროსები, ცვლის უფროსები... დიდი იყო მომუშავეთა დენადობაც.

საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ ყოფილმა ხელმძღვანელებმა უდაოდ დიდი შრომა და ენერგია ჩააქსოვეს ქარხნის ამუშავების,

კოლექტივის დარაზმვის და აგურის წარმოების გაჯანსაღების საქმეში.

ამასთან არ შეიძლება დიდი პატივით არ მოვიგონო ქარხნის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე ლავრენტის ძე გაბურია, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქარხნის აღმასვლა, კოლექტივის დარაზმვა-შეკავშირება, ვიწრო უბნების გაძლიერება, აგურის წარმოების სწრაფი ზრდა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება. ყოველივე ამ და სხვა ღონისძიებებმა შექმნეს საფუძველი მუშა-მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებისათვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ჩატარებისათვის.

ადამიანი-დირექტორი, რომელსაც მუშის ენაზე შეეძლო საუბარი და მათი გულებისაკენ მისასვლელ გზას ყოველთვის პოულობდა, იყო თანაბრად მომთხოვნი თავისი თავისადმი და თანაბრომლების მიმართ. იგი დამამახსოვრდა, როგორც უსპეტაკესი ადამიანი, ორგანიზატორი, შემოქმედი ხელმძღვანელი.

მის მიერ ჩატარებული საწარმოო თათბირი სკოლა იყო, სკოლა მმართველობის, აღზრდის... მისი მუშაობის პერიოდი ახალგაზრდა კოლექტივის აღმასვლის ხანაა. 1954-1956 წელი უნდა მივიჩნიოთ, როგორც გარდატეხის პერიოდი, ვინაიდან გამართულად ამუშავდა წარმოების ყველა რგოლი, ქარხანა მიუახლოვდა საპროექტო სიმბლავეს (20 მილიონი ცალი აგური), ამასთან მომზადდა ნიადაგი აგურის წარმოების გაზრდისათვის.

1954-1955 წ. წ. სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა (წნეხებზე ითქვა), ტექნოლოგიური სამსახური დაზგა-დანადგარები, მუშა-მოსამსახურეთა კონტიგენტი იგივე იყო, მაგრამ გაიმარჯვა საღმა აზრმა, შრომის სწორმა ორგანიზაციამ, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებამ. მომუშავეთა პასუხისმგებლობის ამაღლებამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

1955 წელი უნდა მივიჩნიოთ მესამე მნიშვნელოვანი მოვლენად აშურიანის გამოძახილში, რაც მოწმობს, რომ ქარხნის კოლექტივმა პირნათლად, მისი მოკლე ისტორიის მანძილზე გადაჭარბებით შეასრულა საწარმოო გეგმა-დავალებანი, მიაღწია საპროექტო სიმბლავეს და გამოუშვა 25 მილიონი ცალი მაღალხარისხის აგური (21-ის ნაცვლად): ამასთან შეიქმნა მყარი ნიადაგი მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და აგურის წარმოების გაზრდისათვის.

მიღწეულ წარმატებებს უკავალოდ არ ჩაუკლია. მოპოვებული

მაღალი მაჩვენებლებისათვის ქარხნის კოლექტივი (დირექტორები: ა. გაბუნია, გ. ცხოვრებაშვილი, პარტორგი ა. თათანოვი, პროფორგი ვ. ენუქიძე) ზედიზედ დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით და ფულადი პრემიებით.

ქარხნის ხელმძღვანელობის უპირველეს ამოცანად იქცა წარმოების ტექნოლოგიურ ხაზში და საერთოდ მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების გასწორება. სახვალიო მუშაობისათვის საიმედო ნიადაგის მომზადება. სავაგონო პარკის, სამაზუთე მეურნეობის, ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის, ექსკავატორების და ყველა სხვა იმ უბნების საიმედობა, რაც წინ წასწევდა საქმეს.

ამასთან საჭირო იყო სოციალურ-კულტურულ კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და მისი განხორციელება.

ახალმა ცხოვრებამ ახალი პერსპექტივები გადაუშალა კოლექტივს, ახალი ამოცანები დაისახა.

მართალია აგურის გამოშვებამ გადააბიჯა გათვალისწინებულ ზღვარს, მაგრამ ამოცანად დაისახა საწარმოო სიმბლავრის გაზრდა. დაზგა-დანადგარების ტექნიკური დონის ამაღლება, მათი განახლება, ამასთან მათი ფიზიკური და მორალური ვარგისიანობა სათანადო დასკვნებს მოითხოვდა.

ქარხნის აღმასულა ეჭვს აღარ იწვევდა. წარმატებას წარმატებები მოსდევდა. ქება-დიდება, პრემიები, ჯილდოები კოლექტივის თანამდებობრი გახდა.

მუშაობის შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ მეტეხის აგურის ქარხნის შესაძლებლობანი შემოსაზღვრული არ იყო. უპირველესად საჭირო გახდა აგურის წარმოების გაზრდა, სასაქონლო პროდუქციის წარმოების გადიდება, ახალი მშენებლობა გაფართოება.

აღმასულობა

ქარხნის მუშაობის მეორე 1956-1960 წ. წ. ხუთწლედი და შემდგომი პერიოდი უნდა მივიჩნიოთ მეოთხე უდიდეს მოკლენად, ვინაოდან იმ ხანად მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო-საამშენებლო სამუშაო ჩატარდა, რომლის მოცულობაც მეორე ახალი ქარხნის ტოლფასზე უფრო მეტი იყო.

1956 წელს შეიცვალა მოქმედი წნეხები ახალი სისტემის „კრასნი ოქტოაბრის“ № – 301 ტიპის მუხლ-ბერკეტიანი წნეხებით. მისი წარმადობა შეადგინებს საათში ხუთი ათას ცალ ალიზს, საკმაოდ დიდი ხველრითი წნეხვით ხასიათდებიან და დიდად უსწრებენ მის წინამორბედებს. ამ წნეხებმა გაუძლო დროთა გამოცდას და დღესაც სამედოდ დგანან აშერიანის მიწაზე.

საკონსტრუქციო-საამშენებლო სამუშაოთა მოკლე წესება ასეთია. წნეხებთან ერთად კარიერზე მიღებულია მრავალრიცხოვანი „ემ-201“ ტიპის ახალი ექსკავატორები, რომელთა საათობრივი წარმადობა უფრო მეტია მათ წინამორბედებზე. სამართავად ადვილი ტექნიკურად მდგრადი და ტექნოლოგიურად უფრო შედეგიანი. მიღებულია ახალი უფრო მძლავრი მოტომზიდები (დიზელის ძრავით) და რონოდები. კაპიტალურად შეკეთდა რკინიგზის ხაზები. რის საფუძველზეც დაიწყო მეორე ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობა შესაბამისი ტექნოლოგიური დანადგარების მონტაჟით.

საყალიბო სამქროს გაფართოების მიზნით რეკონსტრუქცია გაუკეთდა მის ჩრდილოეთ მხარეს. სადაც მიაშენდა მე-4 საწნეხი განყოფილება, თავისი ტექნოლოგიური ხაზით.

მიღებული იქნა ორი ხარიხასებრი ამწე, უკეთ მოეწყო ავურის გადმოსატვირთ-დასატვირთი მოედანი. შემოყვანილ იქნა რკინიგზის ახალი ჩიხი ვაგონების დატვირთვისათვის, დამონტაჟდა ახალი მძლავრი ორთქლის ქვაბი.

გაადვილდა ავურის დაცლა-დატვირთვის ოპერაციები, ახლა უკვე მუშაობის პროცესი ორ უბანზე მიმდინარეობდა. დაიწყო ორი – 500 ტონიანი მაზუთის რეზერვუარის მშენებლობა. ფაშიანი-მეტების ძალოვანი ხაზისა და შესაბამისი ელექტრო ქვესაღვურის მშენელობამ მთლიანად მოხსნა შექმნილი პრობლემები ელექტრო ენერგიით მომარავების საქმეში. აგურის დაცლის უბანზე დამონტაჟდა უწყვეტი ღვევის ხაზი, რამაც ხელი შეუწყო რონოდების ბრუნვის, აგურის დაცლას. დაინერგა პაკეტური წყობა, დამონტაჟდა თვითმცლელი მოწყობილობა „ზახვატი“ – ამან ხელი შეუწყო ვაგონების სწრაფ დაცლას და გადაადგილებას. ერთდროულად გამოთავისუფლდა 25-30 დამცლელი მუშა, ამ საქმის ინიციატორები იყვნენ: კარლო გოზალოვი, ვასილ დათაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, ივანე სულთანიშვილი, სამინისტროდან იარალოვი და სხვები.

იმ სარეკონსტრუქციო-საამშენებლო და ორგანიზაციულ-

ტექნიკურ ღონისძიებათა სრული ასახვა, რომელიც ქარხნის გაფართოებას შეეხება, ძნელია. მარტო 1956-1959 წ. წ. აგურის წარმოება გაიზარდა 56 მილიონამდე, ანუ ორჯერ მეტი წინა წლებთან შედარებით.

როგორც ითქვა, ქარხნის შესაძლებლობანი ბოლომდე არ იყო რეალიზებული, ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა მეტ და მეტ საამშენებლო მასალებს, მშენებლობის ტემპის მატებამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა ახალი პროდუქციის წარმოება, რისთვისაც შემუშავდა მცირე საკედლე ბლოკის და ლენტური (ჩეხური მოდელის) კრამიტის საწარმოების მშენებლობის ღონისძიებანი.

1959 წელს ამუშავდა მეორე საკედლე ბლოკის საწარმო აგურის ნარჩენების ბაზაზე წელიწადში 20 ათასი კუბამეტრის წარმოებით. ამით ქარხანამ თავი დააღწია აგურის ნარჩენების გარეთ გატანის ზედმეტ ხარჯებს და რაც მთავარია, ამ ნედლეულით გაიზარდა პროდუქციის მოცულობა.

1960 წელს მწყობრში ჩადგა ლენტური სისტემის კრამიტის საწარმო სიმბლავრით წელიწადში 3 მილიონი ცალი.

იმის გამო, რომ ორივე (კრამიტის და ბლოკის) საწარმო ქარხნის ტერიტორიაზე უუნქციონირებდა, ექსპლოატაციაში შესვლისთანავე შეუერთდა ქარხანას, როგორც სამქროები.

ფართო მასშტაბიანი ორგანიზაციულ-ტექნიკური და სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებამ ქარხანა ახალ ხარისხში აიყვანა, გაუმჯობესდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ახალი უბნების მშენებლობა-გაფართოებამ 200-მდე კაცით გაზარდა კოლექტივი.

ქარხნის აღმასვლა ეჭვს აღარ იწვევდა, ყველა უბანი მუშაობდა გამართულად, ორგანიზებულად, წარმატებას წარმატებები მოსდევდა. მეტეხელ მეაგურეთა შრომითი მაჩვენებლები რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა. ქარხნის კოლექტივი საკავშირო სოცშეჯიბრში ჩაება და გამოცდილების გაზიარების მიზნით აწყობს ექსკურსიებს ქვეყნის მოწინავე ქარხნებში. დიდი მასშტაბის ექსკურსია გამოცდილების გაზიარების მიზნით მოეწყო: ხარკოვში, კიევში, რიგაში, მინსკში, ლენინგრადსა და მოსკოვში. სადაც დავათვალიერეთ და გავეცანით ამ ქალაქების სამშენებლო კერამიკული ქარხნების მუშაობის პრინციპებს (თუ მეთოდებს), ერთმანეთს გავუზიარეთ გამოცდილებანი.

ყველაზე შთამბეჭდავი იყო ქ. ლენინგრადის საშენ მასალათა კოშინატში და მინსკის კერამიკულ ქარხანაში მუშაობის მეთოდების გაცნობა. დავდეთ სოცშეჯიბრის ხელშეკრულება ქ. მინსკის კოლექტივთან. უდიდესი მნიშვნელობა პქონდა ქ. მოსკოვში სახალხო მუსიკურნობის გამოფენის დათვალიერებას, სადაც მრავალ სიახლეს გავეცანით. ექსკურსიაზე მონაწილეობდა წამყვანი აქტივი 10 კაცით (ყველა წამყვანი პროფესიის მიხედვით). ექსკურსიის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო დირექტორი გ. რ. ცხოვრებაშვილი, მონაწილენი: გრიგორ ჭუმბურიძე – მთ მექანიკი, ჯულიეტა ჯ ავახიშვილი – ტექნიკური კონტროლისა და ლაბორატორიის გამგე, ვალიკო მერებაშვილი-მშრობელი, რევაზ ჭეჭელაშვილი-უფროსი გამომწველი, ილია ნაკროზაშვილი – მწერებავი, გივი კალატოზიშვილი – სამქროს უფროსი, ვალენტინა პეტროვა-ალიზის დამწყობი, კარლო გოზალოვი-მთავარი ენერგეტიკი, თამარა სკვარცოვა – აღრიცხვის ბუღალტერი.

ექსკურსიამ ნაყოფიერად ჩაიარა. ჯგუფი გაეცნო მრავალ სიახლეს. შემდეგ ქარხანაში დაინერგა ახალი პროდუქციის ათვისებისათვის საჭირო მუშაობის მეთოდები. მიღებული გამოცდილების წყალობით ქარხანამ აგურის, ბლოკის და კრამიტის გამოშვებასთან ერთად დანერგა კიდევ ახალი დასახელების – პროდუქციის წარმოება, კიბის საფეხურები, მოზაიკური ფილები, სალესავები, რკინა-ბეტონის ბოძები, მზადდებოდა კიდევ უფრო პროგრესული პროდუქციის – მინერალური ბაბის გამოშვების საწარმო, აღნიშნული არ განხორციელებულა.

აღმასვლის პროცესში დიდი იყო ქარხნის აქტივის ძალა და გავლენა, მათ სათავეში უდგნენ დირექტორი გრიგორ ცხოვრება-შვილი, მთ. ინჟინერი ზაქარია ფაჩუაშვილი, მთავარი მექანიკოსი როსტევან კილოსანიძე, მექანიკოსი გრიგორ ჭუმბურიძე, მშენებელი ინჟინერი იოსებ ცქიმანური, სამქროს უფროსი იასონ დათაშვილი და სხვები, ქარხანაშ 10 წლის განმავლობაში აგურის გამოშვება გაზარდა 15-ჯერ, მცირე საკედლე ბლოკის 5-ჯერ, გაიზარდა კრამიტის წარმოებაც.

ათვისებული ახალი პროდუქციის წყალობით დიდად გაიზარდა სასაქონლო პროდუქციის წარმოება.

მოდიან ახალგაზრდები

აშურიანზე კერამიკული წარმოების ჩასახვის პირველი დღიდან ჩაეხა საერთო საქმეში ახალგაზრდა თაობა, ჯერ პირველი ქარხნის შენებლობაზე (1934 წ.) ხოლო შემდეგ (1940 წ.) უშუალოდ კერამიკულ ნაკეთობათა წარმოების პროცესში. (სამუჟხაროდ მათი სახელები საარქივო მასალებში ჯერ მიკვლეული არ არის).

ომის შემდეგ კერამიკული კრამიტის ქარხანაში, კოლექტივის სიმცირის მიუხედავად, ახალგაზრდათა შორის აკანგარდში ვხედავთ ანტონ (დიმიტრა) გეჯაძეს, გიორგი მარგალიტაშვილს, გრონია გეჯაძეს, ნოე და შოთა აზმაიფარაშვილებს, ვალერიან კოლერაშვილს. მათი რიცხვი კიდევ ეფრო გაიზარდა (ომის) შემდგომ პერიოდში (1948-1950 წ. წ.). ჯერ ახალი (პატარა) ქარხნის შენებლობაზე, ხოლო შემდეგ აგურ-კრამიტის ქარხანაში. სკოლის მერხიდან მოვიდნენ მიხეილ მერებაშვილი, ოლია გუგულაშვილი, ოთარ შარიფაშვილი, გიორგი გზირიშვილი, შანკულა გუგულაშვილი, ამ სტრიქონების ავტორი, გურგენ და მარტია შარიფაშვილები, უუუნა პატარქალაშვილი და სხვანი. (ახალგაზრდული - კომპავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელად არჩეული იქნა ეკონომისტი ოთარ მაღალაშვილი, კოლექტივის სამედი ძალად მოვიდნენ ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნიკოლოგები ნათელა ბალავაძე, ჯულიეტა ჯავახიშვილი, მთ. ინჟინრად ვახტანგ დავითაშვილი. მათ დიდი ხანი იმოღვაწეს აგურის წარმოებაში.

ახალგაზრდა მეაგურეთა შრომითი აქტივობა განსაკუთრებით გაიზარდა 55-60-იან წლებში, ამ პერიოდში აგურ-კრამიტის ქარხნის კოლექტივმა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებსაც მიაღწია. მათ სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მუშაობას იწყებდნენ ყველაზე როგორ და შრომატევად სამუშაოზე – დაწყები მუშის პროფესით (აღნიშის აღება – დაწყობას, აგურის დაცლა, ბეტონის სამუშაო, ასფალტის დაგება, თიხის ჩაყრა, კრამიტის მოჭრა, დაწყობა, რონოდების გადატანა და სხვა). შემდეგ სწრაფად უუფლებოდნენ სხვადასხვა სახის პროფესიას და შესაბამისად მრავალმა დაიკავა მოწინავე პოზიციები. ყალიბდება ახალგაზრდული ბრიგადები (ვ. შაქარაშვილი), ცვლები (გ. ხუბაშვილი, გ. ჯუხარიძე, გ. აბუშვილი, კრამიტის საამქრო (გ. კალატოზიშვილი, მ. ღობნელიშვილი).

ახალგაზრდობის დიდი ნაწილი წარმოების მართვის კულტურული საპასუხისმგებლო უბანზეა და საერთო მიღწევებში დიდია მათი ხედრითი წილი და დამსახურება.

აშურიანის ამ გიგანტ ქარხანაში სტუდენტობისას ჯერ საწარმოო პრაქტიკა გაიარეს, ხოლო შემდეგ მისი ხელმძღვანელები გახდნენ – ამური შარანგია (ჯერ მთავარი ინფორმირია, ხოლო შემდეგ დირექტორი), მილერი ლიბნელიშვილი (მთავარი ინფორმაცია). ახლა ისინი სამუცნიერო კვლევითი სამუშაოზე არიან, ხოლო ადგილობრივი კადრია გურამ ლელაშვილი – მთავარი მექანიკი; ნიკოლოზ იამე ქარხნის მთავარი ტექნიკოგია, ნიკოლოზ დათაშვილი, მთავარი ენერგეტიკოსი, თამრიკო მოდებაძე – ტექნიკური კონტროლისა და ლაბორატორიის განყოფილების გამგე, იოსებ მარილშვილმა მუშად დაიწყო მუშაობა, ქარხნიდან წავიდა უმაღლეს სასწავლებელში, ახლა კი მცირე საკედლე ბლოკების ქარხნის დირექტორია, ელისო მემარნიშვილი წარმოების წამყვანი ინფორმირია, ჯემალ წივწივაძე ბლოკის ქარხნის მთავარი ინფორმირი. იოსებ მარილშვილი და გურამ ლელაშვილი ქარხნის მუშების შეიძლები არიან და ისინი აქ, ამ ქარხნის მუშაობა დასახლებაში, გაიზარდნენ და ახლაც მისი მკვიდრნი არიან შექმნილი ოჯახით.

მინდა გამოვყო ახალგაზრდობის ის ნაწილიც, რომლებმაც მუშის ხალათით დაიწყეს მუშაობა და შემდგომში ქარხნის მმართველ თანამდებობაზე მოგვევლინენ: უეუუნა კალატოზიშვილი-მთავარი ბუღალტერია, გივი გაბინაშვილი – კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, სულიკო ასლამაზაშვილი – საამქროს უფროსია, ევგენია აბუშვილი – ბუღალტერი, იზოლდა გვარამაძე – კადრების განყოფილების გამგე, თენგიზ ზარიძე – ავტო ფარეხის გამგე, ალექსანდრე გეჯაძე – მექანიკოსი, ივანე ჯავახიშვილი – ელექტრო საამქროს უფროსი, ნოდარ დათაშვილი – მექანიკური საამქროს უფროსი, ნელი აფიციაური – კანცელარიის განყოფილების გამგე, ლამარა დათაშვილი – ბუღალტერი, ბიჭიკო პატარქალაშვილი – პარმეტრული ხელსაწყოაპარატურების მართვის ოსტატი, დოდო ნაცვლიშვილი – ბუღალტერი, ვლადიმერ ბოგველი, – მექანიკი, ვერნერ შტევლე – მექანიკი, საამქროს უფროსი, მათ სასახლოდ უნდა თქვას, რომ მათ უმრავლესობა დღესაც აგურის წარმოებაში მუშაობს და ახალგაზრდული ენერგიით უძლვება მინდობილ საქმეს.

ახალგაზრდობის მიერ დანერგიილია არაერთი მნიშვნელოვანი

რაციონალიზატორული წინადაღება, რითაც ქარხანამ დიდი ეკონომისური მოგება მიიღო.

ქარხანაში თავი გამოიჩინეს და მნიშვნელოვანი რაციონალური წინადაღებები დანერგეს მიხეილ დათაშვილმა და ალექსი გეჯაძემ – წერხებზე კონსტრუქციული შესწორებებით. ივანე სულთანიშვილმა აგურის პაკეტური წყობის დანერგვა, „ზახვატი“, ესტატე იმეშაშვილმა სარანდო დაზგის რეკონსტრუქცია, ნოდარ დათაშვილმა, ვლადიმერ ბოგველმა ბლოკის წერხის მუშაობის გაუმჯობესება, ამირან კალატოზიშვილმა შრობის და გამოწვის გაუმჯობესება, გივი კალატოზიშვილმა და მესროფ მამაცაშვილმა ელევატორების შეცვლა ტრანსპორტირით და მრავალი სხვა.

მუშაობის მაღალი პროფესიული ოსტატობის ნიმუში მოგვცეს უფროსმა გამომწველებმა: რევაზ ჭეშელაშვილმა, ვახტანგ ოდოშაშვილმა, იოსებ ნუგზარიშვილმა, გამომწველებმა გურამ იაძემ, ვასილ (სუჯანა) მერებაშვილმა, ვლადიმერ ბოგველმა (ზეინგალ შემკეთებელი) ტარიელ დავლაშელიძემ (რონოდების ჩამტვირთავი) ლიდა თაბორიძემ (ამწეს მემანქანე), გივი შაბურიშვილმა (მწერხავ-შემკეთებელი), ვალიკო მამასახლისოვმა (ვაგონეტების ჩამომტანი, გადამაადგილებელი), გურამ პატარქალაშვილმა (ავტო ამწის მემანქანე), რევაზ შარიფაშვილი (ავტო მძღოლი), რევაზ კალატოზიშვილმა (ავტო მძღოლი), მაყვალა გრიალაშვილმა, ელზა ერემოვნა, ანა აზმაიფარაშვილმა – (ალიზის დამწყობები), ექსკავატორის მემანქანე დავით ჭეშელაშვილმა და სხვებმა.

ახალგაზრდების ჯგუფები აწყობდნენ ექსკურსიებს, ესმარებოდნენ კოლმეურნეობებს.

60-იან წლებში ქარხნის მუშაობაში იმდენად დიდი იყო ახალგაზრდობის ხვედრითი წილი, რომ დადგა საკითხი ქარხნისათვის „ახალგაზრდული კოლექტივის“ სახელის მინიჭების შესახებ, რასაც სამინისტროსა და რაიონის ხელმძღვანელობის ერთობლივი მხარდაჭერა მოჰყვა და მიიღეს საერთო გადაწყვეტილება, „მეტების აგურ-კრამიტის ქარხნისათვის „ახალგაზრდული კოლექტივის“ წოდების მინიჭების თაობაზე“, მაგრამ... (ამაზე შემდეგ)

ქარხნის ისტორიას ამდიდრებს ოჯახური დინასტიები. შემდეგი – მიხეილ, გიორგი, ოთარ, რევაზ შარიფაშვილები, მამა წყალობა, მიხეილის შვილი ჯემალი და-ძმები ზაირა, მარინე, ზურაბ, ვასილ სულთანიშვილები – მშობლები: ივანე და თამარი. დები: ნაზი, ცირა,

თინა დავითაშვილები მამა განტანგთან ერთად, ძმები და მათი შვილები იასონი, მიხეილი, გიორგი, სულიკო, ნიკოლოზ დათაშვილები, დალი, ლია ხებაშვილები და მათი მშობლები გოგი და ევგენია, გივი, იზოლდა გვარამაძები და მათი მშობლები გოგი და თალიკო. ალექსი, ნელი ნაკროზაშვილები მამა ვლადიმერთან, გივი, ელზა გაბინაშვილები მამა ვასილთან, გიორგი, თემური, აბუაშვილები მამა ვასილთან ერთად.

ამ ქარხანაში მოკრძალებით შემოვიდა სკოლის მერხიდან შალვა ასლამაზაშვილი და ალიზის დაწყობა – მიწოდებაზე იწყო მუშაობა, შემდეგ მან წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი და რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ედგა სათავეში წლების განმავლობაში, ახლაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს თავისი სპეციალობით, სოფლის თავკაცია.

ხებაშვილების ოთხი ქალიშვილიდან ორმა: დალიმ და ლიამ სკოლის დამთავრებისთანავე კომბინატში მზა პროდუქციის დაცლაზე დაიწყეს მუშაობა, ხოლო შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტები გახდნენ. ახლა დალი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, კარდიოლოგი, ხოლო ლია სამედიცინო ინსტიტუტში ლექციებს კითხულობს. ქარხნიდან წარმოებას მოუწყვეტლივ ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი და საშუალო – სპეციალური განათლება, მაგ. გივი გაბინაშვილმა, სერგო ქიტიაშვილმა, ალექსი გეჯაძემ და მრავალმა სხვამ.

სასიხარულოა, რომ ქარხნის ახალგაზრდებმა გულისსწორიც აქვე იპოვეს და ოჯახები შექმნეს. ბევრ მათგანს უკვე შვილიშვილებიც ჰყავს. აი ისინიც:

იასონ დათაშვილი – ნათელა ბალავაძე, ვალიკო მერებაშვილი – ჯულიეტა ჯავახიშვილი, შოთა მელქაძე – ოლია გუგულაშვილი, უშანგი შაველაშვილი – უუშუნა კალატოზიშვილი, ივანე ჯავახიშვილი – ცირა დავითაშვილი, გივი გაბინაშვილი – ნელი ნაკროზაშვილი, გურამ ბარნაბიშვილი – მზა მღებრიშვილი, შურა ხეჩუაშვილი – ელვარდი ოდოშაშვილი, შოთა გეჯაძე – იზოლდა გვარამიძე, ჯემალ გზირიშვილი – ნელი აფიციაური, ქორა აბეანდაძე – ევგენია მღებრიშვილი, ახალგაზრდა ინუინრები მილერი ღობნელიშვილი – ცაცა მახარაძე, გოგი გორგიშელი – იზოლდა ხოხაშვილი, გურამ ლელაშვილი – ელისო მერმანიშვილი, ბევრ მათგანს ახლა უკვე ასაკოვანი შვილები ჰყავთ და მშობლების გვერდით

მუშაობენ ქარხანაში. ასეთებია: ნიკო დათაშვილი, თამაზ შაველაშვილი, თამაზ გეჯაძე, გია ჯავახიშვილი და მრავალი სხვა, რომლებიც მშობლების ტრადიციებს აკრძალებენ.

დასახანია, რომ ახალგაზრდობის დიდი მეგობარი და თანამოზიარე ყველასათვის საყვარელი ადამიანი ცირა დავითაშვილი უდროოდ გამოაკლდა იმ პლეადას, რომელთაც უდიდესი ამაგი მიუძღვით ქარხნის წინსვლის საქმეში. ცირა ერთ-ერთი პირველი ქალიშვილი იყო, რომელმაც სკოლის მერჩიდან მოსულმა როული სამუშაო – ალიზის დაწყობა ითავა, იგი ახალგაზრდული ბრიგადის შექმნის ინიციატორია. მას გვერდში ამოუდგნენ ახალგაზრდები: გულო ოდოშაშვილი, იზო გვარამიძე, ელვარდი ოდოშაშვილი, მზაა მლებრიშვილი, ომარ მაზმიშვილი, გივი და ნელი გაბინაშვილები, ზოია ენუქიძე, ომარ სულუაშვილი და სხვები.

ახალგაზრდულ კომეკშირულ ცხოვრებაში სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდნენ: ზაირა სულთანიშვილი, ჯონდო ნიუარაძე, ელისო მერმანიშვილი, რევაზ კოტიაშვილი, ტარიელ ქვრივიშვილი, თინა გეჯაძე და სხვ.

ქარხნის კოლექტივი ახალგაზრდული ენთუზიაზმით იყო დამუხტული, მუშაობა ტარდებოდა ახალი ზღუდეების დასაპყრობად, მაგრამ რაიონში და ქვეყანაში მრეწველობის განვითარების შედეგად მომრავლდა საწარმოო დაწესებულებები, საამშენებლო ორგანიზაციები, ამის შედეგად კოლექტივი მოულოდნელი სიძნელეების წინაშე დადგა. ამის დაძლევა კი არც თუ ისე იოლი გამოდგა, შრომის მეტმა ანაზღაურებამ და უკეთესმა პირობებმა სხვაგან მიიზიდა ახალგაზრდობა – მუშახელი. ამის გამო შენელდა ქარხანაში ახალი ნაკადის მოსვლა. იწყო მომუშავეთა დენადობა, ზოგმა სწავლის, ნაწილმა კი იოლი სამუშაოს შოტნის სურვილით დატოვა ქარხანა და ასე თანდათანობით დაკარგა კოლექტივმა ახალგაზრდული იერი, რამაც სერიოზული პრობლემები წარმოშვა.

ახალგაზრდებზე, მათ საგმირო საქმეებზე, შემოქმედებით შრომაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, კიდევ ბევრი აზრი შეიქმნება მომავალშიც. ამჯერად კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქარხნის ისტორიაში უდაოდ სანიმუშო და დაუკიდებერი კვალი დატოვეს ახალგაზრდებმა.

სოციალურ-კულტურული მშენებლება

აშურიანზე აგურის საწარმოსა და მოსახლეობის დამკიდრება — ეს იყო ახალი მოვლენა, დროის პირმშო. ქვეყნის ცხოვრებაში ჩაება ამ რევიონის მშრომელთა უდიდესი კონტინგენტი. ქარხანა გახდა მისი ცხოვრების ნაწილი.

განვითარების ამ პროცესში წარმოშვა ახალი საზოგადოება — მშრომელი ადამიანების ყოფა-ცხოვრების დონის გაუმჯობესება, მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილება, კედება, დასკვნება, გართობა, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ყოფა-ცხოვრება ადამიანის საზოგადოებრივ დამოკიდებულებას გამოხატავს, იგი განისაზღვრება საზოგადოების საწარმოო განვითარების დონით და ასახავს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოების პროცესის გარეთ.

როგორც ცნობილია, სოც-კულტურული მშენებლობა სამშენებლო კერამიკით წარმოების ჩანასახიდანვე იწყება, მაგრამ ქარხანაში წარმოების განვითარების ტემპმა წინ გაუსწრო მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონეს.

ჯერ კიდევ მოუწყობელი, დაულაგებელი ტერიტორია, გაუქცალავი ქუჩები, ატალახებული გზები, მოუწესრიგებელი ეზოები, შეუსაბამო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დაბალი დონე, სერიოზულ ყურადღებას მოითხოვდა. ანალოგიური მდგრამარეობა იყო ქარხნის შიგნითაც. მუშებს საკმარისი არ ჰქონდათ ტანსაცმლის გამოსაცვლელი კარადები, ტუალეტი. არ მოქმედებდა საშხაპე განყოფილება და სხვა.

მშრომელი ადამიანების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე, ქარხნის დირექციისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა 1957-1959 წლებში. სულ რაღაც ორ-სამ წელიწადში იმდენი აშენდა და გაკეთდა, რომ მისი ჩამოთვლაც კი ჭირს. სახელდობრ:

მოსაფალტდა სამანქანე და ფეხით მოსიარულეთა გზები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქარხნის შესასვლელს, დაიდგა ლამაზად გაფორმებული „საპატიო დაფა“, აშენდა ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, „კულტსახლი“, მუშათა სასადილო,

სპორტული მოედანი, სპორტდარბაზი, კულტ სახლთან დაიდგა ქვეყნის ბელადის ძეგლი. ყველა მშენებარე ობიექტების გარშემო გაშენდა ლამაზად გაფორმებული ბაღები, ხეივნები და დასასვენებელი ადგილები. დაირგო დეკორატიული ბუჩქები, მრავალწლიანი ტროპიკული, წიწვოვანი, და ფოთლოვანი ძვირფასი ჯიშის ხემცენარები. ქარხანა შემოიღობა დამცავი კაპიტალური კედლით. გაშენდა გაზონები. ტროტუარები. ქუჩების გაყოლებით აშენდა აგურის დეკორატიული კედელი. შეკეთდა ფინური ბინები. მისასვლელი გზები. 20 ოჯახზე გაცემული იქნა საკარმილამი მიწის ნაკვეთები (0,12 ჰა) ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, საიდანაც საფუძველი ეყრება მებაღეობისა და მევენახეობის განვითარებას აშურიანზე.

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ აშურიანის ეს მონაკვეთი ბაღნარად იქცა.

ქარხნისა და მუშაობა დასახლების ტერიტორიაზე ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების გაშენებით, მრავალმხრივი კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებით დაიწყო ახალი ერა „ხარაბად“ (დანგრეულს, აოხრებულს ნიშნავს) ქცეულ აშურიანის ცხოვრებაში.



გამწვანებაზე

დღევანდელი
გადასახედიდან
შეიძლება ძნე-
ლიც იყოს იმის
წარმოსახვა,
რაც მაშინ გა-
კეთდა. მაგრამ
ვისაც ახსოვს
60-იანი წლების
ქარხანა, ბაღნა-
რად ქცეული
ტერიტორია,
დამემოწმება,
რომ ამ მონათ-

ხრობში ნათქვამი მოკრძალებული უფროა, ვიდრე გადაჭარბებული. სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი ამით არ დამთავრებულა. ცხოვრებამ ბევრი რამ წარმოშვა შესასრულებლად აუცილებელი.

უპირველესად საცხოვრებელი ბინების მშენებლობა, მუშათა საყიფუაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. მუშათა კონტიგენტის აღვილზე დამაგრების აუცილებლობა, კეთილ მოწყობის სამუშაოების ჩატარება და სხვა. რაც იმით დაიწყო, რომ დასახლების უბანში აშენდა 20-24 ბინანი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, 20 აღვილიანი ბაგა-ბაღი, სკოლა, პურის საცხობი, შეიცვალა სასმელი წყლის მიღებავანილობანი. რეკონსტრუქცია (კვლავ) გაუკეთდა ქარხნის შესასვლელს.

კაპიტალური კედლები შემოაშენდა ფინურ ბინებს, ქარხნის შეინითაშენდა თანამედროვე ტიპის მუშათა სასახლილო, აბანო... საამქროებს დაემატა ტანსაცმლის გამოსაცვლელი კარადები, საშხაპე განყოფილება. მოწყო „წითელი კუთხე“, დასასვენებელი ოთახები და სხვა.

ყოველივე ეს განახლებანი ტარდება 1960-1990 წლებში.

დასანანია ისიც, რომ დღემდე არ მოქმედებს დასახლების უბნის საკანალიზაციო სისტემა. თანხები კი ყოველ წელს იხარჯებოდა. არაორგანიზებულია ნაგვის გატანა. ეზოებსა და ბაღებში ცალკეულ მოსახლეთა მიერ უსისტემოდ ჩადგმული დამხმარე ნაგებობები და მოწყობილი ღობები საერთო იერსახეს უკარგავს განაშენიანების მწყობრ სისტემას.

სადგურ მეტეხის დასახლებას კვლავ ესაჭიროება ყურადღება.

თავარუდამხვევი ტარმატებები

ღონისძიებანი, რომელიც ქარხანაში განხორციელდა, საერთო მოწონებას იმსახურებდა, ცნობილია ისიც, რომ სტაბილური მუშაობის საწარმოს ჩამოყალიბება არც თუ ისე აღვილია. სოც კულტურულ მშენებლობაზეც დიდძალი შრომა და ენერგია დაიხარჯა, მაგრამ ნათქვამია „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“.

მოხდა ისე, რომ ქარხნის წარმოჩენამ სასურველ დაბოლოებას ვერ მიაღწია, წარმატებებმა უპირველესად წანამშეღოლი - პირველი კაცი - დირექტორი გრიგოლ ცხოვრებაშვილი დამუხტა, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ჩატარდა უდიდესი სამუშაოები. სწორედ მისი ინიციატივით გაჩნდა იდეა წნევების მოღვრნიშაციის

შესახებ – ერთნახევარი სისქის ალიზის დაყალიბებისათვის, რაც საბედისწერო გამოდგა.

ცნობილია, რომ ნორმალური აგურის სისქე 65–68 მმ-ია, ხოლო ერთნახევარი სისქის 100 მმ-დეა. აგურის წარმოების გაზრდის მიზნით ახლად დამორჩაუებულ ახალი „სმ-301“ ტიპის წნებზე დირექტორის ინიციატივითა და მოთხოვნით დაიწყო ერთნახევარი სისქის ალიზის დაყალიბება და ერთი დაწესებით მივიღეთ ერთნახევარი მოცულობის ალიზი (ერთის ნაცვლად), სადაც ყოველი ათასი ცალი უდრიდა 1500 ცალ პირობით აგურს, აი, აქ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო. წნებზების ძირითადმა დეტალებმა – დგანებმა (იგი თუკის სხმულია) კერ გაუძლეს ერთდროულად ოთხი ცალი ალიზის დაწესებისათვის მექანიკურ დაწოლას და იწყეს მსხვრევა.

„სმ 301“ ტიპის წნებზე საკმაოდ დიდი ზედრითი წნევით ხასიათდება (ჩვეულებრივი აგურის წნებისას რეზერვუარში ზეთის ტუშივით შექმნილი წნევა 15 ატმოსფეროს უდრის), ხოლო ალიზის წნების დროს ერთ კვადრატულ სანმიტეტრზე 200 კგ-მდე წნევას ავითარებს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შშრალი მასის წნების პროცესზე გაელენას ახდენს მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა, მაგალითად მინერალოგიური და გრანულომეტრული შემადგენლობა. ალიზის წნების ამ პროცესს რომ ვიზილავთ, ვხედავთ, თუ რა სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული (ერთნახევარი სისქის აგურის გამოშვებისას). უპირველესად გაანგარიშებული არ იქნა თიხის თვისებები და მისი შემადგენლობა. საყალიბო მატრიცებში წარმოქმნილი ხახუნის ბალა, წნევის სიდიდე, მასიდან ჰაერის გამოდენის პროცესი, ამასთან გათვალისწინებული არ იქნა ისიც, რომ რაც უფრო ნაკლებია თიხის ტენიანობა, მით უფრო მეტი წნევაა საჭრო ალიზის დასაყალიბებლად, ეს პროცესი კი მუდმივია ალიზის დაყალიბებისას. რადგან ხშირია ცვალებადი ტენიანობა, ამასთან გამორიცხული არ იყო მწნებავი ძალვის არათანაბარი განაწილება ალიზის დაუწესებობის, ან გადაწესების თვალსაზრისით. ერთიც და მეორეც თხოულობს წნების პერიოდის გახანგრძლივებას. ცნობილია მაგალითად, თუ ერთი ჩვეულებრივი ალიზის დაყალიბებას სჭირდება 2,08 წამი, ერთნახევარი მოცულობის ალიზის დაყალიბებასაც ისევ ის დრო დაეთმო, ამით უარყვეს ალიზის წნების პერიოდის გათვალისწინება.

ცნობილია ისიც, რომ გადაჭარბებული წნების შედეგი იწვევს

ალიზის განივ და გრძივ პზარებს. სუსტია მისი ყინვაგამძლეობა. ყოველივე ის, რამაც წნეხები სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა, მოხდა კონსტრუქტორთან შეთანხმების გარეშე - პირობების წინასწარი გათვალისწინების გარეშე, რაც ძვირად დაუჯდა ქარხანას. შეძლებ კი ატყდა ვაი უშველებელი, სირბილი სხვა ქალაქებში ახალი წნეხვის და მარაგ. ნაწილების შემოსატანად, რაც არც თუ ისე ადვილი იყო იმ დროისათვის.

ახალი წნეხების შემოტანაზე დიდძალი შრომა და ფულადი სახსრები დაიხარჯა. მოხდა ისეც, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ჯართად ჩაბარებული დეტალების უკან დასაბრუნებლად ჩვენი წარმომადგენელი ჩავიდა. შეცვლილ „უვარგის“ დეტალებს ვაყენებდით ისევ წნეხებზე. ქარხნის კოლექტივში მომდლავრდა უქმაყოფილება, შესუსტდა მუშაობის ინტერესი ყოველივე ამის გამო. 1960 წელს მხოლოდ 37 მილიონი ცალი პირობითი აგური იქნა გამოშვებული მაშინ, როცა წინა 1959 წელს 56 მილიონს შეაღენდა. ხოლო თუ ცალთა რაოდენობით განვსაზღვრავთ, ერთი მესამედით ნაკლები იქნა წარმოებული, ე. ი. 22,5 მილიონი ცალი.

ქარხნისა და ზემდგომი ხელმძღვანელობა საგონებელში ჩავარდა. ზედიზედ ჩერდებოდა წნეხები, ძალზე დაქვეითდა შრომითი მაჩვენებლები, ქარხანა ისევ შეიკუმშა, ისევ დაპატარავდა, კოლექტივში თავი იჩინა არაორგანიზებულებამ, დაირღვა მშენებლებთან დადებული ურთიერთხელშეკრულებები. ჯარიმებს ჯარიმებზე ვიხდიდით პროდუქციის გადაუტვირთაობის გამო. შრომით კოლექტივში სამსახურებსა და ქვეგანყოფილებებს შორის ურთიერთ მოქმედება შეირყა, არასტაბილური განდა, გენერალური დირექტორის ტიტულისათვის შემზადებული დირექტორი უცებ მოიღუშა, მოღუნდა, მოუსვენრობა დაეტყო.

კოლონტარიზმისა და სუბიექტივიზმის ქარიშხალმა ბუნებრივია არც მეტების სამშენებლო მასალების მწარმოებლები დატოვა მიღმა. ქარხანაში თავი იჩინა სხვადასხვა ნაკლოვანებებმაც. შესუსტდა კონტროლი მუშაობის ყველა სფეროში, მოიშალა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა. შესუსტდა პროდუქციის აღრიცხვისათვის კონტროლი, გაუარესდა ყველა საერთო მაჩვენებელი, მდგომარეობამ ისიც განაპირობა, რომ კოლექტივში თავი იჩინა

საჩივრებმა. (ერთ-ერთი დიდი მოცულობის საჩივარი იყო ვლადიმერ ენუქიძის), გაჩნდა „მღრღნელებიც“, ბეღლის თაგვები, ოლი გზით გამდიდრების მაძიებლები, გამოშვებული პროდუქცია შეხედულებისამებრ იგზავნებოდა „პრივილეგირებულ“ მშენებლებისათვის. ყველას თვალწინ დაიწყო ცალკეული ავტომანქანების მდორლთა თარეში, რომლებსაც სურდათ არასწორი გზით, გაეტანათ აგური, კრამიტი, ბლოკი...

იყო შემთხვევა, რომ უხარისხო აგურის გამო დაინგრა ერთ-ერთი შენობა.

არც 1961 წელი იყო პერსპექტიული, რის გამოც მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხნის მოუღლოდნელმა ჩავარდნამ კვლავ მიიქცია ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების ყურადღება. საკავშირო სამინისტრომ დიდი მცდელობის შედეგად საზღვარგარეთ გასაგზავნი ფონდიდან მოხსნა და გამოგვიყო ერთი წესი და მარაგნაწილები, შექმნილი სიტუაცია ზემდგომ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელობის მსჯელობის საგანი გახდა, ხოლო ქარხნის დირექტორს გრიგოლ ცხოვრებაშვილს არ დაუკარგეს ქარხანაში გაწეული შრომა და იგი გადაყვანილი იქნა საქართველოს მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ.

ახალი ზღუდვები

მეტეხის აგურ-კრამიტის ქარხანაში კომპლექსურ ორგანიზა-ციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა ფონზე ახალი (1961-1965 წ. წ.) ხეთწლედი არცთუ ცუდად დაიწყო. აგურის წლიური წარმოება წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით ორჯერ გაიზარდა (საშუალოდ 70 მილიონი ცალი), გამოსწორდა მცირე საკედრე ბლოკის და ლენტური კრამიტის ნაწარმოების საქმეც.

საწყის პერიოდში ქარხანაში მუშაობს 4 წესი, 4 ღუმელი, 15 გვირაბისებრი საშრობი, დატვირთვა — გადმოტვირთვის ერთი მოედანი. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ორი სახის ტრანსპორტით

(ავტომანქანებით და რკინისგზის ვაგონებით) ნაწილი თვითგაზიდვითაც, მდგომარეობა თანდათან სტაბილური ხდება, კოლექტივმა პვლავ ირწმუნა თავისი ძალა და შესაძლებლობანი, მაგრამ გაჩნდა ახალი ზღუდეები, რაიონებისა და სამრეწველო საწარმოთა გამსხვილების ტენდენციით ქარხანას შემოვიდერთეს ტერიტორიულად დამორჩეული ფინანსურად ჩამორჩენილი, ტექნიკურად გაუმართავი — კავთისხევის კირის, ახალქალაქის (ქართული) კრამიტის, საქადაგიანოს (მარსელის ტიპის) კრამიტის, ცოტა გვიან კი თემის მცირე საკედლებლოკის საწარმოები, რომლებმაც დაბლა დასწრა ქარხნის ფინანსურუკონმიური მაჩვენებლები, გამნელდა წარმოების მართვა. ქარხნისათვის მძიმე აღმოჩნდა ზემდგომიდან ლოზუნგი: „ქვეყნის საამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის უნდა გადავიდეთ მსხვილ პანელიან ნაკეთობათა წარმოებაზე“—ო. ამის გამო კი ბევრგან გაჩერდა აგურის ქარხნები. ხარკოვის ქარხანა „კრასნი ოქტიაბრმა“ შეწყვიტა წნეხების და სათადარივო ნაწილების წარმოება, ძალზე მტკიცნუული გახდა აგრეთვე გეგმა—დავალებების გაზრდა შესაძლებლობების გაუანგარიშებლად „ზეწოლის“ მეოთხით. (მაგალითად: 1961 წელში გამოშვებული იქნა 61,6 მილიონი ცალი აგური, ხოლო 1962 წლისათვის გეგმა დავალება გაიზარდა 68 მილიონი ცალით. 1963 წ. შესრულებული იყო 63 მილ. ხოლო მომდევნო წლის გეგმა შეადგენდა 76 მილ. ცალს. რატომ? რისთვის? ამაზე ვის შეუძლია რეალური პასუხის გაცემა. გეგმა დავალებების დაშვება ხდებოდა კოლექტივის აზრის გაუთვალისწინებლად „გეგმა კანონის“ კარნახით (შიშით, რაც ხშირი იყო). საწარმოო გეგმა—დავალებათა ნახტომისებურმა ზრდამ წარმოქმნა იქრიშობანა, დაირღვა შეკეთების გრაფიკები, მანქანადანადგარები მუშაობდნენ გაჩერებიდან გაჩერებამდე, ამის გამო იწყო კადრების დენადობა. შესუსტდა მამოძრავებელი ბერკეტები, ქარხნის ხელმძღვანელობა (თური ვოლობულები) მოელი სიმკაცრით მოითხოვდა გეგმა დავალების შესრულებას, საამისოდ მიმართავდა მკაცრ ღონისძიებებსაც, რათა ემუშავა წნეხებს, ღუმელებს და ყველაფერს, ოღონდ აგური გამოსულიყო... ღამენათუვი მუშა ზოგჯერ ხელცარიელი მიდიოდა სახლში დაჯარიმებული „ცუდი“ მუშაობის გამო, ხელმძღვანელობის მიერ გატარებული იძულებითი ღონისძიებით (სხვადასხვა სახის სასჯელისა და კადრების გადაჯგუფების სისტემით) ქარხანამ მიაღწია აგურის რაოდენობრივი ზრდის ტენდენციას (73 მილიონი წელიწადში), რისთვისაც

იყო ქება-დიდება რაიონული მასშტაბით, მაგრამ ამ „ამოქაჩივით“ შესრულებას სასურველი შედეგი არ მოუტანა და პირიქით, საფუძველი შეურყა მომდევნო წლების მუშაობას, ხოლო ხუთწლედის (ნავარაულევი) გეგმა-კალდებულებანი საერთოდ არ შესრულდა. მიზე ზი? ზეწოლა, აგურის რაოდენობრივი ზრდის მარათონი...

იყო შემთხვევები, როცა თვის, ან წლის გეგმის შესრულება ხდებოდა მიწერების ხარჯზე, ჯერ კიდევ ღუმელებში მდგარი, დაუცლელი აგურის ვაგონები ჩაითვალა გეგმის შესრულებაში, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ვინ იყო ამ საქმის ავტორი – ზეწოლა? გეგმა? ზემდგომი ოუდირექტორი? საგულისხმოა ყველა ერთად. ეს ვითარება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მაკონტროლებელ ორგანოებს, შეიცვალა... დირექტორი, მაგრამ ზევით წასული შესრულების ციფრები არავის დაუბრუნებია უკან.

აღსანიშნავია, რომ ხუთწლედს ჰქონდა მეორე ღირსეული თარიღი, რომელიც ისტორიულ მოვლენადა მიჩნეული, ესაა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ 1963 წლის 6 სექტემბრის № 1579 განკარგულება, რის შესაბამისადაც (საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს 10.XI № 307 ბრძანების საფუძველზე მეტების ქარხანაში 16 X № 158 ბრძანებით), „ვინაიდან მეტების აგურკრამიტის ქარხანა უშვებდა აგურს, კრამიტს, მცირე სიკედლე ბლოკს, კირს, სახელწოდება არ შეესაბამებოდა არსებულ სახელწოდებებს, ამასთან დაკავშირებით ვძრძანებ: მეტების აგურ-კრამიტის ქარხანას ეწოდოს „მეტების საშენ მასალათა კოშინატი“. ამ სახელწოდების მინიჭება ორი გარემოებითაც იყო ნაკარნახევი. ერთი, რომ მართლაც იყო მრავალდარგოვნი წარმოების ქარხანა, მეორე კი, რომელსაც არც მე გამოვრიცხავ, იყო აზრი, რომ იმ პერიოდში, ვინაიდან აგურის საწარმოები ბევრგან დაიხურა, ამისათვის ზემდგომა ამ საწარმოს გამსხვილება მოახდინა, რათა აგურის ქარხნის მაგიერ კოშინატი ეწოდებინათ, რომ არ დახურულიყო, როგორც სხვა აგურის საწარმოები. ასე იყო, ოუ ისე, ამ სახელს მთლიანად იმსახურებდა ეს აშურიანელი გიგანტი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა რესპუბლიკაში, და მან ეს სახელი ღირსეულად ატარა.

60-იან წლებში, როდესაც ჯერ კიდევ ჭირდა წარმოებაში ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვა, შრობის, გამოწვის, პარამეტრული

ხელსაწყოების და სხვათა გასაჯანსაღებლად, რაც პროდუქციის ხარისხის გაუარესებას იწვევდა, სამინისტრომ მოავლინა საშენი მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის (დირექტორი კალისტრატე ქუთათელაძე) ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ჯგუფი დიმიტრი ნებიერიძის, იოსებ ჯაფარიძის, ნოდარ ღლონგის, მესროვ მამაცაშვილის და სხვათა შემადგენლობით, რომელთა მიერ ჩატარებულმა მუშაობამ, შემოთავაზებულმა წინადაღებებმა ხელი შეუწყო ტექნოლოგიური დისციპლინის გაუმჯობესებას, პროდუქციის ხარისხობრივ და რაოდენობრივ ზრდას.

70-80-იანი წლები და უაღგოა

მეტების საშენ მასალათა კოშინატის ისტორიაში 70-იანი წლები აღინიშნება მნიშვნელოვანი მოვლენებით, უპირველესად იმით, რომ საწარმომ მიღლო საბოლოო იქრსახე, რომელსაც იგი დღემდე ატარებს. მუშაობის ხეთი წენები, თინის სამარავო, თინის მიღება-დამუშავების ორი ტექნოლოგიური ხაზი, 5 ლუმენი, 22 გვირაბისებური საშრობი, აგურის დაცლა-დატვირთვის ორი მოედანი სამი ხარისხისებრი ამწეთი, კარიერზე განახლებული მოძრავი მექანიზმები. საწარმო 1967 წლიდან მუშაობის ბუნებრივ აირზე, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი აღიზის შრობასა და გამოწვას. გაუმჯობესდა აგურის ხარისხი. დადგებული ორმხრივი ხელშეკრულების საუკეთელზე კოშინატში შემოყვანილი იქნა სამხედრო ნაწილის მომუშავეთა კონტიგენტი. ამასთან ერთად საშეფო დახმარებით მუშაობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებიდან ორგშეკრუბით შემოყვანილი მუშები. ტექნოლოგიური ხაზების განახლება-გაჯანსაღებამ მუშახელის დაკომპლექტებამ ნაყოფი გამოიღო. სასაქონლო პროდუქციის ნაწარმოების და შენებელთა საკედლე მასალებით დაგმაყოფილებისათვის გაფართოვდა მცირე საკედლე ბლოკის საამქრო, სადაც ერთიორად გაიზარდა პროდუქციის წარმოება, ხოლო მისი ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით სასომხეთიდან დაწყებული იქნა ვულკანური შემავსებლის შემოზიდვა. კოშინატში კვლავ გაუმჯობესდა საწარმოო პროცესი, მოწესრიგდა საამქროთა და ცვლების მუშაობა, ისე, როგორც არას-დროს, კოშინატს შესაძლებლობა ჰქონდა პროდუქციის წარმოების გაზრდისა და ასეც მოხდა.



შესვენებისას

გაძლიერდა წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო უბანი, რომელსაც ემსახურებოდა გადმოტვირთვა-დატვირთვის ორი მოედანი, რკინიგზის სამი ჩიხი, სამი ხარიხისებური ამწეთი.

პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ხდებოდა ცენტრალიზებული ავტომანქანებით და რკინიგზის ვაგონებით, რომლის საშუალო სადღევრამისო გადაზიდვა შეადგენდა 250-300 ათას ცალ აგურს და 40-50 კუბამეტრ მცირე საკედლე ბლოკს. პროდუქციის რეალიზაციის საქმეს ხელი შეუწყო და უდიდესი ეფექტი მოახდინა აგურის პაკეტური წესით დაცლამ და მისი კონტეინერულმა გადაზიდვამ. ამ პროცესებმა ორი დიდი საქმე გააკეთა: უპირველესად 30-მდე მუშა გამოთავისუფლდა აგურის დაცლიდან და შენებლებმა აგური კონტეინერით პირდაპირ შენობის სართულზე მიღეს. ეს დიდი ეკონომია იყო ქამატისათვის.

კომბინატის სარეალიზაციო განყოფილების („სბიტის“) ოპერატორების: თამარ სკვარცოვას, თამარ სულთანიშვილის, ნაზი დავითაშვილის და ანა (დოლო) ნაცვლიშვილის საქმის ცოდნითა და ენერგიული მუშაობის შედეგად ხდებოდა პროდუქციის რეალიზაცია, რომლის უდიდესი ნაწილი ცენტრალიზებული ავტომანქანებით და

რეკონიგზის რონოდებით იგზავნებოდა. ისინი ზეპირად ფლობდნენ საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის რუკას, მშენებარე ობიექტებს და შეუცდობელ მიმართულებებს აძლევდნენ სამშენებლო ობიექტებზე გადასატვირთ აგურსა და ბლოკს, რის დიდი ნაწილი კონტეინერული წესით სრულდებოდა.



ა. დათაშვილი, ა. ბიძინაშვილი და
ნ. მჭედლიშვილი ამოწმებენ მცირე
საკედლე ბლოკის ხარისხს

ნაყოფიერი გამოდგა 1970 წელი, როდესაც კომბინატმა გამოუშვა 80 მილიონი ცალი ხარისხოვანი აგური და 21 ათასი კუბამეტრი მცირე საკელე ბლოკი. კიდევ უფრო რეგორდულია 1971 წელი. (დირექტორი – ლეონიდე წულეისკირი, პარტორგანიზაციის მდივანი – გივი კალატოზიშვილი, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე – ანზორ სვანიძე,

კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი – ცირა დავითაშვილი). ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი წელი კომბინატის ცხოვრების ისტორიაში. აშერიანის ამ მაღლიან მიწაზე წარმოებული იქნა 83 მილიონი ცალი მაღალხარისხოვანი აგური და 54 ათასი მცირე საკედლე ბლოკი – ანუ 27 მილიონი ცალი პირობითი აგური. (ე. ი. 110 მილიონი ცალი პირობითი აგური წელიწადში) იყო შრომა, ენთუზიაზმი, შემართება – იყო წარმატებები, კომბინატს ჰყავდა წამყვანი ძალა – აქტივი, რომელთა რიცხვი საქმარე დიდია, (მაგრამ) მინდა მათი სახელების წარმოჩენა: საამქროს უფროსები: იასონ დათაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, სერგო ქიტიაშვილი, კარიერზე – ბრიგადირები: ვლადიმერ შაქარაშვილი, სიმონ ბოგველი, მოტომზიდავების მბროლები: ალექსი გერმანოზიშვილი, გურამ პატარქალაშვილი, გიორგი ხუბაშვილი, ვასილ აბუაშვილი, ეთერი კალატოზიშვილი-დავითაშვილი – ცვლის უფროსები, ნოდარ დათაშვილი – ხარატი, ივანე დურგლიშვილი – ავტომბლოლი, ვლადიმერ ბოგველი, მოსე ბერიაშვილი – ზეინ კალ შემკეთებლები, მიხეილ დათაშვილი – მწნეხავ-შემკეთებელი ბრიგადის ხელმძღვანელი, ალექსი გეჯაძე, გივი შაბურიშვილი, ვერნერ

შტელე – მწნეხავ შემკეთებელი, ედუარდ დანდურიშვილი, ალექსი თათანოვი, ივანე ჯავახიშვილი, ივანე სულთანიშვილი – ელექტრო შემკეთებელი, ვალერიან მამასახლისოვი, ნინა ბექაური – აგურის დამცლელები, ანა აზმაიფარაშვილი, ელიზა ერემოვა, მაყვალა გრიალაშვილი-დათაშვილი ალიზის დამწყობები. ტარიელ დავიაშერიძე – ელ ურიკის მძღოლი – ჩამტვირთავი, ესტატე ზუბიაშვილი – მშრობელი, გურამ იაძე, ვახტანგ ოდოშაშვილი გამომწველი, რევაზ ჭეჭელაშვილი უფროსი გამომწველი, ნათელა ბალავაძე ლაპორატორიისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგე და სხვები. ისინი თავიანთი მაღალი შეგნებითა და პროფესიული ოსტატობით ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ კომბინატის კოლექტივის ცხოვრებაში. ბეკორი მათგანის სახელი რესპუბლიკის ფარგლების გარეთ გასცდა – დაჯილდოებული არიან მთავრობის ორდენებითა და მედლებით.



ომისა და შრომის ვეტე-
რანები: ერასტი ლომსაძე,
ვლადიმერ შატაევიშვილი,
შალვა აბრამიშვილი, აკაკი
ზარიძე; ვახილ აბუა-შვილი

ახალგაზრდობის გვერდით
დიდ პატივის იმსახურებდნენ დიდი
სამამულო ომის მონაწილენი,
ომისა და შრომის ვეტერანები:
შალვა აბრამიშვილი, შალვა
გულისაშვილი, ვახილ აბუა-
შვილი, ვახილ ბეჟიტაშვილი,
შალვა გეჯაძე, შოთა პატარქა-
ლაშვილი, დავით ლალიაშვილი,
ესტატე ზუბიაშვილი, ვახტანგ
გუგულაშვილი, შალვა გუგუ-
ლაშვილი, ვლადიმერ ნავრო-
ზაშვილი, ვლადიმერ ენუქიძე,
მიხეილ შარიფაშვილი, გრიგოლ
მღებრიშვილი, ბიძინა მაკალათია,
გიორგი გვარამაძე, ტარიელ
კვალიაშვილი, ერასტი ლომსაძე,
შოთა პატარქალაშვილი, იასონ
დათაშვილი, ლევან ჭყედლი-
შვილი, დავით თაბორიძე, შალვა
ჯავახიშვილი, კარლო ზარიძე,
სარქის ტერ-აზაროვი, ვალერიან

მაზმიშვილი, გურგენ შარიფაშვილი, შალვა გეჯაძე, ესტატე ხუციშვილი, აზატა კაზარიანი, ვლადიმერ ნაცვალაშვილი, დავით აფციაური, მიხეილ მალაციძე, შოთა იაძე, გიორგი იაძე, შალვა გოჩიტაშვილი, დავით გუგულაშვილი, ივანე ლალიაშვილი, ივანე დათაშვილი, რევაზ გეჯაძე, ა. თითირაშვილი, ივანე შარიფიშვილი, ვლადიმერ შატაკიშვილი, მათე პატარქალაშვლი, ბაგრატ ბაკანელი, ვასილ ბეჟიტაშვილი, რომან კუმლაძე, ვლადიმერ პატარქალაშვილი, გიორგი ფარემოზაშვილი, დავით ლალიაშვილი და სხვანი. მათმა პირადმა მაგალითმა დადგებითი გავლენა მოახდინა ახალგაზრდობაზე, მთელ კოლექტივზე.

ომის მონაწილეთა უმრავლესობა დაჯილდოებულნი არიან მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

მაგრამ აღმასვლამ დიდხანს ვერ გაუძლო დაბრკოლებებს, წინაღობებს, „გეგმა-კანონიას“. წარმოებაში თანდათან მოიშალა წამყვანი ბერკეტები, შემცირდა კადრების შევსების პროცესიც, შესუსტდა შრომის ორგანიზაცია, მუშაობამ თანდათან დაკარგა ელფერი, რის გამო მომდევნო წლებში დაქვეითდა აგურის წარმოება, მიზეზი აგურის წარმოების ხელშემშრელი ბევრია, მაგრამ გამოვყოფ ძირითადს, მთავრს.

უპირველესად ის, რომ წინა წლის ამოქაჩითი მაღალი მაჩვენებელი გავლენას ახდენდა მომდევნო წლის მუშაობაზე და ახლაც ასე მოხდა. მაგალითად 1972 წელს 20 მილიონი ცალით ნაკლები გამოვიდა წინა 1971 წლითან შედარებით. გეგმა დავალება კი მიღწეულზე მეტს ითვალისწინებდა.

II. საამქროებს (კარიერი, საყალიბო, საგამომწვევ) არ პქონდათ მარაგის შექმნის საშუალებანი, ისინი მუშაობენ ერთიან მთლიან საწარმოდ სინქრონულად და ერთის შეფერხება მეორის შეფერხების ტოლფასი იყო. ამასთან წარმოება სადღელამისო ცვლაზე მუშაობს და დროის მარაგი არ გააჩნია, რაც ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. თუ რომელიმე ცვლაში ჩაიშლებოდა მუშაობა, მომდევნო ცვლა ვეღარ ასწრებდა წინა ცვლის ჩავარდნას.

III. წარმოების გადამწყვეტ უბნებზე ერთ-ერთი მთავარი მიზეზი წამყვანი პროფესიების მქონე მუშაკთა ნაკლებობაა, რომელიც შევსებული იყო სამხედრო მოსამსახურეთა კონტიგენტით. მათი მოულოდნელი გაწვევა, (რაც არც თუ იშვიათი იყო) იწვევდა წარმოების სანახევროდ გაჩერებას.

IV. იერიშობანამ წარმოქმნა ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევა გველვან.

V. მუშაობის ერთ-ერთ დაბრკოლებას შეადგენდა რკინიგზის ვაგონების არარითმული, წყვეტილად მოწოდება, აგრეთვე ცენტრალიზებული ავტომანქანებისა, რის გამოც ჩერდებოდა პროდუქციის გამოსვლა, ირლვეოდა ტექნოლოგიური რეჟიმი – საკედლე მასალის წარმოების კლებაშ კლავ მიიქცა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ფურადება და კომბინატი კომპარტიის ცეკასა და მთავრობის მზრუნველობის საგანი გახდა. საშეფო დახმარების მიზნით სისტემატურად მოდიოდნენ ცეკას მურა მდივანი გენადი კოლბინი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი, მინისტრები ჯერ სიმონ ლორთქიფანიძე, და შემდეგ ოთარ ლოლაშვილი და მათი მოადგილები გახტანგ პაპიაშვილი, ალექსანდრე ვარდოშვილი, შოთა ბეზარაშვილი, გიგლა მეფარიშვილი, განყოფილების გამგეები და სხვანი. რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მიერ დაევალათ მოწინვე საწარმოებს – თბილისის სააკადამიო, რუსთავის მეტალურგიულ, თბილისის და რუსთავის მექანიკურ ქარხნებს, საქმთავარლითონ მომარაგებას და სხვებს კომინატზე სხვადასხვა სახის ტექნიკური დახმარება, რაც შესრულებული იქნა.

სადღელამისო მუშაობაზე მყოფ საწარმოში ერთგვარად გამოცოცხლდა მუშაობა, მაგრამ გატარებული ღონისძიებანი საკმარისი არ გამოდგა. კადრების დენადობამ მასიური ხასიათი მიიღო. არც კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ორგ-შეკრების წესით შემოყვანილმა კონტიგენტმა გააძართლა. მათი ხშირი შეცვლისა და პროფესიით დაუინტერესებლობის გამო, ტექნოლოგიურ ხაზში სანაცვლოდაც არ იდგა დანადგარზე მომუშავე. რისკზე მუშაობამ კი გამოიწვია წნებების მიერ დაუწეხებავი, ან გადაწეხილი ალიზის დაყალიბება, წნებების დეტალების დაზიანება, ღუმელებში ავარიები, გამოუწვავი ან გადამწვარი აგურის გამოსვლა. საღუმელე ვაგონების მასიური დაზიანება და სხვა, რაც დიდ თავსატეხად დაატყდა საწარმოს, ყოველივე ამან კი გამოიწვია აგურის წარმოების კლება და არც მისი ხარისხი იყო სახარბიერო, ყველა მიზეზის ასახვა შეიძლება, რაც ცალკე განმარტებას მოითხოვს.

1986-1990 წლები მეტად უნაყოფო გამოდგა, ადრე არსებული ნაკლოვანებები, რომლის გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა, ახლა უკვე ქრონიკული გახდა. კომინატის საიუბილეო ორმოცი წლისთავის

სამზადისძმა ელფერი დაკარგა, რიგით მერვე ხუთწლედში 266 მილიონი ცალი აგურის გამოშვებით მნიშვნელოვანად ჩამორჩა წინა შესაბამის პერიოდებს, განსაკუთრებით ბოლო წლებში. აღინიშნა, რომ ქარხანაშ საბოლოოდ მიიღო საწარმოს იერსახე, ყველა უბანზე. უფრო მეტად გახდა ოპერატორი და სხვა და სხვა. მაში რამ გამოიწვია უკუსვლა?

მუშაობაში არსებულმა დაბრკოლებებმა საგრძნობლად მოიკიდა ფესი კადრებში, რომელზეც უკვე თქვა. ქარხანაში მომავალი მომუშავე „შთანთქა“ რაიონში მომრავლებულმა საწარმოო დაწესებულებებმა. იქ უფრო იოლი სამუშაო და მეტი დაინტერესება მიიღეს მათ.

ვერ იქნა და ვერ დაინერგა ალიზის ავტომატური ან ნახევრად ავტომატური წყობა, რომელიც საყალიბო საამქროს დაყალიბების განყოფილების რეკონსტრუქციას მოითხოვდა, რაც დიდალი თანხები ჯდებოდა. მუშაობაზე გავლენას ახდენდა ისიც, რომ ქარიერზე ღია ცის ქვეშ უხდებოდათ მუშაობა ამინდის ყველა პირობებში. ღუმელებზე მომუშავებისა და აგურის დამკლელებისათვის (ზაფხულში) ნორმაზე 2-3-ჯერ მეტი იყო ტემპერატურა.

მიმე იყო ვაგონების ჩამტვირთავის, დეზინდეგრატორზე, ვაგონეტის ჩამომტანის და სხვა დანადგარზე მომუშავის მუშაობის პირობები.

მსჯავრდადებულთა კონტიგენტის შემოყვანამ და ჩასახლებამ, საწარმოო პროცესში მათმა ჩართვამ სასურველი შედეგი არ გამოიღო, ისინი არ იჩენდნენ ინტერესს პროფესიისადმი მათი სხვადასხვა პროფესიის და ასაკის გამო. ერთდებოდნენ აგურის დაწყობა-დაცლას და სხვა მიმე ფიზიკურ სამუშაოზე მუშაობას.

ყოლელივე ზემოთქმულის (და ზოგი ართქმულის) გამო აგურის წარმოების ნაცადმა კოლექტივმა თანდათან დათო პოზიციები, მან აშკარად ვერ გაუძლო იმ ჭარბ წინაღობებს, რაც ცხოვრებამ მოიტანა. 40 წლის თავზე 1991 წელს კომინატმა აწარმოა მხოლოდ 20 მილიონი ცალი აგური. ახლა? ახლა, მე-9 ხუთწლედში თითქმის გაჩერებულია.

ეგვიპტი გაირჩი

საზოგადოებრივ წყობილებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ჰყავდა მამაცი ადამიანები, აქტიური და პასიური წევრები, მოწინავენი და ჩამორჩენილები, გმირები, ზეკაცები...

სოციალისტური წარმოების სუკროსაც ჰყავდა მოწინვენი და ჩამორჩენილნი. იყო კრიტიკა ჩამორჩენილებზე, ხოლო ქება-დიდება მოწინავებზე.

საამშენებლო კერამიკის წარმოების პროცესშიც წარმოიშვნენ რაციონალიზაციონები, ნოვატორები, აქტივისტები, დუვანოვის, ს. ბასკავოვის, გ. გონჩარუნკოს, ი. მაზოვის და სხვათა სახით, რომელთა მუშაობის მეთოდებმა კორექტივული შეიიტანეს საამშენებლო კერა-მიკული ნაწარმის შრობისა და გამოწვის გაუმჯობესების საქმეში. მათი მუშაობის მეთოდები საქვეყნოდ იქნა აღიარებული და დანერგილი მეტეხელ მეაგურებს არა ჰყოლიათ საქვეყნოდ ცნობილი ნოვატორები, თუმცა არანაკლები წვლილი მიუძღვით საქართველოში აგურის წარმოების გაზრდის საქმეში. რის შედეგადაც უდიდესი მოცულობის საამშენებლო სამუშაოები შესრულდა. აგური „უხეში წარმოებაა“, ამის გამო ამ პროდუქციის დამამაზადებელთა შრომითი საქმიანობა შორს არ სცილდებოდა, ისე როგორც, მეჩაიესი, მეფოლადესი, მევენახესი. არა და, აგურის წარმოების გაზრდა 100 მილიონ პირობით ცალამდე თავისით არ მოსულა. იგი დიდი შრომის შედეგად იქნა წარმოებული. ერთხელ ერთ-ერთ გაზრთში პუბლიკაცია გამოქვეყნდა, რომ ერთ-ერთ საწარმოს ღუმელში ავარიის სალიკვიდაციოდ 100 გრადუს სიცხეში შესულა. ჩვენს ბიჭებს ლიმილი მოპგვარა ამის გაგონებამ, ვინაიდან ისინი 200 გრადუსზე და მეტ (სიცხველებში) ცეცხლში შედიოდნენ, ტანზე ცეცხლგამმლე ტანსაცმელი იხრუ-კებოდა და ავარიის ლიკვიდაციას მაინც ახდენდნენ: მიხეილ (ჭილრა) გზირიშვილი, ვასილ (სუქანა) მერებაშვილი, რეზო ჭეჭელაშვილი, ტრისტან ოდოშაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, გურამ იაძე, ვახტანგ ოდოშაშვილი, ოსებ ნუგზარიშვილი, მიხეილ შარიფაშვილი პირდაპირ ცეცხლში ვარდებოდნენ და საქმეს მაინც დიდი მონდომებით და პასუხისმგებლობით ასრულებდნენ.

მწერავ-შემქეთებელთა თავკაცების, ჯერ მიხეილ დათაშვილის, ხოლო შემდეგ ალექსი გეჯაძის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით სარეკორდო დროში პრიმიტიული ხელსაწყო იარაღებით, საამქროს მუშაობის გაუჩერებლად (ვინაიდან დიდი მექანიზმების მოწყობა არც ხერხდებოდა და დიდი დრო მიქვემდა) შეპქონდათ და ამონტაჟებდნენ 16 ტონიან სმ-301 ტიპის წნეხებს და ამით წინ სწერდნენ ქარხნისა და საერთო საქმეს.

შეიძლება ქალი ლეგენდა უწოდოთ ალიზის დაწყობაზე მომუშავე

ანა აზმაიუარაშვილს, ელზა ერუმოვას, ანაშ 25 წელი, ხოლო ელზაშ 40 წელი იმუშავა და ახლაც აგრძელებს მუშაობას. მათ ხელში იმდენმა აღიზის მასამ (ტვირთმა) გაიარა, რომ შეიძლება მხოლოდ ზღაპრად გვეჩვენოს.

მაგალითისათვის გადავხედოთ მათ ნამუშევარს: ერთი აღიზის წონა საშუალოდ 4 კგ-ია, დამწყობი ერთდროულად ორ ცალს იღებდა და ვაგონებზე 8 კგ აწყობდა ცვლაში 15-20 ათას ცალს, ზოგჯერ მეტსაც. ძნელი არ არის იმის დადგენა, თუ რამდენმა ტონა ტვირთმა გაიარა მათ ხელში ერთ ცვლაში, თვეში თუ წელიწადში და საერთოდ. მუშაობის მოელ პერიოდში და მაინც ერთ წელიწადში თითოეულმა ვაგონებზე დააწყო წონით არანაკლებ 30 ათასი ტონა აღიზი. ხოლო – 25-ან 40 წელში... ამ სამუშაოს 25 წელი ემსახურა მაყვალა გრიალაშვილი-დათაშვილიც.



ანა აზმაიუარაშვილი მუშაობისას



მაყვალა გრიალაშვილი

კარლო გოზალიშვილი, ედუარდ დანდურიშვილი, ალექსი თათანოვი სოფელ ახალქალაქიდან დაღიოდნენ, მუშაობდნენ ელექტრიკოსებად, მათი ინიციატივითა და წინადაღებით ქარხანაში არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გატარდა ელექტრო მეურნეობის გასაჯანსაღებლად. ელექტრო საამქროში სულ 10 კაცი მუშაობდა. ისინი მაღალი პასუხისმგებლობითა და ზოგჯერ რისკის ფასად მუშაობდნენ.

წარმოების ტექნოლოგიური კვანძების მოელი დატვირთვით მუშავებამ ელექტრომეურნეობის სუსტი მხარეები გამოაკლინა. რის გამოც ხშირი იყო გაჩერებები. მათი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ჯერ შეიცვალა ფაშიანი – მეტების მკვებავი ხაზი, ხოლო ცოტა გვიან კი ქარხანა ჩაერთო ახლო მდებარე ე.წ. წევის

ქვესადგურს. პარალელურად გაძლიერდა ქარხნის ელექტრო-
მეურნეობა. გაკეთდა ახალი ქვესადგურები – ელექტრო გამანა-
წილებლები.

მნელია გამოვყო მათგან რომელიმეს განსხვავებული როლი,
ვინაიდან ისინი ისე სინქრონულად, შეხმატებილებულად, კოლეგია-
ლურად მუშაობდნენ, რომ მნელად თუ გაარჩევდი მათ ფუნქციებს.
(კარლო მთავარი ენერგეტიკოსი, ედუარდი და ალექსანდრე
ბრიგადირები). ალექსის, კარლოს და ედუარდის პროფესიონალური
ცოდნის წყალობით არა ერთი ელექტრიკოსი-შემკეთებელი აღიზარდა
ელექტრო სამქროში. აქ მომზადებული სპეციალისტები სრულ-
ფასოვნად ფლობდნენ პროფესიას პრაქტიკულად და თეორიულად. მათ
მიერ აღზრდილი კადრია დღეს შრომის ვახტზე. ამ ღვთაებრივ
ადამიანებს (და მათ გვერდში მდგომო) რამდენი უძილო დამე აქვთ
გატარებული ელექტრო მკვებავ ხაზებში მომხდარი ავარიების
ლიკვიდაცია-აღდგენისათვის.

აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ სახლში მიმავალთ
არა ერთხელ მომხდარა, რომ ისევ ახალი დაზიანებული ხაზის
სალიკვიდაციოდ გზაში – სახლში მიუსვლელებს წამოსწევა ვახტის
ავტომანქანა, მიუბრუნებია უკან, რომლებიც თავდაჭრილად
უხმუროდ და უპრეტენზიოდ შესდგომიან ახალ რთულ და ფრიად
საპასუხისმგებლო სამუშაოს, სიცივესა და ქარში, წეიმასა და
თოვლში, ღამე თუ დღე (ვიცით, რომ ქარხანა მუშაობის სადღედამისო
ციკლზე).

დიდ სინანულს გამოვთქვამ, რომ დღეს კარლო და ედუარდი ჩვენს
რიგებში აღარ არიან, და ჯერ კიდევ ახალგაზრდებმა დატოვეს ქარხანა
და ოჯახი, მეგობრები.

ალექსანდრე გეჯაძე მოხათრებული, ადამიანის მოსიყვარულე,
თავმდებარი ადამიანია.

იგი საყალიბო საამქროს წნეხების სახელოსნოში აღიზარდა და
ახლა „წნეხების დირექტორია“.

რამდენი უძილო ღამე, ავადმყოფებს რომ აღგანან თავზე, ისე
ყარაულობდა და უვლიდა წნეხებს, რომ გამოეჯანმრთელებინა და
აემოძრავებინა ისინი. იგი მშენებელი სპეციალისტია, მაგრამ წნეხებია
მისი სამოღვაწო ასპარეზი და 40 წელზე მეტია მათ გარშემო
ტრიალებს.



ამირან
კალატოზიშვილი



ალექსანდრე
თათანოვი



კარლო
გონალოვი



ელუარდ
დანდურიშვილი



მიხეილ
დათაშვილი



ალექსანდრე
გეჯაძე



სიმონ
ბოგველი



არჩილ
კალატოზიშვილი



ელზა
ერემოვა



ვლადიმერ
ბოგველი



გიორგი
ხუბაშვილი



უშანგი
შაველაშვილი

ა. გეჯაძისნაირი ადამიანი, ცოტა როდია, რომლებიც 35-40 წელზე
მეტია მოღვაწეობენ ქარხანაში. მათ მთელი თავიანთი ცხოვრება
დაუკავშირეს აშურიანზე სამშენებლო კერამიკის წარმოების
განვითარების საქმეს.

მეტების საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივში ბევრი
შესანიშნავი ადამიანი აღიზარდა, დაუკავშაცდა. ადამიანების გმირულმა
შრომამ ის განაპირობა, რომ საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის,
მეტებელ მეაგურეთა ნახელავი რომ არ ამშვენებდეს. ხოლო ბევრ
წარმოება-დაწესებულებაში ამ ქარხანაში ნაწრთობი ადამიანები
მუშაობენ.

თიხის კარიერზე მცირერიცხოვანი კოლექტივი მუშაობდა ღია
ცის ქვეშ. წყიმითა და ოოვლით დამბალ რკინიგზაზე ვაგონეტის და
მოტომზიდის ჩავარდნა არც თუ იშვიათი იყო, რომლის ამოღვაბა და
მუშაობის განახლების უდიდესი ძალა და ენერგია ესაჭიროებოდა,
რასაც არ იშურებდნენ გაბრიელ გუგულაშვილი, გიორგი გზირიშვილი,
სიმონ ბოგველი, ალექსი გერმანზაშვილი, ვლადიმერ შაქარაშვილი.

როდესაც კი კოლექტივის ამა თუ იმ მუშაკის დაჯილდოებაზე
დგებოდა საკითხი, უპირველესად ქარხნის მიერ თვეების და წლების
(ხუთწლედის) გეგმების შესრულების მაჩვენებლებს ექცევიდა
ყურადღება, სამწუხაროდ ეს მაჩვენებლები დაბალი იყო. თუმცა
აგურის წარმოება მაინც იზრდებოდა.

რა ვუწოდოთ ან რა სახელი მივანიჭოთ იმათ, ვინც ქარხნის
ექსპლოატაციაში გაშვების დროიდან დაიწყეს და დღესაც აგრძელებენ
მუშაობას? რომლებსაც ბევრი, ძალიან ბევრი უძილო ღამე აქვთ
გატარებული და ბევრი აქვთ გაკეთებული, რომლებმაც მთელი
თავიანთი შეგნებული ცხოვრება იმსახურეს ქარხანაში და სხვაგან
წასვლა არც უფიქრიათ. ასეთები ბევრია, რომელთა სახელები
გზადაგზა გვხვდება, მე მათ უგვირგვინო გმირები შეგარქვი და
მართებულად ვთვლი, რადგან საქართველოს სამშენებლო კერამიკის
წარმოების ისტორიაში მეტებელმა მეაგურებმა ისეთი სიმაღლე
შექმნეს, რომ მიუწვდებულია სხვისთვის. ეს საუკუნის მიღწევაცაა
აშურიანის გამოძახილში.

ცოტა რამ მხატვრულ თვითმოქმედებაზე

საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ხელოვნება (ფერწერა, ცეკვა, მუსიკა, რიტუალები) ყოველთვის ასრულებდა ადამიანის აღზრდის ფუნქციას, რომელიც ხალხის სულიერი გამდიდრების მთავარ წყაროდ არის, იყო და იქნება მარადებამს.

ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა საგრძნობლად შეიცვალა იერსახე, როგორც ფორმით, ისე შინაარსითაც.

წინათ ხალხის გასართობი იყო ხატობა, დღეობები, რიტუალები, ბერიკაობა და სხვა.

სოფელ მეტეხში ყველაზე დიდი ხატობა იყო მარიამობა 28 აგვისტოს. ამაღლება, გიორგობა, სადაც დიდაბლი მლოცველი იყრიდა თავს. აქ ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს ანთებული სანთლებითა და ზურნა დოლით, ცეკვა-თამაშით, გართობები, სპორტული შეჯიბრებები, ჭიდაობა, ცხენით ჯირითი, ლახტი... იხოცებოდა საკლავი, გაშლიდნენ სუფრას და დროს ატარებდნენ. ზოგჯერ კი ამას უსიამოვნებაც მოჰყვებოდა ხოლმე.

დღეს ყველაფერი ცვლილებებს განიცდის, საკმაოდ გათვით-ცნობიერებული მეტეხელი მცხოვრებნი ხატობა დღეობის ნაცვლად (თუ დღეობასთან ერთად) გასართობად თეატრში, კინოში, კლუბებში წარმოდგენებსა და ბიბლიოთეკებში დადიან სულიერი საზრდოს მისაღებად.

რაც შეეხება მეტეხელი მეაგურეებისა და მათი მუშათა დასახელების მცხოვრებთა დასვენება-გართობის ღონისძიებებს, ისინი ამ სიკეთეს მოკლებულნი იყვნენ.

ცხოვრებამ მოითხოვა რადიკალური ღონისძიებების გატარება, რათა კომინატის მშრომელებს პქონოდათ კულტურული დასვენება-გართობის პირობები. თუმცა კოლექტივს უკვე პქონდა საამისო საშუალებანი – კულტსახლი, სპორტული მოედანი, სპორტდარბაზი, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა.

საჭირო გახდა ძალების თავმოყრა, რათა აღორძინებულიყო მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი. კონტინგენტი კი საკმარისი იყო, ოღონდ ესაჭიროებოდა ორგანიზება და ეს დროც დადგა.

უპირველესად მოწვეული იყვნენ სამხატვრო ხელმძღვანელები: ნოღარ მგელაძე, ვალერიან ხელაშვილი, ლუარსაბ სოლომონაშვილი, ზაურ ცერცვაძე, – კლიმენტი ქსოველი, რომელთა მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა მხატვრული თვითმოქმედების (სიმღერის, ცეკვის მხატვრული კითხვის, გიტარის დაკვრის) წრეები. იდგმებოდა პატარა სკეჩები (ხელმძღვანელი ლუარსაბ სოლომონაშვილი). გაწეული მუშაობის შედეგად იმართებოდა კონცერტები, მხატვრული საღამოები. როგორც ადგილზე, ისე მეზობელ სოფლებშიც.



სიმღერის გუნდის ჩანასახი

ამ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ: ზაურ ცერცვაძე, მზა მღებრიშვილი, ცისანა გერმისაშვილი, ვლადიმერ ნაკროზაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, ილია ნავროზაშვილი, ლუდმილა მიასნიკოვა, ომარ სულუაშვილი, იზოლდა გვარამაძე, გივი კაგაჩევიშვილი, მაყვალა ჯეირანიშვილი, იულია დავითაშვილი და სხვანი.

კულტსახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების ჩამოყალიბებასა და შემდგომ გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებამ „მშენებელთა და წარმოება-დაწესებულებების კლუბებთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერების

ჩატარების „შესახებ“. რისთვისაც მოვიწვიეთ კვალიფიციური სამხატვრო ხელმძღვანელი რომან დრიაევი, კონსულტანტი – ავთანდილ სარაჯიშვილი, ქორეოგრაფი – კლიმენტი ქსოვრელი.

მხატვრული თვითმოქმედების გუნდი მთლიანად ადგილობრივი ძალებით (კოშინატის მუშა–მოსამსახურეთა და დასახლების მცხოვრებთა ძალებით) იქნა დაკომპლექტებული. სიმღერის გუნდს რომან დრიაევი, ხოლო ცეკვის გუნდს კლიმენტი ქსოვრელი ხელმძღვანელობდნენ.

მუშაობის ორგანიზება და მატერიალური უზრუნველყოფა, როგორც საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარეს, მე დამევალა. მეხმარებოდნენ კულტურული კეთი: სალომე აზმათვარაშვილი და შოთა შალინი.

პირველ ხანებში მუშაობა ძალზე გაძნელდა, ვინაიდან გუნდის წევრთა უდიდეს ნაწილს არ ჰქონდა საგუნდო სიმღერის გამოცდილება, ჭირდა ხმების შერჩევა – დამუშავება, უარყოფითად მოქმედებდა წარმოების ოთხცვლიანი მუშაობაც. ღამენათვეო კაცისათვის ძნელიც იყო მეცადინეობაზე მოსვლა. იყო სხვა პრობლემებიც. მიუხედავად ამისა მონძომებამ და აქტიურობა ჩატარებამ შედეგი გამოიღო. ქარხნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული იქნა ერთობლივი დადგენილებანი. გამოიცა დირექტორის ბრძანება მეცადინეობის ორგანიზებულად ჩატარების „შესახებ. გუნდის წევრთა შეღავაოებისა და მათი გუნდში დაუბრკოლებლად მონაწილეობის თაობაზე, დაინიშნა დამატებითი ვახტის ავტომანქანა (მონაწილეობა თავის გადაყვანისათვის და სხვა. რომ იტყვიან, მუშაობა დავიწყეთ ნულიდან.

გუნდის მეცადინეობა ტარდებოდა გრაფიკის დაცვით კვირაში ორსამჯერ. როგორც კი დამუშავდა რამდენიმე საგუნდო სიმღერა და ცეკვა, მონაწილეობა დაინტერესებამაც იმატა. მუშაობა გააღვილდა და გუნდს ანსამბლის ელოური მიეცა.

გუნდის მუშაობას ავკარგიანობის „შესახებ შესამოწმებლად მოვიწვიეთ რაიონის და რესპუბლიკის ამ დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებმაც მოგვცეს რჩევა–დარიგებანი, მიგვითოთ არსებულ ნაკლოვანებზე და დახმარებაც გაგვიწიეს.“

გაწეული ნაყოფიერი მუშაობის „შედეგად პირველად კოლექტივის არსებობის ისტორიაში ჩამოყალიბდა მეტების საშენმასალათა კომინატის კულტსახლოთან არსებული მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, რომელმაც გასცლით კონცერტი გამართა რაიონის სოფლებში და მეზობელ (გორის, ხაშურის, ქარელის, ლენინგორის, დუშეთის) რაიონებში.

ასე შეემატა კასპის რაიონული, ახალქალაქის, კავთისხევის და სხვათა მხატვრულ კოლექტივებს მეტეხის საშენმასალათა კომინატის კულტტანა არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი.

საგუნდო ტანსაცმელი ვიქირავეთ თბილისის თეატრალური საზოგადოებიდან, რომელიც კარგად მოერგო გუნდს და ლამაზ ელფერს ტოვებდა.

აი, დადგა დრო მხატვრული თვითმოქმედი ძირეული კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისა. წინასწარ შერჩევით გასინჯვა ჩატარდა თბილისში, ძერუინსკის კლუბში. ხოლო რამდენიმე დღეში გაიმართა საკონტროლო გამოსვლები საბურთალოს კერამიკული კომინატის ახლად აშენებულ კულტტანაში, ღონისძიებას ატარებდა მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფესიონერების რესპუბლიკური კომიტეტი (თავ-რეგრიგოლ ცხოვრებაშილი).

დათვალიერებაზე მოწვეული იყო 16 საგუნდო კოლექტივი, უიურში შედიოდნენ: ხელოვნების დარგის მუშაკები, ქორეოგრაფები. ესწრებოდნენ ურნალისტები, აგრეთვე ზემდგომი ხელმძღვანელი მუშაკები და სხვა.

ჩვენი საკონცერტო პროგრამით ქართული საგუნდო სიმღერები და ცეკვები იქნა წარმოდგენილი. სიმღერის გუნდში წამყვან ძალას შეადგენდნენ: უშანგი მალლაფერიძე, სილისტი გურამ მარლიშვილი, გივი შაბურიშვილი, ილია დ ვლადიმერ ნავროზაშვილები, შალვა გოჩიტაშვილი, ამირან კალატოზიშვილი, გიორგი სულუაშვილი, ცალა ქავთარაძე, იზოლდა გვარამაძე, იულია და ცირა დავითაშვილები, ლუდმილა მიასნიკოვა, ეროსი ლომსაძე, სალომე აზმაიფარაშვილი.



გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, მეტეხელ მეაგურეთა მიერ წარმოდგენილმა პროგრამამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა. ყოველ ნომერზე ტაშით გვაჯილდოვებდნენ. 16 გუნდში I-II ადგილის (თუ არა მიკერძოება ნაღდი პირველი) და სპეციალური პრიზის, დიპლომის მიღება უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ახლად ჩამოყალიბებული გუნდისათვის. რაც მთავარია, საგუნდო კოლექტივი დაშვებული იქნა რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის.

სიმღერის გუნდში თითქმის წარმოების ყველა სპეციალობის მქონე მუშაკი მონაწილეობდა. რაც შეეხდა ცეკვებს, კომინატის მუშა-მოსამასახურეთა შვილების და სკოლის ასაკის ბავშვებით იქნა დაკომპლექტებული.

სინანულს გამოვთქვამ, რომ ვეღარ ვურთავ ფოტოსურათებსა და დიპლომის ასლების ფოტოპირებს, რომელიც გადაღებული იქნა დათვალიერების დროს.

მიღწეულ წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის ქარხნის ხელ-მხლვანელობას, მთელ აქტივს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ აღნიშნულ ღონისძიებათა შესასრულებლად.

მაგრამ დასანანია რომ, მეტებელ მეაგურეთა მხატვრული თვითშემოქმედების გუნდს დიდხანს არსებობა არ დასცალდა და საწარმოს მაჩვენებლების გაუარესებამ და სხვა ფაქტორებმა ხელი შეუშალეს მის აღმასვლას.



მეტების ქარხანასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი
დგანან: გ. კორეოტაშვილი, ჯ. პატარქალაშვილი, ზ. მღებრიშვილი, ა. კვალიაშვილი,
გ გაჯაძე, გ. შაქარაშვილი, გ. კალატოზიშვილი, დ. ტატანაშვილი, ნ. იაძე,
ვ. სულთანიშვილი. სხედი: ნ. ბუთხეზი, მ. სულთანიშვილი, ე. კოლერაშვილი,
ე. კარიბოვი, მ. მამაცაშვილი, კ. ქსოვრელი (ანსამბლის ხელმძღვანელი),
მ. შაქარაშვილი, მ. სოლომონაშვილი, თ. ბერიაშვილი, ვ. ნაცვლიშვილი,
ც. პატარქალაშვილი. რიგში: მ. მამულაშვილი, მ. ლალიაშვილი, კ. კოტრანვა.

ახალი ქართველი

ოთხმოციანი წლების დიდმას შტაბურმა მშენებლობებმა საკუდილე მასალების წარმოების გაზრდა მოითხოვა. გაჩნდა მოწოდებები: „მთას დაუბრუნდა მთიელი“, „არც ერთი ოჯახი უბინაოდ“, „გავზარდოთ საცხოვრებელი ფართო ერთ სულ მოსახლეზე“, „მეტი ყურადღება სოფლის მშენებლობას“ და სხვა მრავალი. მშენებლობის ტემპი არც მშენებარე ობიექტებზე შენელებულა.

ეს ის პერიოდია, როცა კოშინატში შეიქმნა გარკვეული კრიზისი აგურის წარმოების საქმეში. ამისათვის ტარდებოდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა შეგვენარჩუნებინა მიღწეული და გაგვეზარდა პროდუქციის წარმოება.

აშურიანული აგურით დაინტერესებული იყო რესპუბლიკის მმართველი აპარატი. ისინი სისტემატურად მოდიოდნენ და შესაბამის დახმარებას ახორციელებდნენ: ცეკას მეორე მდივანი გენადი კოლბინი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი, მინისტრები სიმონ ლორთქიფანიძე, ოთარ ლოლაშვილი, მათი მოადგილები ალექსანდრე ვარდოშვილი, შალვა ბეზარაშვილი, გახტანგ პაპიაშვილი, გიგლა მეფარიშვილი, განყოფილების (მუშაკები) სპეციალისტები, რაიონის ხელმძღვანელები და სხვანი.

მაგრამ წინააღმდეგობრიობით შექმნილი ვითარების გამო სასურველ შედეგს მაინც გერ მიერჩიოთ.


იმისათვის, რომ თავი დაგვეღწია ქრონიკული ჩამორჩენილობისაგან, რაც ძირითადად გამოწვეული იყო მმიმე, ხელით შრომის გამო მუშახელის ნაკლებობით, გაჩნდა აგურის წარმოების გაზრდის ახალი იდეა. ცნობილია, რომ – აშურიანის ველი – გრაკლამდე თიხის მთლიანი მასაა, რომლიდანაც შეიძლება კერამიკული ნაწარმის გამოშვება. ბუნებრივია, ამ ნედლეულზე მოქმედი აგურის საწარმო საქმარისი არ იყო. მით უმეტეს, რომ მშრალ წნეხვაზე მომუშავე ქარხნები სხვაგან გაჩერდა, ხოლო ჩვენთან „დაუმორჩილებელი“ გახდა.

არსებული ვითარების გამო მიღებული იქნა გადაწყვეტილება აშენებული იყო კიდევ ერთი აგურის ქარხანა სველ წნეხვაზე პლასტიკური დაყალიბების წესით.

ქარხნის მშენებლობა და მისი ექსპლოატაციაში შეეყვანა ბულგარეთმა ითავა, რაც სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთ-დახმარებით იყო ნაკარნახევი. ქარხანა გათვალისწინებული იყო 60 მილიონ ცალ აგურზე ავტომატური მართვის სისტემით. აგურის წარმოების ასეთი სისტემა ორი ძირითადი პრობლემით იყო ნაკარნახევი: გაზრდილიყო სამშენებლო აგურის წარმოება და ნაკლები მუშახელი დაესაქმებინა.

ჩვენს მიერ 1979 წ. ბულგარეთში გაიგზავნა თიხის სინჯები, რაზედაც დადგებითი შეფასება მივიღეთ.

ქარხნის მშენებლობა 1983 წელს დაიწყო და 1986 წლის დასაწყისში შევიდა ექსპლოატაციაში. პირველი პროდუქცია 6 თვის ბოლოს გამოვიდა, ამავე წლის დასაწყისში კი ქ. მოსკოვში გაგზავნილი იქნა ადგილობრივი კადრების დიდი ჯგუფი 40 კაცის რაოდენობით კვალიფიცირებული კადრების მომზადებისათვის თანამედროვე ახალი ტექნიკით შეიარაღებული წარმოების მართვის სისტემის დასუფლებლად.



სკოლი წენების წესით
დაყალიბებული აგური

ღუმელისა და ორი ღენტური ვაკუუმწნების სახით გვირაბისტური სამრობით.

ღენტური წნები ერთ-ერთი გავრცელებული დამყალიბებელი აპარატია კერამიკის საშენი მასალების წარმოებაში. ამ მანქანაზე ყალიბდება აგური, კრამიტი, ღრუქვები, საკანალიზაციო და სადრენაჟო მილები და სხვ. (შეიძლება სახიანი აგურის გამოშვებაც).

თიხის პლასტიკური მასისაგან საშენი მასალების დაყალიბება ორგვარი წესით ხდება, ღენტურ წნებებზე და შტამპავ წნებეაზე.

ამრიგად აშუ-
რიანის გამოძახილ-
ზე კიდევ ერთი აგუ-
რის წარმოება წამო-
იზარდა.

საწარმო შეია-
რაღებულია უცხო-
ური ქვეყნების თა-
ნამედროვე ტექნიკი-
თა და ტექნოლო-
გით, სადაც მოქ-
მედებაშია ორი ტექ-
ნოლოგიური ხაზი,
ორი გვირაბისტური

სახით გვირაბისტური

ამ წარმოებაში აგურის დაყალიბება ლენტური წესით სრულდება, სადაც წერხიდან გამოსული აგურის გარეგანი ფორმის გრძელი ლენტი პირდაპირ იჭრება დასამზადებელი ნაკეთობის მქონე ფორმის ნაწილებად. თინის მასის სინესტე 16-18%-ს შეადგენს. წნების წარმადობაა 5-6 ათასი ცალი აგური, რომლის დაყალიბება და ვაგონეტებზე დაწყობა ავტომატიზირებულია, ასევე ავტომატიზირებულია გვირაბისებური საშრობების, ღუმელების მუშაობა. და მოქმედებს ვაგონეტებზე აგურის დაწყობის და ვაგონეტიდან მისი პაკეტური (ავტომატური) დაწყობა-დაცლა.

პლასტიკური (სველი) წესით კერამიკულ ნაკეთობათა დაყალიბება მისი წარმოების პირველ დღეებიდან გაჩნდა, რომელიც სრულდებოდა ჯერ ხელით, შემდეგ შტამპაჟი მექანიზმებით. ამჟამად უპირატესობას პლასტიკური წესით დაყალიბებას ანიჭებენ. ლენტურ-ვაკუუმ წნებს აქვს ნაკლიც, ვინაიდან ვაკუუმ წნები მცირე წარმოებით და ელექტროენერგიის დიდი ხარჯით ხასიათდებიან, ამიტომ ამ წნებების გამოყენება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაშია ხელსაყრელი, კერძოდ თხელკედლიანი და ღრუ ნაკეთობათა წარმოებისას და აგრეთვე მაშინ, როდესაც საჭიროა მისი დიდი სიმკრივე.

„კერამიკულ ნაკეთობათა ქარხნის“ ექსპლოატაციაში შესვლა არც თუ ადვილი აღმოჩნდა. მას ჰქონდა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელიც ძირითადად მართვის ავტომატური სისტემით იყო გამოწვეული. გააჩნდა სხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიც, რომელიც თან სდევს ახლად მომუშავე აგურის საწარმოს.

ქარხანა ძირითადად დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით, რომელთა სამჭედლო მეტების საშენ მასალათა კოშინატია: აკაკი აბუაშვილის, ვალერი გუგულაშვილის, ელგუჯა გოზალიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, გივი გაბინაშვილის, ნიკოლოზ იაძეს, ნიკოლოზ დათაშვილის, თამაზ შაველაშვილის, შალვა სეთურიძის, ხოზე გაგაშელის, გიორგი თაბორიძის, ნელი გაბინაშვილის, ლეილა აბუაშვილის, ლეილა და ლამარა დათაშვილების, მანანა აზმაიფარაშვილის, დალი კალატოზიშვილის, აკაკი აზმაიფარაშვილის და სხვათა სახით, რომელნიც საიმედო სამსახურს ეწევიან კოლექტივში.

ქარხნის მაქსიმალური მიღწევაა 17-18 მილიონი ცალი აგურის წარმოება 1989-1990 წლებში. თუ რამ განაპირობა პროექტით გათვალისწინებული სიმბლავრის მიუღწევლობა, ეს იმ საერთო სენით არის გამოწვეული, რომელიც წარმოება-დაწესებულებას დაატყვათავს.

მიუხედავად შექმნილი სიმელეებისა, ქარხნის მიერ გამოშვებული (პროდუქცია) აგური მშენებელთა დიდ მოწონებას იმსახურებს და თავისი საერთო იერ-სახით დიდად პერსპექტიულია, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ კერამიკულ ნაკეთობათა წარმოებას დიდი მომავალი აქვს.

სელექციანელი

სოციალისტური წარმოების სისტემაში ხელმძღვანელი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა კოლექტივის მართვა-გამგეობის საქმეში. იგი თანაბრად პასუხისმგებელია სახელმწიფო გეგმის შესრულებაზე, კოლექტივში მორალურ-ფიქოლოგური კლიმატის გაჯანსაღებაზე, შრომისა და სახელმწიფო დისკიპლინაზე, კადრებზე, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებზე, სახალხო და სახელმწიფო ქონების დაცვაზე და ყველაფერზე, რაც სახელმწიფო სტრუქტურის მოთხოვნებს შეესაბამება.

აშურიანზე სამშენებლო კერამიკის წარმოების განვითარებისათვის დიდია დირექტორის ღვაწლი. მასში ჩაქსოვილია უდიდესი ძალა და ენერგია, შემოქმედებითი უნარი, გონება, ნიჭი.

„აშურიანის გამოძახილში“ ხელმძღვანელის ღვაწლის ცალკალკე ასახვა-გაანალიზებას შემდგომ გამოცემაში გაგაცნობთ. ერთი კია, რომ ქარხნის მუშაობის (აქტიური) მთელი პერიოდის მანძილზე გაწეულია უაღრესად დიდი მოცულობის სამუშაოები, რაც წარმოებული პროდუქციითაც დასტურდება.

გამოვიყოფ მუშაობის შთამბეჭდავ მომენტებს:

1954-66 წ.წ. – ეს იყო მუშაობის გარდატეხის პერიოდი. დირექტორი ალექსანდრე გაბურია.

60-იანი წლები – ტარდება დიდი მოცულობის სამშენებლო სამუშაოები, ქარხანას შეემატა ლენტური კრამიტისა და მცირე საკედლებლოკის სამქროები. კეთილმოეწყო ქარხნისა და მუშაობა დასახლების მთელი ტერიტორია – დირექტორი გრიგოლ ცხოვრებაშვილი.

70-იანი წლები – მიღწეული იქნა პროდუქციის წარმოების მაქსიმუმი – გამოშვებული იქნა 83 მილიონი ცალი აგური და 40 ათასი კუბამეტრი მცირე საკედლებლოკი – დირექტორი თენგიზ ალიბეგაშვილი, ლეონიდ წულესკირი.

აღმშენებლობის და სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, რაც ცალკე თავშია ასახული.

ქარხნის ისტორიას ამდიდრებს და ღირსეული პატივისცემით მინდა თანამდევრობით წარმოვადგინო იმ ხელმძღვანელთა სახე-ლები, რომლებსაც წილად ხვდათ 1951-1991 წლებში მუშაობა:

დარექტორები:

1. შალვა მიქაშავიძე
2. გივი ფანჩაველი
3. შალვა ნოსელიძე
4. პროკოფი მითაგვარია
5. ალექსანდრე გაბუნია
6. ზაქარია ფაჩუაშვილი
(დროებით შემცვლელი)
7. გრიგოლ ცხოვრებაშვილი
8. ოური ვოლობუევი
9. კარლო ქვიტაიშვილი
10. თენგიზ ალიბეგაშვილი
11. ლეონიდე წულესკირი
12. რობიზონ ხიზანიშვილი
13. ოური ვოლობუევი
14. ანზორ შაფულაშვილი
15. გივი ფანჩაველი
16. ჯუშტერ თათარაშვილი
17. სერგო უბირია
18. ამური შარანგია
19. ჯემალ ონოფრიიშვილი
20. ვალერიან ეპიტაშვილი
21. ა. მელაძე
22. ამური შარანგია
23. გურამ მამულაშვილი
24. სერგო უბირია

მთავარი მუსიკები:

1. შალვა გიორგაძე
 2. ვახტანგ დავითაშვილი (პატარა ქარხნიდან)
 3. პეტრე შარაშიძე
 4. ბიძინა მაკალათია
 5. ლევან მუხრანელი
 6. ზაქარია ფაჩუაშვილი
 7. როსტევან ქილოსანიძე
 8. ალექსანდრე დათეშიძე
 9. მილერი ღობნელიშვილი
 10. გიორგი ბარნაბიშვილი
 11. გრიგოლ (ცაცო) ყაზარაშვილი
 12. თემურ ჭუშაძე
 13. ამური შარანგია
 14. აბესალომ ბოგველი
 15. შალვა ფურუა
- #### მთავარი ბუღალტრები:
1. ვალენტინა კალაძე
 2. მერი მერებაშვილი
 3. ნატალია ზაიცევა
 4. გიორგი რაქვიაშვილი
 5. კირილე ჯვარშეიშვილი
 6. კონსტანტინე აბუაშვილი
 7. ირაკლი ძუგაევი
 8. ანდრო კიკილაშვილი
 9. უსუნა კალატოზიშვილი

ქებასა და პატივისცემას იმსახურებენ ცვლის უფროსები: სიმონ ხალათაშვილი, შოთა პატარქალაშვილი, აბესალომ მალაციძე, მიხეილ

გზირიშვილი, ლევან მჭედლიშვილი, ეთერ კალატოზოშვილი, ვასილ ბეჟიტაშვილი, გიორგი ბარნაბიშვილი, ვასილ აბუაშვილი, დავით აფციაური, შალვა გოჩიტაშვილი, გიორგი ხუბაშვილი, ავთანდილ ბარნაბიშვილი, ელისო მემარნიშვილი და სხვ.

მათი ღვაწლი უდავოდ დიდია ქარხანაში საწარმოო პროცესების მართვისა და სრულყოფის საქმეში.

დასაწყისში მოვიხსენიე პირველი კერამიკული წარმოების და შემდეგ აგურ – კრამიტის ქარხნის ხელმძღვანელები ი. ჭალიაშვილი, ი. მაღალაშვილი, ბ. კანდელაკი, ი. დადაკონიძე, გ. ხომერიკი, გ. ჯაშია-შვილი და შ. ვარაზაშვილი, რომლებმაც იმუშავეს 1934-1950 წლებში.

1934-1940 წლებში აშენდა მეტეხის კერამიკული ქარხანა, რომლის პირველი ხელმძღვანელია ი. ჭალიაშვილი. დაპროექტებულია ინუინერ-ტექნოლოგ ფიცხელაურის მიერ.

ამ საწარმოდან ჩაეყარა საფუძველი კერამიკული წარმოების განვითარებას აშურიანზე.

პარტიულ-ორგანიზაციული გუმარება

კლასებისა და კლასთა ბრძოლის ისტორიამ ბევრი პოლიტიკური პარტია იცის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი შეესაბამებოდა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და თავისი ქვეყნის ინტერესებს, სამშობლოს ინტერესებს, სოციალიზმის ინტერესებს.

საქართველოს კომუნისტური პარტია სკკპ შემადგენელი ნაწილია. ის, ერთ-ერთი უძველესი რაზმი აერთიანებდა მუშათა კლასის კოლმეურნე გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის ყველაზე ძოწინავე და შეგნებულ ნაწილს. იგი ორგანიზებულად გაფორმდა 1920 წლის მაისში.

პარტიის საფუძველი მისი პირველადი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია ტერიტორიული პრინციპების მიხედვით.

მეტეხის საშენმასალათა კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1948 წლიდან – პარტორგი გრიგოლ მღებრიშვილი.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლობამ (პირველად) მონაწილეობა მიიღო კასპის რაიონული ორგანიზაციის მეთერთმეტე პარტიულ კონფერენციაზე 1948 წლის დეკემბერში.

პირველი პირველადი პარტიული ორგანიზაცია ყალიბდება ახალი ქარხნის ექსპლოატაციაში შეევანის დღიდან (1948 წ.) ხოლო შემდგომ 60-70-იანი წლებში იგი 120-130-მდე კომუნისტის აერთიანებდა.

პარტიულ ორგანიზაციას ჰყავდა ბიურო 7-9 კაცის შემადგენლობით, კომისიები.

ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია აერთიანებდა 6 საამჟროს (კარიერის, საყალიბო, საგამოწვო, ბლოკის, მექანიკური და ელექტრო) პარტიულ ორგანიზაციას, სადაც კომუნისტთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს შეადგენდა.

პარტიული ორგანიზაცია თავის მუშაობას საფუძვლად უდებდა სკპ და საქ. კპ ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებებს. ამასთან გეგმავდა და იხილავდა შიდა სამეურნეო საკითხებსაც, ყოველივე ეს დადებით გავლენას ახდენდა შრომითი კოლექტივის მუშაობაზე.

იდეოლოგიურ მუშაობაში გაერთიანებული იყო პოლიტწრები, აგიტატორები, კედლის გაზეთი „გიგანტი“, „ნიანგის კუთხე“, რადიო-ოგადაცემათა რედაქცია. გამოყენებული იქნა თვალსაჩინოებანი, ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, ზეპირი აგიტაცია და სხვა.

პარტიულ-ორგანიზაციული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა – ეს იყო აზროვნების, ცოდნის და შესაძლებლობის გამოვლინება, სადაც მნიშვნელოვანი წინადადებები იქნა წამოყენებული და დანერგილი, ამან კი ხელი შეუწყო ქარხნის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მის წინსვლას.

წამოყენებული წინადადებების თავმოყრა და რეალიზაცია გველაზე მეტად ორგანიზებულ ხდებოდა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ეს იყო გაწეული მუშაობის ანგარიში და ახალ მიზანმიმართულებათა დასახვის პროცესი.

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის საქმეში კარგ მაგალითს იძლეოდნენ პარტიული და სამეურნეო აქტივი: გრიგოლ მღებრიშვილი, ოთარ მაღალაშვილი, სიმონ ბოგველი, გულო გორგაძე, შალვა მიქაშვიძე, ალექსანდრე გაბუნია, შალვა ნოსელიძე, ზაქარია ფაჩუაშვილი, ეკატერინე ნიკოლავა, ვლადიმერ ენუქიძე, მირიან ქელებესამგილი, ოთარ ბარამიძე, ალექსანდრე დათეშვიძე, თენგიზ ალიბეგაშვილი, ედვარდ დანდუროვი, ლეონიდ წულეისკირი, კარლო გოზალოვი, ალექსანდრე თათანოვი, მილერი ღობნელიშვილი, ცაცა

მახარაძე, ნათელა ბალავაძე, ამური შარანგია, ცირა დავითაშვილი, ანზორ სეანიძე და სხვანი.



თათბირი სამქროში (ა. ბოგველი, ა. ბიძინაშვილი, ა. თათანაშვილი, მ. დათაშვილი, გ. ნაბახტეველი, გ. კალატოზიშვილი - პარტორგანიზაციის მდივანი, ი. დათაშვილი.)

მიუხედავად ამისა, სათანადო მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რაც მოწმობს იმას, რომ იგი ერთ-ერთ მოწინავე ორგანიზაციად ითვლებოდა. პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის განზოგადება არაერთხელ ჩატარდა რაიონში. მაგ. „მეტების საშენმასალათა კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის საქმეში“.



გაზეთ „გიგანტის“ მორიგ ნომერზე მუშაობისას

სწარმოო თათბირებზე, საუბნო პარტიულ კრებებზე ძირეულად ანალიზდებოდა. უბნებისა და მთელი ქარხნის შესაძლებლობანი და შემუშავებული ღონისძიებები შეგვქონდა რაიონისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე, პლენუმებზე პარტიულ აქტივზე, კოლეგიაზე და რესპუბლიკის მთავრობაშიც კი.

მათი მუშაობის სტილ-მა და მეთოდმა ხელი შეუწყო საწარმოო პროცესების მართვის გაუმჯობესებას, შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, ორგანიზაციული ბერკეტების შექმნა-გაუმჯობესებას და სხვა.

ცნობილია, რომ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა საზოგადოებრივ საწყისებზე სრულდებოდა,

კედლის გაზეთი „გიგანტი“ არა-ერთხელ გამოვიდა გამარჯვებული რაიონულ დათვალიერებაზე. ნაყოფიერად მუშაობდა „ნიანგის კუთხე“.

პარტიისა და მთავრობის მოწოდება „გავზარდოთ სამშენებლო მასალების წარმოება“, ბუნებრივია დირექციასთან ერთად პარტიული ორგანიზაციის ზრუნვის საგანი ხდებოდა. თუ რა გზით და საშუალებებით გაგვეზარდა პროდუქციის წარმოება, საწარმოო თათბირებზე, საუბნო პარტიულ კრებებზე ძირეულად ანალიზდებოდა. უბნებისა და მთელი ქარხნის შესაძლებლობანი და შემუშავებული ღონისძიებები შეგვქონდა რაიონისა და სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე, პლენუმებზე პარტიულ აქტივზე, კოლეგიაზე და რესპუბლიკის მთავრობაშიც კი.

მაგალითისათვის წარმოვადგენ უბნების მიხედვით წამოყენებულ წინადადებებს და მათ ავტორებს, რომელთა ნუსხა თავს იყრიდა საოქმო მეურნეობებში, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებული იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებში.

თიხის კარიერზე – რონოდების მანევრირებისათვის „ელექტრო მბიძგავის“ შექმნა, მრავალრიცხოვანი ექსკავატორის შეძენა, მოძველებული რკინიგზის ხაზის შეცვლა, მოძრავი ხის ოთახების აშენება, თიხის რონოდების კონსტრუქციების შეცვლა ძლიერი მოტომზიდების შეძენა და სხვა. ავტორები: მოხე ბერიაშვილი, ვლადიმერ შაქარაშვილი, გივი კალატოზიშვილი, იასონ დათაშვილი, სტეფანე სადაღაშვილი, გორგი მლებრიშვილი.

საყალიბო სამქროში – დოლური საშრობის შეცვლა. თიხის სამარაგოს ამოქმედება, მეორე ტექნილოგიური ხაზის მშენებლობა. მე-5 წნევის დამონტაჟება, ელევატორების გადაკეთება ტრანსპორტიორული სისტემით, სარეზერვო რონოდების (ჩიხის) ხაზის მშენებლობა. თიხის ბუნკერებზე შემთბობი მექანიზმის მოწყობა, წნევის მატრიცებზე ელექტრო მახურებლების სისტემის შეცვლა. რონოდებზე საკისრების მოდულის შეცვლა. წითელი კუთხის მოწყობა და მრავალი სხვა. ავტორები: მიხეილ დათაშვილი, ვერნერ შტელლე, ალექსანდრე გეჯაძე, მესროფ მამაცაშვილი, ბორის ბასიაშვილი, სერგო ქიტიაშვილი, დიმიტრი გუგულაშვილი.

საგამოწვი სამქროში – სამაზუთე მეურნეობაში მიღ გაყვანილობის სისტემის შეცვლა, სამაზუთე რეზერვუარების მშენებლობა 1000–1500 ტონაზე; საქვაბე მეურნეობის გაფართოება, მეორე ხარიხასებური ამწის შეძენა, ამწეზე „ზახვატის“ სისტემის შექმნა, უწყვეტი ბაგირის სისტემის შექმნა, მე-2 ტექნილოგიური ხაზის მშენებლობა, ღუმელების რეკონსტრუქცია, დამატებითი გვირაბის ული საშრობების მშენებლობა; ღუმელებზე კომბინირებული მფრქვევანების შექმნა, საღუმელე რონოდებზე: ამონაგების სისტემის გაუმჯობესება, და სხვა. ავტორების ზაქარია ფაჩუაშვილი, ნატალია ჩუკაევა, გორგი ბარნაბიშვილი, ამირან კალატოზიშვილი, რევაზ ჭეჭელაშვილი, დიმიტრი ნებიერიძე, ივანე სულთანიშვილი, იარალოვი, ვასილ დათაშვილი და სხვანი.

მცირე საკედლებლოკში მე-2 წნევის და დამატებითი 5 საშრობის მშენებლობა, ვულკანური შემავსებლის შემოზიდვა, რკინიგზის ჩიხის

ჩადგმა, დასასვენებელი ოთახის მოწყობა – იასონ დათაშვილი, კლადიმერ ბოგეველი, გიორგი ბარნაძემგილი, იური ვოლობუევი.

მექანიკურ სამქროში თუჯის სხმულის ადგილზე დამზადება: ვ. დათაშვილი, ნ. დათაშვილი. (ელექტრო მუსიკობაზე ითქვა).

ეს და სხვა მრავალი წინადადება საფუძვლად დაედო იმ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელმაც პატარა კუსტარული წარმოებიდან შვა დიდი აგურის საწარმო, რომელსაც ანალოგი არ ჰყავს რესტუბლიკში.

პარტიულ ორგანიზაციული მუშაობის სფეროში კარგ შრომით მაგალითს იძლეობნენ: სიმონ ბოგეველი, გულო გორგაძე, კლადიმერ შაქარაშვილი, ზაქარია დავითაშვილი, გივი შაბურიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე გეჯაძე, კლადიმერ ბოგეველი, ნოდარ დათაშვილი, გივი გაბინაშვილი, კლადიმერ ნავროზაშვილი, ლამარა დათაშვილი, რევაზ ჭეჭელაშვილი, ცირა დავითაშვილი, ნელი ნავროზაშვილი, იოსებ ნუგხარაშვილი, ესტატე ზუბაძაშვილი და სხვანი, რომლებიც სამსახურეობრივ მოვალეობასთან ერთად ქმთილსინდისიერად ასრულებდნენ საზოგადოებრივ დავალებებს.

პატიული ორგანიზაცია და მისი ბიურო მაღალი პასუხისმგებლობით იხილავდა დისციპლინის დამტლვეთა, წუნისმქეთებლების, კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის ჩამდენთა და სხვათა საკითხებს, ვინც ფეხს ვერ უწყობდა კოლექტივს.

იყო შემთხვევა, რომ სკპა რიგებიდან გაირიცხა ერთ-ერთი უბის ხელმძღვანელი, დაკავებული თანამდებობიდან იქნა გადაეყნებული საამქროს უფროსი, ცვლის უფროსები, მკაცრი პარტიული სასჯელი დაედო ერთ მუშაკს კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელის გამო (მათი გვარების დასახელებაზე თავს ვიკავებ).

პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის გამოხატავდა კოლექტივის, მთელი მშრომელი ადამიანების ნება-სურვილს და მათ ინტერესებს იცავდა.

დღევანდელ გადასახედიდან მნელია ყოველივე იმის ასახვა, თუ რა უფრო სწორად წაადგებოდა კოლექტივის ინტერესებს, ან რა იყო საჭირო უკეთ მუშაობისათვის. ერთი კია, რომ, თუ კი კოლექტივის ნამოლვაწარს ვაქებთ და ვადიდებთ, ან მის ნაკლოვანებებს ვეხებით, ბუნებრივია, პატიულ-ორგანიზაციულ მუშაობის შუქ-ჩრდილებზეცაა საუბარი.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობაზე ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებდა საქ. კპ გასპაის რაიკომი და სახელმწიფო

მართვის ორგანო საქ. საშენმასალათა სამინისტრო. მათთან ერთად პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი. მათ მიერ ფასდებოდა ქარხნის და მთელი კოლექტივის მუშაობა. მიღწევებზე გვაქებდნენ, გვაჯოლდოვებდნენ, ხოლო შეცდომებზე, ნაკლოვანებებზე გვსჯიდნენ.

ამის ერთ-ერთი მაგალითია ხელმძღვანელთა სისტემატური ცვლა. ვღებულობდით არაერთ დაღგენილებას, ბრძანებას, განკარგულებას, სადირექტივო დავალებებს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების დაძლევას და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ერთ-ერთი დიდი მასშტაბის (ადრეულ წლებშიც იყო ანალოგორი საკითხები განხილული) ღონისძიება ჩატარდა 1977 წლის 9 სექტემბერს საქ. კპ კასპის რაიკომისა და საქ. საშენმასალათა მრეწველობის სამინისტროს გაფართოებული სხდომა ქ. კასაში, რომელზედაც მოწვეულ იქნენ პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის, რაიკომის და სამინისტროს განყოფილებების, სამინისტროში შემავალი ცალკეული მომწოდებელი ორგანიზაციის, კლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი მუშაკები, განყოფილების გამეები, საკითხზე:

„მეტენის საშენმასალათა კომინატში სახელმწიფო გეგმების შესრულებისა და მისი შემდგომის გამოსწორებისათვის გასატარებელი ღონისძიების შესახებ“.

მიღებული დადგენილება მუშაობის ყველა სფეროს ეხებოდა, შემუშავებული იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, ყურადღება იქნა გამახვილებული ბინათმშენებლობის გაფართოებაზე, მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, რესპუბლიკურმა კომიტეტმა დამატებით გამოყო სანაცორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. ყურადღება იქნა გამახვილებული მომწოდებელი ორგანიზაციების (მომარაგება-გასაღება, რუსთავის მექანიკური ქარხანა) მიერ მარაგ-ნაწილების – სავაგონე პარკის გასაჯანსაღებელი დეტალების დროულ მოწოდებაზე.

ყოველივე ზემოთქმული გამომდინარეობდა იმ ამოცანებიდან, რაც ხალხის ინტერესებს ეხებოდა.

ყოველივეს მოუხდავად, 80-იანი წლები და შემდგომ ეს იყო აგურის წარმოების მკვეთრი დაქვეითების პერიოდი, რაც ცალკე განმარტებებს ექვემდებარება.

როგორც არაერთხელ ითქვა, სამშენებლო კერამიკის აშურიანული წარმოება ყველა ხელმძღვანელ ინსტანციის ფურადღების ობიექტში მოექცა. ზემდგომ ავორიტეტულ ხელმძღვანელთა მიერ შედგანილი იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკი, რომლის შესრულების მიმდინარეობა 10 დღეში ერთხელ განიხილებოდა.

დიდი იყო რაიონის და სამინისტროს ხელმძღვანელთა ღვაწლი აშურიანული სამშენებლო კერამიკის წარმოების გაზრდის საქმეში. პარტიის კასპის რაიონში და სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე არაერთხელ იქნა განხილული მკაცრ ღონისძიებათა გათვალისწინებით.

რაიონის და სამინისტროს პირველი (ჩვენთვის) ხელმძღვანელიდან მოყოლებული ბოლომდე დღენიადაგ ზრუნავდნენ ქარხნის შედეგიანობაზე, მის ტექნიკურ შეიარაღებაზე:

მინისტრები: პატარაშვილი, გრიგოლ ხომერიკი; გრიგოლ ცინცაძე, სიმონ ლორთქიფანიძე, ოთარ ლოლაშვილი, ვალერი ვაშაკიძე. მათი მოადგილები: ბუაჩიძე, მინდიაშვილი, ლევან პარკაძე, ალექსანდრე ვარდოშვილი, შოთა ბეზარაშვილი, ვახტანგ პაპიაშვილი, გიგლა მეუარიშვილი, განყოფილების გამგები: გრიგოლ სურმავა, გენადი მეტრეველი, გრიგოლ ხურცილავა, ზაურ ხომერიკი, ნოდარ დათუაშვილი, ჯემალ სიდამონიძე, ოთარ ბარამიძე და სხვა (შეიძლება ითქვას, რომ მათი მუშაობა მეტეხის აგურის ქარხნიდან იწყებოდა), რაიონის ხელმძღვანელები: ჯიქურაძე, ლევან ჯავახიშვილი, გიორგი მერებაშვილი, გაბრიელ კეჩხეუაშვილი, ლურმიშხან მაღალაშვილი, ბესარიონ გევაძე, ვალერიან ქერქაძე, გიორგი გოგიაშვილი, ვალერიან ეპიტაშვილი, რაიონული აქტივი: პეტრე ჯავახაძე, ანდრო კენჭუა-შვილი, რომანოზ მახარაძე, ალექსანდრე ბოგველი, სულიკო ბარნაბი-შვილი, თამაზ საღუნაშვილი და სხვები.

სხვადასხვა დროს პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ:

1. გრიგოლ მღებრიშვილი
2. ვლადიმერ ნავროზაშვილი
3. ვლადიმერ გევაძე
4. ალექსანდრე თათანოვი
5. ეკატერინე ნიკოლავა-ფაჩუაშვილი
6. ოთარ მაღალაშვილი

7. გივი კალატოზიშვილი
8. გიორგი ბარნაბიშვილი
9. ომარ ზაქარაშვილი
10. გივი ფარეგოზაშვილი
11. ოთარ ხატისკაცი
12. ნოდარ გურაასპაშვილი
13. ზურაბ ჯანანაშვილი

პროცენტების მიხედვით

ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის ერთ-ერთ წამყვან ძალას პროფესიული წარმოადგენენ, რომლის მთავარ ამოცანას შეადგენს მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, პოლიტიკურ, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში, მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეში.

ქარხნის პროფორგანიზაცია თავის გარშემო აერთიანებს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 98%-ს ეოველწლიურად ხდება მისი ანგარიშგება – არჩევნები. საქარხნო კომიტეტი შედგა – 9-11 ქაცით. ჰყავს კომისიები.

პროფორგანიზაციის და მისი კომიტეტის ერთ-ერთ საზრუნავს შეადგენს სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, მისი შედეგების შეჯამება.

ქარხნის კოლექტივი წლების მანძილზე საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაშია ჩაბოლული მინსკის კერამიკული ქარხნის და საბურთალოს კერამიკულ კომბინატის შრომით კოლექტივებთან.

როგორც შეჯიბრების ამ ფორმისათვის არის დამახასიათებელი, გვქონდა მიღწევები და იყო ნაკლოვანებები. სოცშეჯიბრში გამარჯვებისათვის ქარხნის კოლექტივი არაერთხელ დაჯილდოვდა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშებით, ფულადი პრემიებით, ვიმპელებით.... ქვეყნდებოდა ტელევიზიით, რადიოთ, გაზეთით. 70-იან წლებში გაჩნდა შეჯიბრების ახალი ფორმა – კომუნისტური შრომის სახელის მოპოვებისათვის ბრძოლა.



ექსკურსიაზე: I რიგში: ა. გვარაძე, ვ. ბეჭიტაშვილი, ე. შარიფაშვილი, გ. ქორქოტაშვილი. II რიგში: შ. ხეჩუაშვილი, მ. მღებრიშვილი, გ. ბარნაბიშვილი, გ. ოდოშაშვილი, ა. ონეზაშვილი, ო. მაღალაშვილი. III რიგში: ვ. დავითაშვილი, ე. ოდოშაშვილი, ლ. გაბინაშვილი, ს. მამაცაშვილი. IV რიგში: ვ. ბეჭიტაშვილი, გ. ბარნაბიშვილი, ი. დავითაშვილი, ც. მონასელიძე, გ. კალატოშვილი, ც. დავითაშვილი.

თუ როგორია შეჯიბრების ამ ორი ფორმის შედეგები და მისი პოპულარობა, ეს მკითხველისათვის ცნობილია და განჯისათვისაც მათთვის მიმინდვია. ჩემი პირადი შეხედულებით კი იგი (შეჯიბრების ეს ფორმა) გაუფერულდა, განსაკუთრებით ბოლო ხანებში.

პროფორგანიზაციის საზრუნავს შეადგენდა მუშა-
მოსამსახურეთა დასვენება-გართობის ორგანიზება. საამისოდ
ეწყობოდა კოლექტიური სვლები საქართველოს ისტორიულ
ადგილებში. ექსკურსიები საბჭოთა კავშირისა და ევროპის ქვეყნებში.
მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, რიგაში, მინსკში, ხარკოვში,
ბულგარეთში, გერმანიაში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, რუმინეთსა
და სხვაგან.

ერთ-ერთ დიდ ღონისძიებას შეადგენდა 1958 წლის 10 კაციანი
(ორგანიზატორი გრიგოლ ცხოვრებაშვილი) და 1978 წლის 20 კაციანი
ექსკურსიები (ორგ. ანზორ სვანიძე), რომლის თრგანიზატორი
პროფკავშირები იყო.



ზონალურ ტურნირში გამარჯვებულ ფეხბურთელთა გუნდი.

რ. პატარქალაშვილი, ნ. ბეგიაშვილი, ლ. პატარქალაშვილი, მ. ბალხაძეშვილი,
კ. ზაქარაშვილი, თ. ახლოური, მ. მაღლაფერიძე, გუნდის ხელმძღვანელი
ზ. შატაკიშვილი, ზ. ხატისკაცი, გ. ლელაშვილი, მ. აფციაური (გუნდის კაპიტანი),
ნ. კარაგეზოვი, ა. მაისურაძე, ტ. მამიტოვი.

ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა გაახალგაზრდავებულ
კოლექტივში არც ცუდად მიმდინარეობდა. ფეხბურთის, ჭადრაკის,
ჭიდაობის, ძალოსნობის და სხვა გუნდები წარმატებას წარმატებაზე
აღწევდნენ რაიონის და ორსპუბლიკის ფარგლებში. მეგურე-
სპორტსმენთა მიღწევებს ადასტურებს არაერთი სიგელი და ვიმპელი,
სხვადასხვა სახის ჯილდოები. ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას
სათავეში უდგნენ გამოცდილი მეოთხისტები გივი კიკაჩიშვილი, გივი
ქოვრელი, მერაბ მაღლაფერიძე, რომელთა ღვაწლი შთამეჭდავია
ქარხანაში მათი მუშაობის პერიოდში.

ყოველწლიურად დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების,
პიონერთა სახლის საგზურებით მიღიოდნენ ქარხნის წარმომად-
გენლები, მათი შვილები.

პროფერგანიზაციას ჰყავდა აქტივი გულო გორგაძის, ჯულიეტა
ჯავახიშვილის, ედვარდ დანდუროვის, ვლადიმერ ენუქიძის, ვასილ
ბეჟიტაშვილის, ვასილ აბუშვილის, ეთერ კალატოზიშვილის,
ავთანდილ ბარნაბიშვილის, იოსებ ნუგზარაშვილის, ესტატე
ზუბიაშვილის, რევაზ ჭეჭელაშვილის, ნინა მეზურნოვას, ციალა

შზარეულაშვილის, ლამარა დათაშვილის, ლოდო ნაცვალაშვილის და სხვათა სახით, რომელთა აქტიურმა მუშაობამ დადგებითი გავლენა იქონია ქარხნის შრომითი კოლექტივის მიღწევაში.

პროფესიული დაცვის საშვილიშვილო საქმის სამსახურში იდგა.

პროფესიული საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარები იყვნენ:

1. კლადიმერ ენუქიძე
2. ედუარდ დანდუროვი
3. გივი კალატოზიშვილი
4. ანზორ სვანიძე
5. ტარიელ ქვრივიშვილი

აოგონება

გთავაზობთ მეტების აგურის ქარხნის რამდენიმე ძველი მუშაკის მოგონებას:



ამ ქარხანაში ერთი წელი ვიმუშავე (1988წ.). როგორც დირექტორი, ბევრი სიძნელის გადალახვამ მომიწია. კოლექტივი ძირითადად ჯანსაღი, შრომისუნარიანი იყო. რამდენიმე პიროვნება განსაკუთრებით დამამახსოვრდა. გვერდში მეღვნენ და მუდამ მხარს მიჭერდნენ საქმეში მთავარი ინჟინერი მილერი ლობნელიშვილი, სამქროს უფროსები: ამირან კალატოზიშვილი და იასონ დათაშვილი.

წარმოების ეს ენთუზიასტები დღედაღამ ტრიალებდნენ ქარხანაში, შემოჰქონდათ წინადაღებები მართვის გასაუმჯობესებლად.

მილერი დამამახსოვრდა, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი ინჟინერი, შემომქმედი, საქმის ერთგული, აგურის წარმოების დიდი პროფესიონალი, მეცნიერების, ოჯახის მოსიყვარულე ადამიანი.

ამირანი თავმდაბალი, მოსიყვარულე, თავისი საქმის ღრმად მცოდნე, გამოწვის ღუმელებში არ დაბადებულა, თორემ მისით სუნთქავდა, ესმოდა მათი მაჯისცემა და დღედაღამ თავს დასტრიალებდა. ამირანს უდიდესი ღვაწლი და ამაგი მოუძღვის საქართველოში აგურის წარმოების განვითარებისათვის. დიდ სინაულს გამოვთქვამ, რომ ბრმა შემთხვევამ დაუმოკლა ყველასათვის საჭირო სიცოცხლე.

იასონი ორგანიზაციორული ნიჭით დაჯილდოებული, კვალიფიციური ხელმძღვანელი იყო. წარმოების თითქმის ყველა უბანს, სადაც კი მუშაობდა, მისი კეთილშობილური ხელი ეტყობოდა. „გაჭირვების ტალკვესიათ“, — ამბობდნენ მასზე. რომელ საამქროსაც უჭირდა, არჩევანი იასონზე ჩერდებოდა, როგორც ხელქვეითებზე მზრუნველ და მკაცრ ხელმძღვანელზე. მანაც ადრე დატოვა ქარხანა, მეგობრები, ოჯახი. ნათელში იყოს.

ქებით მინდა მოვიხსენიო მწნეხავ-რემონტიორი ალ. გეჯაძე, ზეინკალ-ელექტროგაზოშემდუღებელი უშანგი შაველაშვილი, ელექტრომემკეთებელი ივანე ჯავახიშვილი და ბევრი სხვა.

ვიცნობ „აშურიანის გამოძახილის“ ავტორს — გივი კალატოზიშვილს. არის თავმდაბალი, საქმის ერთგული, ნიჭიერი კაცი და კარგი მეოჯახე. მუდამ სიახლეს ეძიებს, რითაც სიმპატიას და პატივისცემას იმსახურებს.

საქმის, ქარხნის, კოლექტივის სიყვარულმა უკარნახა მეტეხელ მეაგურეთა წარმოჩენა, რაც კარგ საქმედ უნდა მივიჩნიოთ. მისი წიგნი, ალბათ, უფრო ადრეც უნდა გამოსულიყო.

ადრეც და დღესაც მეტების აგურის ქარხანა მესახება, როგორც საჭირო და აუცილებელი ქვეყანაში გაშლილი მშენებლობისათვის. მასზე ვზრუნავდი დირექტორად მუშაობის დროსაც და მაშინაც, როცა ცემენტის ქარხანას ვხელმძღვანელობდი, ვეხმარებოდი ტექნიკურად, მორალურად, ყოველმხრივ. მწამდა, რომ ცემენტს აგური უნდა და აგურს — ცემენტი.

თენგიზ ალიბეგაშვილი
(მეტების ქარხნის ყოფილი დირექტორი)



სამამულო ომიდან დაბრუნებულმა 1948 წელს მშენებარე აგურის ქარხანაში დავიწყე მუშაობა. მცხეთის აგურის ქარხანაში გავიარე გამომწვევლის კურსი. პირველად ჩვენ ავანთეთ აგურის გამოსაწვავი ღუმელი შეშით. აგურის ჩაწყობა და ცეცხლის ანთება გამოწვის ოსტატმა ს. კაზადჟანოვმა გაასწავლა, თვითონაც გვეხმარებოდა.

აქედან გაგვაგზავნეს ხარკოვში 8 კაცი, ახალი სისტემის ღუმელზე გამომწველის ცოდნას დავეუფლე. ახალ ქარხანაშიც პირველს მომიწია გვირაბისებური ღუმელის ანთება. ჩემთან ერთად იყვნენ: აბესალომ მალაციძე, ამირან კალატოზიშვილი და ბიჭიკო პატარქალაშვილი (ჩვენ ერთად დავამთავრეთ კურსები). ღუმელის ანთებას და გამოწვას ხელმძღვანელობდნენ მთავარი ტექნოლოგი სტეფანე მუკარეზი და საამქროს უფროსი ნატალია ჩუქაევა.

ბევრი გაჭირვება და სიძნელე მახსოვს: ღუმელში დამტვრეული აგურის გამოყრა, ჩავარდნილი ვაგონების ლიკვიდაცია, ხანძარი ღუმელში და ღუმელს გარეთ. ისე ვიმურებოდით, ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით, მაგრამ რა იყო წუწუნი, არ ვიცოდით.

ჩემი შვილები: ცირა და იოსებიც ამ ქარხანაში მუშაობდნენ.

ბევრი სიკეთე მახსოვს ქარხნიდან. მან მეტეხელებს დიდი შედაგათი მოგვცა. მაღლობის მეტი რა გვეთქმის მისი ამშენებლის მიმართ. ამ ქარხნიდან გავედი პენსიაზე და დღესაც სიამოვნებით ვიგონებ აქ გატარებულ წლებს, მეგობრებს.

მიხეილ (ჭილრა) გზირიშვილი

(ომისა და შრომის ვეტერანი, 80 წლის)

ომის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე „საქართველოს“ კასპის უბანზე ავტომანქანის მდროლად. 1950 წელს აქედან გამაგზავნეს მეტების ქარხნის მშენებლობაზე.

საძირკველი რომ ითხრებოდა (ხელით), ბეტონის ხსნარის მოზიდვა დამავალეს. პირველმა მე ჩავასხი საძირკველი.

კარგი მუშაობისთვის მაქვს მაღლობები და ჯილდოები.

გიორგი (ჭორა) ნიპარიშვილი

(ომისა და შრომის ვეტერანი, 80 წლის)

სკოლა რომ დავამთავრე, მაამა სამუშაოდ მეტების ქარხნის მშენებლობაზე მიმიყვანა. მშენებლობის უფროსმა, გივი ყანჩაველმა, გულთბილად მიმიღო და მითხრა: „აი, შეხედე, აქ ვინც მუშაობს, ბევრი ძათგანი რუსეთიდან არის, ჩვენ ადგილობრივი მცხოვრებლები უფრო გვჭირდებაო“. დამევალა ერთ-ერთი ბრიგადის ნამუშევრის აღრიცხვა.

ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდული ბრიგადა შევქმნით. ვაწყობდით შაბათობებს, ვცლიდით აგურს, ვეხმარებოდით კოლმეურნეობას, ვმონაწილეობდით ქარხნის გამწვანებაში. ადგილობრივი ახალგაზრდობის მომრავლების შემდეგ ჩამოვაყალიბეთ კომკავშირული ორგანიზაცია, რომლის მდივნად მე ამირჩიეს.

დღესაც ისევ იმ საქმეზე ვმუშაობ – საბუღალტრო აღრიცხვას ვხელმძღვანელობ 20 წელზე მეტ ხანს, რაც, ფაქტიურად, წარმოების სარკეა.

შეუწინა კალატოზიშვილი-შაველაშვილი (შრომის ვეტერანი)



შრომით საქმიანობაში 16 წლისა ჩავები, 1934 წელს, პროფტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. 1937 წელს წამიყანეს ფინეთის ომში, მერე – სამამულო ომში, საიდანაც დაჭრილი დავბრუნდი. როგორც კი ამუშავდა აგურის ქარხანა, აქ ვარჩიე ვუშაობა. დირექტორმა, როგორც გამოცდილ მეთაურს, პედაგოგს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, საამქროს უფროსობა შემომთავაზა, მაგრამ მე ცვლის უფროსობა ვარჩიე და 25 წელზე მეტ ხანს ვემსახურე აგურის წარმოებას.

ყველაფერი მოგვეთხოვებოდა: კარიერიდან თიხის მოტანა, აგურის სავსე ვაგონების დაცლა, დაყალიბება.

საყალიბო საამქრო ყველაზე დიდია მომუშავეთა კონტიგენტით, მოწყობილობა-დანადგარები ხუთ სართულზეა განლაგებული. საამქრო კარიერსა და საგამოწვის შუა მდებარეობს და ერთის ან

მეორის შეფერხება ჩვენს გაჩერებას იწვევდა. განსაკუთრებით ძნელი იყო მუშაობა პირველ ხანებში, გვიჭირდა დამის ცვლაში და გამოსასვლელ დღეებში, ვინაიდან დღის ცვლის წამყვანი სპეციალისტები ისვენებდნენ. თოთქმის სისტემატურად გვიხდებოდა ზეინკლების, მწნეხავ-შემკეთებლების, ელშემკეთებლების და სხვა სპეციალისტთა გამოძახება დამის ცვლაში მომხდარი ავარიების გამო. რა იყო ჩივილი, პრეტენზია ან უარი აღდგენით სამუშაოებზე, არ ვიცოდით. ყველა მუშაობდა თავდადებით, მონდომებით. მინდა გავიხსენო ა. ბარნაბიშვილის, გ. შარიფაშვილის, ლ. ხარატიშვილის, დ. გუგულაშვილის და სხვათა ერთგული მუშაობა. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ვასილ აბუაშვილი

(ომისა და შრომის ვეტერანი, 83 წლის)



ქარხანაში 1948 წლიდან დავიწყე მუშაობა ზეინკლად. ყველა უბანზე მაქვს ნამუშევარი, მაგრამ თავისი სპეციფიკით კარიერი ერთ-ერთი ყველაზე რთულია. წვიმა, თოვლი, ყინვა, ზაფხულის სიცხე, ძლიერი ქარი მდინარე მტკვრის ხეობაში და სხვა მუშაობის არასასურველ პიობებს გვიქმნიდა. გადამუშავი წვიმების დროს აზელილი თიხის მასაში ვიფლობოდით. მუშაობაში ყველა ვმონაწილეობდით, განურჩევლად პროფესიისა. ბრიგადაში 4-5 კაცი იყო და უჭირდათ საქმის დაძლევა. სხვაგან ასეთი პირობები მაგნე სამუშაოდ ითვლება.

სამუშაო პირობები თანდათანობით გამოსწორდა, როდესაც მოგვცეს ახალი მოტომზიდები და ექსკავატორები.

ჩემი სახლიდან კარგად ჩანს გაღმა ქარხანა და სულ ვუცქერი, როდის აბოლდება.

ივანე (გიძგიძა) შაქარაშვილი
(ჰენსიონერი)



კრამიტის ქარხნის მშენებლობაზე დავიწყე მუშაობა მეურმედ. კამეჩები მებარა მოსავლელად. საძირკვლის ქვა და ქვიშა ურმით ამომქონდა მტკვრიდან, ხოლო კედლის ქვა და საწვავი თეთრადხევიდან.

ქარხანა, რომ ამუშავდა, თიხის საზელზე ვიმუშავე, კამეჩი აბრუნებდა ღერძს. მანამდე კი დაბბალ თიხას ფეხით ვზელავდით.

სამამულო ომში გამიწვიეს და რომ დაებრუნდი, დირექტორმა ბ. კანდელაკმა კრამიტის, ჭურჭლის და თონების ღუმელში ჩაწყობა და გამოწვა დაგვავალა მე და გიგო წერუაშვილს.

დღი რომ მოვიდა, შეღავათი მოგვცა შრომაში. ვმუშაობდი აგურის ჩაწყობასა და გამოწვაზეც ახალ (დიდ) ქარხანაშიც მომიწა მუშაობა, მაქვს მაღლობები.

ამ ქარხანამ დიდი სიკეთე გაგვიწია, სოფლები გააძლიერა, გაალამაზა.

იღდა მამულაშვილი
(პენსიონერი)

ყველა, ვინც დღეს მუშაობს, ან ადრე მუშაობდა მეტების აგურის ქარხანაში, გულისტკივილს გამოიტქამს ქარხნის დღეებანდელი მღვრმარეობის გამო – ფაქტიურად, აგურის წარმოება შეჩერებულია. ხალხი იმედით შესცემრის მომავალს. ვისაც კი გავესაუბრე, ყველა ერთსა და იმავეს ჩიოდა, ამიტომ მოგონებებში აღარ ჩავურთე ეს პრობლემა და ბოლოს წარმოვაჩინე იმ იმედით, რომ იოლად აღსაქმელი ყოფილიყო იმ აღამიანებისათვის, ვისაც შეუძლია „ააბოლოს“ ქარხანა.

აშურიანი – მეტახი

„აშურიანის გამოძახილში“, რომელშიც ასახულია მეტეხის აგურის ქარხნის ისტორია, ფიგურირებს „აშურიანის“ და „მეტეხის“ სახელები, ჩემს ხელთ არსებული მასალების მიხედვით საჭიროდ ვცანი მათი ისტორიული წარმოშობის განმარტება. ვფიქრობ, მკითხველი არა მარტო ქარხნის, არამედ თვით აშურიანის და მეტეხის ისტორიითაც დაინტერესდება.

აშურიანი

ისტორიული წყაროებიდან დასტურდება, რომ აშურიანის ველი იწყება კასპიდან და მთავრდება უფლისციხემდე.

ჩვენ კონკრეტულად განვიხილავთ კასპისა და მეტეხის მფლობელობაში არსებულ აშურიანს.

ტოპონიმი (გეოგრაფიული სახელწოდება) „აშურიანი“ საკმაოდ ხშირად გვხვდება ქართულ საისტორიო ლიტერატურაში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ფუნდამენტურ მრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ წერს:

„კასპის დასავლეთით მინდოი მტკურისა და კუერნაქს შუა არის აშურიანი უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე, არამედ ზამთრის ბალახიანი და იზრდების ცხოვართა, რემათა და მღრნელთა სიმრავლე და თფილი ზამთარი“ (ვახუშტი, აღწერა, თბ. 1973, გვ. 306).

ტოპონიმი დასტურდება სამართლის ძეგლებშიც, იგი შეუწირავს ალექსანდრე მეფეს სვეტიცხოველსათვის. ამას გვაუწყებს „ქართლ-ქახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი“, რომელიც გაცემულია 1392 წლის 1 დეკემბერს. ამასვე ვკითხულობთ წიგნში „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის“) თბ. 1964 წ.). აშურიანი მდებარეობს კასპთან. მისი შეწირულობა განუახლა ალექსანდრე მეფემ სვეტიცხოველს.

სოფელ აშურიანში ამილახვრებსაც ჰქონიათ წილი. „ნაწრეტი და აშურიანი დიდი ხნის ხარაბა არის, მისი მერვედი ბატონისაა“ – გვაუწყებს „განჩინება დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლიდაცების გაყრის საქმეზე“, რომელიც შედგენილია 1763 წლის 10 თებერვალს (იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი IV, გვ. 521).

„ხარაბა“ არაბულიდან შემოსული სიტყვა და ნიშნავს ტიალ, ამოვარდნილ, დანგრეულ, ოხერ, დაუსახლებელ ადგილს, რასაც ამ საბუთებიდან ვიგებთ, მეოვამეტე საუკუნის მეორე ხახევარში სოფელი აშურიანი დიდი ხნის ხარაბა ყოფილა, ე. ი. დანგრეული და გაპარტახებული.

მეტად საინტერესოა, რომ ითანე ბატონიშვილის მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს კვლავ სოფელთა სიაში აქვს დასახელებული აშურიანი: „კვერნაკზედ რაც მიეწერება (ესენი არიან) რენჯ, ნადარბაზევი, აშურიანი, ავაზანი, ზეგარდა, საშვები, უფლისციხე“ (იხ. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ. 1986 წ. გვ. 39).

„გვიანდელ ხანაში აშურიანი უფლისციხემდე კასპის ეკუთვნოდა. მკვლევართა გარკვეული ნაწილის აზრით კასპი მოხსენიებულია ქვეწად (ძვ. წ. IV-III სს) და უფლისციხე კასპისა.“

„აშურიანის“ წარმოშობაზე სხვა ისტორიული წყაროებიდანაც ვებულობთ, რომ ნიშნავს მშრალს, მწირს, აშუშულს (აშურიანი, ხაშურიანი) ეს სახელწოდება მიესადაგება კიდეც, ვინაიდან უწინ ამ მოტიტვლებულ ველ-მინდვრებში ზაფხულში ცხელი, ხოლო ზამთარში სუსხიანი ქარები ქროდა და უკაცრიელ ველ-მინდორს წარმოადგენდა.

აშურიანის ველის ისტორია უალრესად სავსეა მნიშვნელოვანი მოვლენებით. საუკუნეების მანძილზე აშურიანის ველზე არც საცხოვრებელი სახლი და არც ხე მცენარე არ მდგარა. მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან მეტეხელ და კასპელ გლეხებს ჰატარ-ჰატარა ნაკვეთებზე ხორბლისა და ქრის ფანები ეოთხათ და ამინდის შემყურეთ მოპყავდათ მოსავალი.

ქვეყანაში სამამულო ინდუსტრიის განვითარების ნიადაგზე შექმნილმა მმღავრმა ტექნიკამ დაარღვია აშურიანის საუკუნოვანი სიმყუდროვე და ჯერ ორთქლმავალმა, ხოლო შემდეგ ტრაქტორებმა, კომბაინებმა და სამშენებლო ტექნიკამ, ქარხებმა და საწარმოებმა ამცნეს ქვეყნას მისი ნაყოფიერება აღამიანების სამსახურში ჩაყენებით, აშურიანზე თანდათან იმატა რკინიგზის გამტარუნარიანობამაც.

კასპიდან, სადაც ცემენტის გიგანტი დგას, გრაკლის მიჯნამდე დიდძალი ფართო პროფილის საწარმო შენდება, მათი ექსპლოატაციაში შესვლის შემდეგ ტერიტორიის ეს მონაკვეთი და მთელი კასპი ერთ-ერთ დიდ სამრეწველო რეგიონად გადაიქცევა.

ოდესლაც თითქოს „მოურჯულებელ“ აშურიანზე გატყდა ნავსი,

გატყდა ყამირი, რესპუბლიკაში ცნობილი მებაღეების და საქვეფნიდ განთქმული მეცავილე-დეკორატორის ბატონ მიხეილ მამულაშვილის უშაალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით. მათმა მადლიანმა ხელებმა მეტეხის აკურის ქარხნის ტერიტორიაზე დარგო და გაახარა უნიკალური ჯიშის წიწვოვანი, ფოთლოვანი და ტროპიკული ხე-მცენარეები. დეკორატიული ბუჩქები, მრავალი სახის ყვავილი. ქარხნის მთელი ტერიტორია ბაღნარად გადაიკცა. ამ საშვილიშვილო საქმეს საფუძველი ჩაეყარა 1955-1956 წ.წ., რომლის ინიციატორები იყვნენ მაშინდელი დირექტორები ალექსანდრე გაბუნია და გრიგოლ ცხოვრებაშვილი, კომკავშირული, პროფგავშირული, პარტიული და სამეურნეო აქტივი. ამ საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ: ზაქარია ფაჩუაშვილი, იოსებ ცქიმანაური, ოთარ მაღალაშვილი, გრიგორ ჭუმბურიძე, ვლადიმერ ენუქიძე, გიორგი რაქვიაშვილი, ოთარ ბარამიძე, დახმარებას გვიწევდნენ აგრეთვე რაიონისა და სამინისტროს ხელმძღვანელები: დურმიშხან მაღალაშვილი, ბესარიონ გვჯაძე და მინისტრები გრიგორ ცინცაძე, გრიგოლ ხომერიკი, სოფელ მეტეხის თავისაცები, იქნებ ეს იყო დასაწყისი შემდგომში დიდი მასშტაბის აგროკულტურების განაშენიანებისათვის. ერთი კია, რომ აშურიანის გამოძახილზე კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი მებაღეებისა და მრეწველობის განვითარებისათვის. მისივე ფართობებზე და 70-იან წლებში კასპი-მეტეხის მონაკვეთში დაიწყო და გაშენდა 500 ჰექტარი ხეხილის ბაღები. თანამედროვე სარწყავი სისტემით. იშვიათი ჯიშის ხე-მცენარეები: ვაშლი, მსხალი, ატამი, კურკოვანი კულტურები, ქარსაცავი ზოლები. აქ კარგად ხარობს ვაზი და ხეხილი, ბოსტნეული.

ოდესაც მიჩურებული და უნაყოფო აშურიანის ველი მშრომელი ადამიანების ზრუნვის, ყურადღების საგანი და არსებობის წყარო გახდა, აშურიანის დამსკდარ მიწაში ჩაღვრილმა მაცოცხლებელმა წყალმა, გაშენებულმა ბაღ-ვენახებმა და ქარსაცავმა ზოლებმა არსებითად შეცვალა ჰავა და კლიმატი. მოხდა აშურიანის ველის ისტორიული გარდაქმნა, მნიშვნელოვნად (მოლიანად) შეიცვალა მისი იერსახე. სამოძალოდ კვლავ პერსპექტივაშია აშურიანის ველზე განაშენიანების უკეთესი ვარიანტები, რომელსაც უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია ადამიანებისათვის.

აშურიანის ისტორიას ამდიდრებს თეთრახევის მამების მონასტრის, ნადარბაზევის წმინდა გიორგის, მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიები, გამოქვაბულები, რომლებიც საიმედოდ

გადმოჰყურებენ თებმის ხეობასა და დასახლებულ სოფლებს. აშურიანის ველზე კასპის დასავლეთით კოწახურასთან ახლოს აღმოჩენილია ნაქალაქარი, რომელიც ბევრს მეტყველებს აშურიანის ველის საიდუმლოებასა და სიკეთეზე. იქ ახლახანს აღმოჩნდა საუკეთესო სასმელი წყალი, რომელსაც სიამოვნებით ეტანება გზაზე გამვლელი, ხოლო ოვით ნაქალაქარის ირგვლივ მიმდინარეობს კვლევა.

აშურიანის ველის საიდუმლოებანი ჯერ მთლიანად არ არის გაცნობიერებული და იგი კვლავ მიიქცევს ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსების, მკვლევარების, არქეოლოგების ფურადლებას და მათი კვლევის საგანი გახდება.

იმ დიდ დადებით ოვისებებთან ერთად, უნაკლო არც აშურიანია, საგულისხმოა, რომ აშურიანის გარკვეულ ნაწილს ახასიათებს მეწყერული ოვისებები, განსაკუთრებით იქ, სადაც წყლის (სიჭარებება) ჩაუონვებია. იყო შემთხვევები, რომ ჩაჯდა და დაინგრა ისეთი კაპიტალური შენობები, როგორიცაა რკინიგზის საღურის, ქარხნის ადმინისტრაციული შენობები, კედლის ბზარები მიიღო ორსართულიანმა საცხოვრებელმა სახლმაც და სხვა. გეოლოგებისა და მშენებლების ერთობლივი ღონისძიებების გატარებით უკან დაიხია შემოტევამ და ახლა არავითარი საშიშროება არ ემუქრება ძველ და ახალ მშენებარე ნაგებობებს.

მეტეხი

„მეტეხი“ და „აშურიანი“ – ეს სახელები ისტორიულადვე დაუკავშირდა ერთმანეთს, მით უმეტეს, რომ ადგილები (ველი და სოფელი) მხოლოდ მდინარე მტკვრითაა გაყოფილი, მნელი განსასაზღვრელია, თუ რომელი სახელი უფრო ადრე წარმოიშვა. მათ წარმომავლობაში ბევრი რამ კიდევ ამოუცნობი და შესასწავლია, მეტეხისა და აშურიანის ერთიანობა განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლო ორ საუკუნეში, როცა ხალხმა აითვისა სახნავ-სათესი ფართობები, ამას დაემატა რკინიგზის ხაზი, ბაქო-ბათუმის ნავთსადენი მაგისტრალი, მდინარე მტკვარზე ხიდი და კასპი მეტეხის სავალი გზა. „თეთრადხევის“ საკირქს ამოქმედება, არქეოლოგიური გათხრები... ასევე სათვალავში ჩასაგდებია ბოლო ხანებში საკვლევაძიებო სამუშაოებისა და მშენებლობის გაჩაღება.

საწარმოო დაწესებულებების ამოქმედებამ, დასახლების დაფუძნებამ, აშურიანის სარწყავი სისტემის მოწყობამ, ბალ-ვენახების გაშენებამ და სხვა ღონისძიებებმა ერთიანად შეუცვალა ამ რეგიონს იერსახე, უფრო გააერთიანა და განამტკიცა მეტეხისა და აშურიანის ურთიერთკავშირი, ისინი ერთმანეთს შეერწყნენ.

აშურიანის ველზე გატარებული ღონისძიებანი (გაშენებული დასახლება) საწარმოო დაწესებულებები, ხეხილის ბაღები თუ სხვა რამ მეტეხის სახელთანაა დაკავშირებული: „მეტეხის აგურის ქარხანა“, „მეტეხის კერამიკული ქარხანა“, მეტეხის „ნაკობებაზა“, დასახლება სადგური „მეტეხი“, „საქაბაკალეია მეტეხის“ ბაზა, „მეტეხის წევის ქვესადგური“, და სხვა მრავალი, ყოველივე ამან მოგცა იმის საფუძველი, რაზედაც იქნა გაშუქებული მეტეხისა და აშურიანის სახელების შესახებ. თვითონ სახელწოდება „მეტეხი“ გარკვეულ ინტერესს იწვევს, კინაიდან იგი სხვაგანაც გახვდება, მაგალითად: თბილისში მეტეხის ციხე-სიმაგრე, სოფელი მეტეხი ზნაურის რაიონში, სოფელი მეტეხი (ლენინგრადის) ახალგორის რაიონში, რაჭაში, მეტეხის სახელს ატარებს თურქეთის ერთ-ერთი სოფელი და სხვა.

ყოველივე ერთობ საინტერესოა, რაც ცალკე მოკვლევას საჭიროებს: მეტეხი და (მეტეხის წილი) აშურიანი ტერიტორიებით თითქმის თანატოლია და მათ შორის დიდი სხვაობა არ უნდა იყოს, ოღონდ ჰავასა და კლიმატში, მათ ბუნებრივ პირობებზე არსებითი სხვაობაა.

მეტეხი მდიდარია ბუნებრივი ცივი წყლებით: ფშა-ტიაური, საკმელა, ბორტა, ფონის, ყავრიაანთ, თუხარლიაანთ, ლეგიას, გზირიაანთ, გუგულაანთ, ნაცვალაანთ, ოთიაანთ, ზურაანთ, საყვეპარა საყდრის და სხვათა სახით. სოფლის თითქმის ყველა



საგვარეულო უბანს თავისი სახელობითი წყარო აქვს. მდინარე მტკვრისა და თეძმის ხეობის მაცოცხლებელი ჰავა, იქიდან მონაბერი ჰაერი, თეძმის წყლით ბაღ-ვენაზების რწყვა სასიკეთოდ მოქმედებს ამ რეგიონზე. მეტებსა და მის მეზობელ სოფლებს ტყით დაფარული თრიალეთის ქედი გადმოჰყურებს. აშურიანი კი ამ სიკეთეს მოკლებულია.

სოფელი მეტები ერთ-ერთი პირველთაგანი დასახლებული სოფელია თეძმის ხეობაში (სასირეთსა და ნიაბთან ერთად), „მეტები დიდი სოფელია, სახელწოდება „მეტები“ ბერძნულია და ნიშავს მეტოქეს, ქვემონასტერს. მეტების ტაძარი უშუალოდ ემორჩილებოდა ქართლის კათალიკოსს მთელი თავისი შემოსავალ-გასავლით (სერგი მაკალათია, თეძმის ხეობა, თბილისი, 1995) მეტების ღვთისშობლის ტაძარი აშენებულია მე-11-12 საუკუნეში.

თუ რომელი სახელი გაჩნდა პირველად, სოფლის თუ ტაძრის, ეს ჯერ ცნობილი არ არის.

ვახუშტი კი ამ ტაძრის აშენებას მიაწერს ვახტანგ გორგასალს და ამშობს: „აյ მტკვრის კიდეს არის მონასტერი ყოველი წმინდისა გუმბთიანი, დიდი მეტები, კეთილშენი გირგასალისაგან საარქიმანდრიტო (ვახუშტი) საქართველოს გეოგრაფია, გვ. 56) „მეორეთა აზრით, „მეტები“ ნიშავს სადგომს, ან შესასვენებელ ადგილს მდინარე მტკვართან შემაღლებული ადგილი საშუალებას აძლევდა მექარავენებს, საიმედო სადგომი ჰქონიდათ იქ, სადაც ახლა სოფელი მეტებია“. (მერაბ მამულაშვილი, გაზეთი განთავდა, № 60 1985)

სახელწოდება „მეტების“ წარმოშობის ისტორიაზე ისტორიკოს ქველევარების მიერ რამდენიმე განმარტებაა, რომლებიც ისევ მათ კონცეტრირდა უნდა მივიჩნიოთ, ერთი კა, რომ მეტების საშენ მასალათა კოშინატის სახელი უკვე ისტორიას ეკუთვნის ეს მისმა სახელოვანმა შრომითმა კოლექტივმა დაამკვიდრა ქვექნად. სოფელ მეტებისა და აშურიანის ურთიერთშერწყმამ ისტორიული როლი ითამაშა, რამდენადაც აშურიანმა მეტებელებს მისცა მიწა და წიაღისეული, ქარხანა, რკინიგზა, სავალი გზა, მეტებია აშურიანს მისცა მუშა, ძალა, კადრი, სასმელი წყალი, მეტების ქარხანაში და საერთოდ, აშურიანზე განლაგებულ საწარმოებში აღიზარდნენ მუშათა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ინჟინრები მაღალ კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა ღვაწლიც დიდზე დიდია ქვეყნის მშენებლობაში.

მომავალი კიდევ უფრო დიდია მეტეხისა და აშურიანის შემდგომი განვითარებისათვის და სწორედ ამან მიკარნახა (თუ მათქმევინა) „აშურიანის გამოძახილის ეშხით“ მეტეხისა და აშურიანის წარმოშობის ისტორია.

სოფელი მეტეხი ყოველთვის ამაყობდა და დღესაც ჰყავს ღვაწლმოსილი ადამიანები, ერისკაცები, სამშობლოსა და ხალხის ერთგული შვილები, ბრძოლისა და შრომის ვეტერანები კვალიფიციური ინჟინრები, აგრონომები, განათლების, კულტურის გამოცდილი მუშაკები, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები, სპორტის ოსტატები. ფალავნები მოწინავე მუშათა ინტელიგენცია. მეტეხისა და აშურიანის ამ მოკლე ისტორიის გამოქვეყნება იმის იმედს იძლევა, რომ მომავალში უფრო უკეთ წარმოჩნდეს ყოველივე სიკეთე. ამით აშურიანის გამოძახილი ქვეყანას უფრო მეტ ნათელს მოჰყენს ხალხის წარსულსა და მომავალზე.

პოლიტიკა

აშურიანზე აგურის საწარმო და მუშათა დასახლება ახლა უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. იგი საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზეა აღნიშნული.

მისანიშნებელია, რომ აშურიანული სამშენებლო მასალების წარმოებით არაერთი პრობლემა გადაწყვდა ამ რევიონში:

უპირველესად, საკედლე მასალით (აგურითა და ბლოკით) უზრუნველყოფილი იქნა ქვეყანაში გაშლილი მშენებლობა; და ბევრმა ადამიანმა მიიღო თავშესაფარი; აშენდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, კურორტები, სკოლები, სპორტული კომპლექსები, გამაჯ ანსალებელ სამკურნალო ობიექტები... დიდი რაოდენობით მიდიოდა სამხედრო მშენებარე ობიექტებზე. დასაქმდა მეტეხისა და მის ახლომდებარე სოფლების ჭარბი მუშა-ხელი, რომლებიც ადრე სამუშაოდ დადიოდნენ სხვადასხვა რაიონსა და ქალაქები, ახლა უკვე მათ კარებწინ გაუჩნდათ სამუშაო;

ქარხნის ბაზაზე წარმოიშვა მუშათა დასახლების უბანი (სადგური მეტეხის დასახლების სახით), რომელიც საშუალო სოფლის ტოლია, სადაც 150 ოჯახია, 400-ზე მეტი მცხოვრებით, ამასთან გაშენდა ბალ-ვენახები.

აშურიანული აგურითაა აშენებული მრავალი საცხოვრებელი სახლი, თუ ადმინისტრაციული შენება, სკოლები, საავადმყოფოები, სანატორიუმები, ბაგა-ბაღები, სოციალური და კულტურული დანიშნულების ნაგებობები, სპორტული კომპლექსები...;

ქარხანაში გაყვანილმა სასმელი და ტექნიკური წყლის სიკეთებ ბალნარად აქცია ქარხნისა და დასახლების მთელი ტერიტორია – ადრე უწყლობით გადახრუაშული კელ-მინდვრები. მოსახლეობას მოჰყავს ხილი, ბოსტნეული, ყურძენი.

წარმოიშვა სოციალურ-კულტურული დანიშნულების კერები: სკოლის, ბაგა-ბაღის, კულტსახლის, სპორტული კომპლექსის, ჯანპუნტის, ფოსტის, შემნახველი სალაროს და სხვათა სახით, რომელიც სასიკეთო სამსახურს უწევს მშრომელ მოსახლეობას;

ქარხნის ოკინიგზის ჩიხებით სარგებლობს მისი მეზობელი საჭარმოები, სოფლების კოლმეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები;

აშურიანული აგურითა და ბლოკითაა აშენებული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანები ობიექტები, უნიკალური შენობები, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, სპორტსახლე, ყოფილი ცკ-ს შენობა, ფილარმონია, ოპერის შენობის ნაწილი, ქორწინების სახლი, მეტროს გვირაბები და სხვა მრავალი.

დღიდი მშენებლობანი ჩატარდა შავი ზღვის კურორტებზე: აგუშტერასა და ბიჭვინთაში, სოხუმში, აღაშარაში, აჭარაში, ფოთში, ქუთაისში...

აშურიანული აგურით შენდებოდა აეროპორტის, გუდაურის სპორტული კომპლექსი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები;

დღვიზისათვის – „მთას დაუბრუნდა მთიელი“ – უდიდესი მშენებლობებიჩატარდა მთიან სოფლებსა და რაიონებშია აშურიანული აგურით;

აქ, ამ ქარხანაში, ჩატარდა აღიზის „პერიკატალიკური“ მეოთლით (გამოშრობის გარეშე) აგურის გამოწვის სამუშაოები, რომელიც მოსკოველი მეცნიერ-მუშაკის იგორ ფეფურისათვის, სადოქტორო დისერტაციის თემა გახდა;

ქარხანაში აღიზარდა და დავაუკაცდა მრავალი ახალგაზრდა სპეციალისტი, მათი დიდი ნაწილი ქარხანაში წამყვან თანამდებობებსა და სპეციალობებზე მუშაობს, ხოლო ბევრიც რესპუბლიკის სხვა-დასხვა წარმოება-დაწესებულებებში მუშაობს წამყვან (ადგილებზე) სპეციალობებზე.

მეტენის აგურის ქარხნის მიერ 1951-91 წლებში
გამოშვებული აგურის რაოდენობა ათას ცალებში

| | გეგმა | ფაქტოურად | | გეგმა | ფაქტოურად |
|------|----------|-----------|------|-----------|-----------|
| 1951 | 10.000,0 | 4.552,4 | 1972 | 82.000,0 | 73.011,0 |
| 1952 | 21.500,0 | 11.993,6 | 1973 | 79.000,0 | 79.020,0 |
| 1953 | 22.000,0 | 17.223,6 | 1974 | 79.000,0 | 79.206,0 |
| 1954 | 20.500,0 | 18.859,1 | 1975 | 80.000,0 | 68.012,0 |
| 1955 | 21.000,0 | 24.608,6 | 1976 | 80.000,0 | 80.012,0 |
| 1956 | 26.500,0 | 37.751,0 | 1977 | 80.000,0 | 71.888,0 |
| 1957 | 37.000,0 | 44.212,0 | 1978 | 85.000,0 | 75.125,0 |
| 1958 | 44.500,0 | 52.033,0 | 1979 | 82.000,0 | 64.134,0 |
| 1959 | 55.200,0 | 56.324,0 | 1980 | 75.000,0 | 58.867,0 |
| 1960 | 63.000,0 | 37.401,0 | 1981 | 62.100,0 | 62.101,0 |
| 1961 | 65.600,0 | 61.634,0 | 1982 | 69.100,0 | 61.125,0 |
| 1962 | 68.000,0 | 70.387,0 | 1983 | 64.000,0 | 55.421,0 |
| 1963 | 71.100,0 | 73.016,0 | 1984 | 65.200,0 | 58.677,0 |
| 1964 | 76.000,0 | 71.840,8 | 1985 | 65.000,0 | 57.630,0 |
| 1965 | 72.200,0 | 67.836,4 | 1986 | 66.500,0 | 56.897,0 |
| 1966 | 73.110,0 | 73.120,7 | 1987 | 60.000,0 | 43.224,0 |
| 1967 | 77.000,0 | 62.469,4 | 1988 | 55.000,0 | 29.951,0 |
| 1968 | 80.000,0 | 78.029 | 1989 | 55.000,0 | 54.200,0 |
| 1969 | 78.000,0 | 74.270,0 | 1990 | 55.000,0 | 026083 |
| 1970 | 80.000,0 | 80.596,4 | 1991 | 24.000,0 | 19.917,0 |
| 1971 | 82.000,0 | 82.667,4 | სულ | 2.627.710 | 2.305.465 |

ქარხნის მუშაობის 40 წლის (1951-1991 წწ.) მანძილზე
გამოშვებულია:

აგური:— ცალებში — 2 300 000 000 ლ. (ორი მილიარდ სამასი
მილიონი). კუბმეტრებში — 4 600 000 მ³.

(ყოველი 1 ათასი ცალი აგური ორი მ³-ია)

ტონებში — 6 900 000 ტ. (ყოველი 1 ლ. 3 კგ.)

კილომეტრებში – 575 000 კმ (ყოველი 1 ც. სიგრძით 25 სმ-ია)

მცირე საკედლე ბლოკი (1959-1965 წწ.)

კუბმეტრებში – 750 000 მ³ – ყოველი 1 ც. 20 კგ.

ტონებში – 8 500 000 ტ. – ყოველი 1 მ³ 1, 400 კგ.

აგურზე გადაყვანით:

პირობით ცალებში – 375 000 000 ც.

1 ც. ბლოკი 7 აგურზე მეტია.

აგური და ბლოკი ერთად:

(აგურის პირობით ცალებში) 1 675 000 000 ც. 1 მ³ – ბლოკში – 500

ც აგურია

ტონებში 15 400 000 ტ.

კუბმეტრებში – 5 350 000 მ³ – (ხუთი მილიონ სამას ორმოცდათოათასი)

თუ ყოველი ერთ 60 ბინან სახლს სჭირდება 500 000 ც. აგური მაშინ 2 675 მილიონი: გაყოფილი 500 000-ზე უდრის 4 600-ზე მეტი სამოც ბინან სახლის მშენებლობას, რაც 1 000 000 მცხოვრებზეა ე. ი. აშენდებოდა ისეთი ქალაქი, როგორიც თბილისია იმდროინდელი.

ეს კოლოსალური ტევირი (თუ მასა) მუშის ხელშია გატარებული, განსაკუთრებით ამღებ-დამწყობებმა, ჩამტვირთავებმა, გამომტანებმა და სხვებმა დიდი ძალი ენერგია ჩააქსოვეს;

გამოშვებული აგური (25 სმ) ერთმანეთზე რომ გადავაბათ, დედა-მიწას შემოუვლის 18-ჯერ, ანუ 2 მეტრამდე სიგანის სავალი გზით; „ტროტუარით“ და ა. შ.

როდესაც წარმოებამ სრული სვლით იწყო მუშაობა და მწყობრ სისტემად იქცა (70-იან წლებში) ბუნებრივია, ამას მოჰყვა პროდუქციის ზრდა. ხშირად აგურის სადღელამისო გამოშვება 300 ათას ცალზე მეტს შეადგნდა, ხოლო წლიური წარმოება 80-83 მილიონს. ეს კი მოითხოვდა დიდ ოპერატიულ მუშაობას. ვაგონეტებიდან აგურის დაცლა და მისი რეალიზაცია სისტემატურ ყურადღებას მოითხოვდა. ამას სჭირდებოდა ტრანსპორტი. ხშირად მისი არარითმული მოწოდების გამო, დახმარებისათვის არაერთხელ მიგვიმართავს მთავრობისათვის. აგურის დაცლის დასაჩქარებლად ვაწყობდით შაბათობებს;

დასაცლელი აგურის ვაგონეტები ნაწილდებოდა ძირითადად დამხმარე საამქროებზე, სამმართველო აპარატზე (ბუღალტერია, საგეგმო, კადრების განყოფილებებზე) კომუნალურზე და სხვა.

კომინატის კოლექტივს ღირსეულ თანადგომას და დახმარებას უწევდნენ სკოლის (დირექტორი ვლადიმერ მიქელაძე), ბაგა-ბაღის

(გამგე მედიკო მარიამიძე), ჯანცუნქტის (გამგე რუსულდან ირემაშვილი), მეტეხის რკინიგზის საღმურის (უფროსი აივენგო ჯიოშვილი), კოლექტივები და სხვანი, რომლებიც ქარხანას საკუთარ კოლექტივად მიიჩნევდნენ და თავიანთი წევლილი შეპქონდათ მის მუშაობაში;

ქარხნის კოლექტივის ხელმძღვანელთა (დირექცია, პარტორგი, პროფორგი, კომორგი) პირადი მაგალითის ძალით არაერთი ქეთილშობილური ღონისძიება გატარდა, რამდენადაც აშერიანულ სამშენებლო მასალებზე დიდი მოთხოვნების პარალელურად მატულობდა მეაგურეთა მისწრაფებაც: რათა ეწარმოებინათ მეტი და, ამასთან, მაღალხარისხოვანი კერამიკული ნაწარმი.

ყველაფერი ეს იმდროინდელი ცხოვრებით იყო ნაკარნახევი. როგორც ცნობილია, სოციალისტური წარმოების სფეროს ჰქონდა თავისი დამახასიათებელი შუქ-ჩრდილები, რაც გზა და გზა ითქვა, და კვლავ აღვნიშნავთ.

სოციალისტური წარმოების სტრუქტურა საწარმოთა ხელმძღვანელებისაგან ითვალისწინებდა მოთხოვნებს მათ შემოქმედებით საქმიანობაზე, წამმართავ მუშაობაზე, როლზე, მუშაობის სტილსა და მეთოდებზე. მათ მინიჭებული ჰქონდათ დიდი უფლებები წარმოების მართვის სრულყოფისათვის, კოლექტივის დარაზმისათვის საწარმოო დავალებების შესასრულებლად;

საწარმოთა ხელმძღვანელების გარკვეული ნაწილი სწორად უდებდა აღღოს მუშაობას და სათანადო ღონისძიებებსაც ახორციელებდა;

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის მუშაობის (მთელი წლების) პერიოდის მანძილზე უდაოდ დიდია დირექტორის როლი და გავლენა (რომელზედაც ითქვა);

სიმაღლე, რომელსაც აშურიანელმა მეაგურებდა მიაღწიეს, უდაოდ სასახელოა და საამაცყოც;

ახლად დანიშნული დირექტორის უპირველეს საზრუნავს შეადგენდა როგორმე შეევსო ის ხარვეზები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი წინამორბედის მუშაობის პერიოდში. შემდეგ კი საერთო წესის მიხედვით იწყებდა ამ თავის შემოქმედებით საქმიანობას.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ იმდროინდელ „გეგმა კანონიაზე“ დამოკიდებული წარმოების ხელმძღვანელი შეზღუდული იყო, რაც მათზე და მთელი კოლექტივის მუშაობაზე უდაოდ გავლენას ახდენდა; გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიც;

იმის გამო, რომ დიდი, ძალზე დიდი იყო მოთხოვნები აგურზე და ბლოკზე, ქარხნის დირექტორი, მთავარი ინჟინერი და წარმოების წამყვანი დარგის მუშაკები დაკავებული იყვნენ პროდუქციის რაოდენობრივი გაზრდით და კერ იცლიდნენ ქარხნისათვის პერსპექტიული, კომპლექსური ღონისძიებების შესრულება-განხორციელებისათვის. ისინი ვეღარ სწვდებოდნენ ისეთი საკვანძო საკითხების გადაწყვეტას, რომელიც მყარ ნიადგა შექმნიდა მომავალი მუშაობისათვის. ამის ძირითადი მიზეზი კი გახლდათ გამოშვებული პროდუქციის დაცვასა და მის რეალიზაციაზე დღენიადაგ ზრუნვა. წარმოების ხელმძღვანელობა დროის დიდ ნაწილს მხოლოდ ამას უთმობდა. მათი ძირითადი ყურადღება გადატანილი იყო ცენტრალიზებული ავტომანქანებისა და რკინიგზის ვაგონების რითმულ მოწოდებაზე, რაც წყვეტილი მოწოდებით შლიდა მუშაობას. ეს ყოველივე კი იმის მიზეზი ხდებოდა, რომ 40 წლის მანძილზე მხოლოდ 14-ჯერ შესრულდა გეგმა-დაგალება და თუ რეალურად შევაფასებთ, ამ შესრულებამიც იყო მოჩვენებითობა, მიწერა, ჩათვლა მომდევნო თვის ან წლის ანგარიშზე, ეს კი უფრო აუარესებდა მომავალი საანგარიშო თვის და წლის პერსპექტივას...

მიწერებისა და გეგმა-დაგალების შესრულების გაყალბების გამო არაერთხელ უმსჯელია მაკონტროლებელ ორგანოებს;

ხელმძღვანელი მუშაობის დაწყებისთანავე რაიკომიდან, სამინისტროდან, საფინანსო, მაკონტროლებელი ორგანოებიდან („მოთხოვნელებიდან“) იმდენ დაღვენილებებს დებულებებს წერილებს სადირექტორო დაგალებებს ღებულობდა..., რომ უჩნდებოდა ჯერ უხილავი, შემდეგ კი საგრძნობი ბზარები გულგატებილობისა და ასე მიღიოდა ხელმძღვანელის ცვლის პროცესი.

- ყველასათვის ცნობილია ლოზუნგი-მოწოდება „კადრები წყვეტის ყველაუერს“. მართალია, კადრების შერჩევისა და განაწილების თაობაზე კოლექტივის აზრიც იყო საჭირო. ფაქტოურად კი დირექტორები და მთავარი ინჟინერები ზემოდან დარეკვის თუ კარნახის ძალით ინიშნებოდნენ, რომელთაგანაც ბევრი სხვა პროფესიის სპეციალისტი მოდიოდა და არ იცნობდა აგურის წარმოებას, ხოლო როგორც კი დაუფლებოდა მას და შეიმუშავებდა წარმოების მართვის სისტემას, მას უკვე ათავისუფლებდნენ,

- 40 წლის მანძილზე ოცდაოთხჯერ დაინიშნა დირექტორი. (ზოგი მათგანი: გ. ყანჩაველი, ი. ვალაბუევი, ა. შარანგია, ს. უბირია - ოჯგურ

და სამჯერაც კი), რაც ყოვლად გაუმართლებლად მიმაჩნია, დირექტორის მუშაობის სტაჟი საშუალო 1,7 წელია, რაც ძალზე ძცირეა. განსაკუთრებით გახშირდა ხელმძღვანელთა ცვლა ბოლო პერიოდში.

საგულისხმოა, რომ ყველაზე ხანმოკლე გამოდგა თენგიზ ალიბეგაშვილის დირექტორად მუშაობის პერიოდი, მაგრამ როგორც პირველმა ადგილობრივმა კადრმა და ახალგაზრდა სპეციალისტმა, ინჟინერ-ტექნიკოლოგმა სწრაფად აუღო ალბო მუშაობას. მისი მუშაობის სტილმა და მეთოდმა პრინციპულ სიმაღლეზე აიყვანა აგურის წარმოების საქმე: პროდუქციის აღრიცხვიანობა, გამოსავლიანობა, ხარისხი, კოლექტივის შეკავშირება და სხვა. მისი ხელი ნაყოფიერად წაადგა ქარხნის კოლექტივს. მალე იგი დაწინაურეს ცემქარხნის დირექტორად.

მისანიშნებელია, ისიც, რომ ქარხნის ხელმძღვანელად დანიშვნისას არ ითვალისწინებდნენ ადგილობრივი კადრების შერჩევას, როგორც წესი, ყველა დირექტორი თბილისელი იყო და იქიდან ინიშნებოდა. სადღედამისო მუშაობის ციკლზე მომუშავე ქარხნისათვის კი ადგილზე დამაგრებული ხელმძღვანელი უფრო მეტად წაადგებოდა (მუშაობის) საერთო საქმეს. განა არ ჰყავდა კადრი კასპის რაიონს, რომელიც ერთ-ერთ სამრეწველო რაიონად ითვლება რესპუბლიკაში სამშენებლო მასალების წარმოებით? როგორ არა.

სეციალისტური წარმოების რომელ სფეროში, სად არ არის ნაკლოვანებები? მით უმეტეს, აგურის წარმოებაში.

„აგური ტლანქი წარმოებაა“ – ვკითხულობთ სახელმძღვანელოში, მაგრამ მისი წარმოება მოითხოვს ტექნიკოლოგიის ზუსტ დაცვას – დაწყებული თიხის მოპოვებიდან აგურის რეალიზაციის ჩათვლით.

იყო კი დაცული? უმეტეს შემთხვევაში არა.

როგორც დასაწყისში ითქვა (თიხის დამზადების ჩინურ მეთოდზე) კერამიკული წარმოებისათვის ტექნიკოლოგიის თანამიმდევრობითობის დაცვაა საჭირო, მუშაობის ყველა უბანზე. ფაქტიურად კი კვლავ და კვლავ უფრო მეტი ფურადლება იყო მიმართული ღუმელების ბოლოზე, აგურის დაცვაზე, სადაც აგურის გამოსხლის რაოდენობრივი მხარე აინტერესებდათ. ეს ტერმინი გავრცელებული იყო კიდეც ქარხანაში – „მარტო ღუმელის ბოლოში იყურებიან და ღუმელში რა შედის როგორი თიხის ალიზი, იმას არ კითხულობენ“. მართალია, მთლად

არც ასე იყო საქმე, მაგრამ ერთი კია, რომ მეტად ფასობდა გეგმა, აგურის გამოშვება!

როგორც ითქვა, ზემოდან დაჟინებული მოთხოვნების შესაბამისად იოღვეოდა ან არ სრულდებოდა წარმოების მართვის კომპლექსურ ღონისძიებათა სტრუქტურა. ტექნოლოგიის, კაპშეკეთების, კადრების მომზადების, ავტომატიზაციის დანერგვის, ხელით შრომის ხვედრითი წილის შემცირებისა და სხვა ღონისძიებანი.

ქარხნის უკუსვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კი გახლდათ ხელით შრომის მძიე პირობები. დიდი იყო მისი ხვედრითი წილი. ლენინგრადისა და მოსკოვის მოწინავე საწარმოებში დიდი ხანია დანერგილია შერალი წნევის წნევიდან ალიზის აღების ავტომატიური მეთოდი. ამის თაობაზე არაერთხელ დაისვა საკითხი, მაგრამ... ამ მნიშვნელოვან საქმეს საშველი არ დაადგა, ვინაიდან სამქროს რეკონსტრუქციას მოითხოვდა და ეს კი დიდ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. ვერავინ ბედავდა წარმოების ნაწილობრივ გაჩერებას, მაინც, რაც შემდგომში უფრო მომგებიანი იქნებოდა.

და მაინც, წარმოქმნილ სიძნელეთა მიუხედავად, კოშინატის კოლექტივი, მთელი წარმოება აღმასვლის გზით მიდიოდა, იზრდებოდა (ვითარდებოდა), ახალ-ახალ ზღუდეებს ეჭიდებოდა. თავისი შემოქმედებით შრომით საქართველოს შშრომელი ადამიანების უერსელში იდგა.

ვინ იუკირებდა მაშინ, რომ ჯერ კიდევ მზარდი, პერსპექტიული საწარმო ერთბაშად შეიკუმშებოდა და უკუსვლას დაიწყებდა; რომ ერთმანეთის გვერდით მდგომი ინჟინერი და მუშა, ტექნოლოგი და ხარატი, სამქროს უფროსი და ავტომატოლი, მექანიკატორე და გამომწვევლი და ა. შ. მომავალში დათმობენ აქტიურ პოზიციებს და ჩრდილში მოექცეოდნენ, რათა სანამ საქმე საქმეზე მიღებოდა, ჯერ კიდევ ჩვეულებრივ პირობებში შეგვიძლებოდა მიგვებეგვა მომავალი ყაჩალი, მარცველი, ხელმრუდე... და ჩენ ჩვენი გზა აგვერჩია.

როგორც ითქვა, აშურიანის ველზე 60-70-იანი წლების მეტების საშენ მასალათა კომბინატი და მისი მთლიანი ტერიტორია თანამედროვე იერსახეს ატარებდა და კვლავ სიახლის მიებაში იდგა. 100 მილიონი ცალი აგური და 100 ათასი კუბური მეტრი მცირე საკედლებლოები — ასეთი იყო დევიზი, სახვალით მიზანი. ახლა 90-იანი წლები და შემდგომი პერიოდი მისთვის სრულიად საწინააღმდეგო სახეს ღებულობს...

ცხოვრების ახლებური მართვის სტრუქტურაშ ბევრი პრობლემა წარმოაჩინა.

საქართველოს ისტორია სავსეა შინაური და გარეშე მტრებით. მატიანემ მათ თავიანთი სახელი შეარქვა. ნეტავი რა სახელი მოერგებოდა იმათ, ვინც თურქეთში დოლარის შოვნის ეშხით მომავალ სასიცოცხლო არტერიას უჭრის თავისივე გვერდში მომუშავეს, მეზობელს, ძმას, დედას, შვილს, თავის თავს და ელ. სადენის შოვნის წყურვილით ანადგურებს ელექტრო ძრავას, იღებს მიწაში ჩადებულ სადენს (კაბელს), ჭრის ხეს, ძარცვას დანადგარს, დაუოკებლად, მგლის მადიო ღრლინის ხალხის დოვლათს.

ნეტავი რა ხელმა მოხსნა წყალსაქაჩის ელექტრო ძრავა ან მისი მოწყობილობა, რომლის გამო აღარ იღწყვის და გადაიხრუკა ერთ დროს ბალნარად ქცეული აშურიანის ველზე გაშენებული უნიკალური ჯიშის ხენილი (600 ჰექტარი);

ფეხით, ავტო მანქანით ოუ მატარებლით რომ გაივლის აშურიანის ველზე ნუ თუ ვერ ხედავს და ისე დაბრმავდა და დაყრულდა, რომ არ ესმის ან ვერ ხედავს წყალმოწყურებულ ბაღ-ვენახებს? ვერ ამჩნევს დამჭკნარ სიმწვენეს?

ნუთუ ვერ გრძნობს, ვაშლი და ხილი რომ ორმაგად ძვირია და ისიც თურქეთიდან შემოდის? და მარტო ხილი? ბოსტნეული, პამიღორი, კიტრი, ხახვი...

— ნუთუ, ვერ ხედავენ დადუმებულ საწარმოებს, რომლებიც მათი ხელმრუდობით არიან გაჩერებული?

— ნუთუ, არ ესმით აშურიანის გამოძახილი? ჰაი, ჰაი, რომ გვესმის, მაგრამ... „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენი“ — უთქამს ბრძენს.

ვიომენთ, ვიომენთ და ველით ახალ მტლავრ გამოძახილს, ისეთს, რომ ვისაც მისწვდება მისი ხმა, უარყონ ხელმრუდობა, ავკაცობა, ერის ღალატი და ხელი მოკიდონ ბარს, თოხს, ნამგალს... აღამიანურ შრომას.

ხალხშია გავრცელებული აზრი, რომ აშურიანის ველზე, მეტეხთან მდგარ, საქართველოს დასაყრობად მოსული ოსების მეცე ბალათარს, საქართველოს მეფის — ვახტანგ გორგასლის მიერ ნატყორცნმა ისარმა მოუღო ბოლო.

ალბათ კიდევ გამოჩნდება ვახტანგისეული ისრები და ბოლოს მოუღებს იმათაც, ვინც არც თუ მოლად კარგად არიან შენილბულნი და კვლავ (სხვადასხვა ფორმით) ხელყოფენ ადამიანების შრომას, ხალხის სიმდიდრეს, საქართველოს ერთიანობას, მის მომავალს.

ასი წლის წინ, ერთ-ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობაზე ითქვა: „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“.

ასელა, საუკუნის შემდეგ, შეიძლება ითქვას: რანი ვართ ჩვენ – ბუნების მეგობრები და როგორ ვიბრძვით სახალხო დოკუმენტის, მარცველებისა და გამპარტაზებლების წინააღმდეგ?

თვითონ აგურის წარმოება? რესპუბლიკის პირმშო, ასმილიონიანი აგურის მწარმოებელი სდემს. ხოლო ერთდროს ბაღნარად ქცეული ქარხნისა და მუშათა დასახლების ტერიტორია გავერანდებულია (სხვას ვერაფერს დავარქმევ). საერთოდ, აგურის წარმოება დღეს უმოქმედოთა და თავისი შესაძლებლობის მინიმუმსაც ვერ ასრულებს. კიდევ კარგი, მისი ხელმძღვანელები იმაზე ფიქრობენ, რომ როგორმე შეუნარჩუნონ წარმოების იერ-სახე, კადრები, მუშახელი, სახელი მაინც და აღწევენ კიდეც. ამ საქმის ერთ-ერთი გულშემატკივარი და პატრონია ცემენტისა და აგურის წარმოების ღვაწლმოსილი ადამიანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ბატონი შალვა ყურუა.

ხოლო რაც შეეხება კულტმასიური მუშაობის კერას, კულტსახლს, ერთ დროს რომ ყვაოდა, ჩაჩუმებულია. ნეტავი, წარწერა „კულტსახლი“ „მაინც მოაცალონ (თუმცა თვითონაც ჩამოსცივა) და აღარ ჰქონდეს, ვინაიდან შეუძლებელია მისი შეხედვაც კი. შიგ შესვლას ხომ ნუღარ იტყვი. კარ-ფანჯრები ჩალეწილი და „გისოსებში“ ჩამჯდარი, ნაგვით სავსე შენობა და ტერიტორიალა მოჩანს. არც სპორტული მოედანი გამოიყურება სახარბიელოდ.

ერთხელ ქარხნის კარიურზე ექსკავატორის ელექტროავტომატი მოიშალა ელექტროზეინ კალმა რომ დაშალა და ვეღარ ააწყო, ნირწამხდარმა, შეცუნებით თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნეტა ისე მაინც ამაწყობინა, როგორიც დავშალე“. ეს ფრაზა დღესაც დაგორავს ქარხანაში.

მე მაინც იმ ელექტროზეინ კლის ძია ვანოს (ასე ვეძახით) სიტყვები მაგონდება:

– ნეტავი ისევ თუ დაუბრუნდება იერსახე აშურიანზე განლაგებულ საწარმოებს, მეტეხის საშენ მასალათა კომბინატს, მის შემოგარენს, როგორც იყო (აგური, ხომ, ყველა დროის საკედლე მასალაა). აშურიანზე მყოფ, მის მეზობელ წარმოება დაწესებულებებს, ავტოსატრანსპორტო კანტორას 2 670-ს, რომელიც ათასობით ტონა

ტვირთს ზიდავდა რესპუბლიკის მშენებლობაზე, საგზაო საქართველოს უბანი-45, საკოლმეურნეობათა შორისო სამშენებლო ორგანიზაცია, საქართველოს სამშენებლო ადამიანები.

კაცი იმედით ცოცხლობს.

— გვეშველება რამე? — კითხულობენ იქ მყოფი დაუსაქმებელი და უმუშევარი ადამიანები.

გვეშველება! გვეშველება!

კაცობრიობა ხვალინდელი დღის იმედით, მომავლის რწმენით, მრომობდა. გონიერებით, მოთმინებით შექმნა ცივილიზებული სამყარო და დღეს მრავალი ქვეყნის ადამიანთა დიდი ნაწილი ფუფუნებაში ცხოვრობს.

შორს არ არის ის დრო, როდესაც აშურიანის გამოძახილი საკეთილოდ მოეფინება ყველას და მთელი სვლით, კვლავ ახმაურდება საწარმოები, მშენებლობანი, რკინიგზა, ცენტრალიზებული ავტომანქანები. საქმიანად აფუსფუსდებიან მშრომელები, კვლავ განახლდება მშენებლობები მეტეხელ მეაგურეთა ნახელავით. გაშენდება ახალი ბალ-ვენახები, სკვერები, დასასკვნებელი სახლები...

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატის ცხოვრებაში ბევრი იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, საინტერესო ეპიზოდი, რომლის ასახვა ამ ეტაპზე ვერ მოვახდინე.

მე და კასპის გაზეთ „განთიადის“ რედაქციამ (ნაწილობრივ) შევეცადეთ „აშურიანის გამოძახილში“ მოკლედ გავვეშუქებინა აგურის წარმოების და მისი განვითარების ისტორია, რომელიც, საამისო პირველი ცდაა.

ისტორიის ამსახველი ამ მოკრძალებული ნარკვევის გამოქვეყნება მიზნად სულაც არ ისახავს ჩემთვის შემოსავლის, პრივილეგიის, კარიერის ძიების თუ სხვა რაიმე უპირატესობის მინიჭებას. ამაზე გაზეთ „განთიადმაც“ აღნიშნა დასაწყისში. პირიქით, ამ ქარხნის აქტიური მუშაობის პერიოდში ჩემი შეგნებული ცხოვრების 32 წელი ვიმოღვაწე, სათანადო ამაგიც მიმიძღვის და ახლაც თავი დაგივალდებულე, ამესახა ყოველივე.

მიზანი, რომელმაც გადამაწყვეტინა მეტეხელ მეაგურეთა საქმიანობის, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე მომეთხოვთ, ის არის, რომ არასოდეს აქამდე ეს არავის უცდია და ეს ნაკლი გამომესწორებინა.

როგორც ითქვა, რესპუბლიკის ბევრ რაიონს, უდიდეს ნაწილს

მეტეხელ მეაგურეთა ნახელავი ამშვენებს. წუ მიწყენს იმიროინდელი ხელმძღვანელობა და ისინიც, ვისაც აგურის წარმოების განვითარების პერსპექტივები ეხებოდათ, რომ ნაკლებს ზრუნავდნენ სამშენებლო აგურის წარმოების პოპულარიზაციისათვის, მისი შემოქმედი ადამიანების წარმოჩენისათვის, საქართველოს კერამიკული წარმოების ისტორიაში მშრალი წნევის მეთოდით სამშენებლო აგურის წარმოების განვითარებისათვის.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო გაზეთ „განთიადის“ რედაქტორს, ქალბატონ ნანა მერებაშვილს, ტექნიკურ რედაქტორს, რუსულან ხეჩიაშვილს, „განთიადელს“ ამირან ტალახაძეს, რედაქცია – სტამბის თანამშრომლებს, კასპის რაიარქივის მუშაკებსა და მის ხელმძღვანელს მაყვალა ტატუნაშვილს, კასპის რაიონის მხარეთმცოდნებობის მუზეუმის დირექტორს გიორგი ხორგაშვილს, მეტეხის ქარხნის ბუღალტერიას, საგეგმო და კადრების განყოფილებას, მეტეხელ ვეტერან მუშაკებს, გამომცემლობა „სკოლას“ – ყველას ამ ძნელბეჭობის ჟამს „აშურიანის გამოძახილის“ გამოქვეყნებაში ხელის შეწყობისა და დახმარებისათვის.

თუ კი მკითხველი ავტორის გულითად მონათხრობს მეტეხელ მეაგურეთა საქმიანობის შესახებ, რომელიც ასახულია „აშურიანის გამოძახილში, დადებითად შეაფასებს, მაშინ ჩავთვლი, რომ ჩემი მოკრძალებული ვალი აღმისრულებია და ბედნიერი უღრმეს მადლობას მივაგებ ყველას.

დღეს, როცა აწყო მტკიცნული მარწუხებით გვბოჭავს, ნაკლებად ფიქრობენ წარსულზე ჭავლ შემთხვევაში, მისი აღდგენის მცირე მომგებანი საქმიანობით აღარ ინტერესდებიან, ღვთის მაღლით ჩვენს გვერდით ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც საკუთარ სარგებელს არ გადაჰვებიან, ცხოვრებას აგრძელებენ და წარსულს არ აქცევენ ზურგს.

გივი გიორგის ძე ქალატოზიშვილი ჩვენა თანაქალაქელი. 1948 წლის ივნისიდან 32 წლის განმავლობაში მუშაობდა მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში ქრამიტის დამყალიბებლად, გამომწვევლად, წუნდებელ-კონტროლისრად, ცვლის უფროსად, საამქროს უფროსად, დირექტორის მოადგილედ. იყო მრავალი მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადაღების ავტორი. 1990 წელს გავიდა პენსიაზე. მას შემდეგ მისი მოგონებებით შეიქმნა ქვემოთ შემთავაზებული „აშურიანის გამოძახილი“.

გაზეთი „განთიადი“, № 4, 1975 წ.

თორითდე ხიტყვა „აშენიანის გამოძახილება“ და მის აკტორზე

„შენებაშია მშვენებაო“, – ბრძანა დიდმა გალაკტიონმა და აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტია, მთელ საქართველოში შენებასა და მშვენებას ემსახურება მეტენის აგურის ქარხანა, რომელსაც ერთხანს საშენ მასალათა კოშინატიც ერქვა. ამ ორი ათეული წლის წინათ, როცა დიდად გაიზარდა მოთხოვნილება საშენ მასალებზე, მათ შორის აგურზეც, – მას მხარში ამოუღა მეორე ქარხანა, კერამიკული აგურის ქარხანა რომ დაარქეს, უცხოური დანადგარებით რომ აღჭურვეს ბულგარელმავე ინჯინერ-საცეკილისტებმა, დიდ, თითქმის, ორმაგი სისქის აგურს რომ უშვებს, ეს კერამიკური აგურის ქარხანაც იმ იუბილარი, ძველი ქარხნის პირმშოა, იქაც უმთავრესად ძველ ქარხანაში აღზრდილი სპეციალისტები, ინჯინერ-ტექნიკური პერსონალი და იქ ნაწრობი მუშები ითფლებიან, რომელიც ორივე ქარხანასა და საერთოდ „შენების მშვენებას“ წარმოადგენს.

არ ვაჭარბებ, ამ იუბილარი ქარხნის „მშვენებას“ წარმოადგენს ამ წიგნის ავტორი – გივი კალატოზიშვილი, რომელიც ვონებ, თავადაც იუბილარად ითქმის – მალე შეუსრულდება 70 წელი. ქართლის ერთ-ერთი დიდი, ისტორიული სოფლის – მეტენის მკვიდრი, რიგითი მეოფელის შვილი ამ ქარხანაში მოვიდა სრულიად ახალგაზრდა, სისხლმაჭრიანობის უამს ჩაება ქარხნის მეოფელთა ფერხულში და თავისი ენერგიული და დაუცხროობელი სიცოცხლის დიდი ნაწილი სამ ათეულ წელზე მეტი ამ საწარმოს „შენებისა და მშვენების“ საქმეს შეახარჯა, ფიზიკურადაც მუშაობდა, ხელმძღვანელთა მარაქაშიც იყო გარეული, როგორც ცვლისა თუ საამქროს უფროსი, დირექტორის მოადგილე, ქარხნის პროფესიონის საქარხო კომიტეტის თუ პარტიული ბიუროს მდივანი, რასაკვირველია, უხელვასოდ. ყველა საქმეს ემსახურებოდა პატიონსნად და ენერგიულად, გამოირჩეოდა გონებრივი მოღვაწეობითაც, მისმა გამოგონებებმა და რაციონალიზატორულმა წინადადებებმა საგრძნობი ეფექტი მოახდინა ქარხნის შრომით ნაყოფიერებაზე.

და აი პენსიაზე გასვლის მერეც არ დამცხრალა გივი კალატოზიშვილის ენერგია და გონება, განიზრახა გამშობლიურებული ქარხნის ისტორიის დაწერა. ესოდენ საჭიროდ და აუცილებლად რომ სოველის უმრავლესობა, მაგრამ პრატეტიკულად თავს არავინ იწუხებს, ბატონმა გივიმ კი თავიც შეიწუხა და სხვაც ბევრი „შეაწუხა“, რომ წინასწარ მოემზადებინა სათანადო მასალები და როგორც ვხედავთ, დაწერა კიდეც, იუბილარი ქარხნის ისტორია მთლიანად, ამომწურავად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, მხოლოდ ქარხნით არ შემოზღუდულა მის გარეთაც გავიდა, ალაგ-ალაგ ჩაურთო ეპიზოდები თუ ადგილები თავისი მშობლიური სოფლის – მეტენის წარსულიდან, სოფლისა, რომლის გამოღმა, მტკვრის მარცხნა ნაპირას აიგო ჯერ პატარა საამქრო,

ალიზის დამყალიერებელი და აგურის გამომწველი, და მერე დიდ, საქართველოს მასშტაბის კომინატად იქცა. ამ ადგილს აშერიანის ველს ეძახიან და ავტორი ამ ტოპონიმსაც განმარტავს თავისებურად.

სწორედ აქ, აშერიანის ველზე იმიტომ აღმოცენდა აგურის ქარხანა გინდა კომინატი, რომ აქ სააგურე მასალა-თიხა საუკეთესოა მოელ საქართველოშიც.

მეტებელები ხუმრობენ ხოლმე: აქაური თიხა დედამიწის ზურგზე არსებულ თიხნარ ნიადაგთა შორის კველაზე უპირველესი – სუპერ თიხნაო, და ღმერთმა რომ თიხისაგან გამოიქრნა ჩვენი უპირველესი წინაპარი – ადამი, სული რომ შთაბერა და სულდგმულად, ადამიანად აქცია, მამასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი ადამიანიც აქ, მეტებში იშვაო, სწორედ იმ ადგილას, სადაც დღეს ეს ქარხანა მოქმედბოს. ეს, რასაკვირველია, ხუმრობით.

ხუმრობის გარეშე ვიტყვით, რომ ეს წიგნი დაწერილია ქარხნის ვეტერნის მიერ, საფურადლებოა და ღირებული უფრო იმით, რომ ღოკუმენტურ, ფაქტობრივი მასალების თავისი თვალით ნახულისა და მოგონებების, აგრეთვე თანავეტერანებისა და ამჟამად მომუშავეთა მონათხრობ-შეხსენების მიხედვით არის დაწერილი, გამოყენებულია საარქეოლო მასალებიც, მარტო ციფრობრივი მონაცემები რად ღირს, ავტორს ნუ მოვთხოვთ ნურც მწერლურ ოსტატობას, ნურც თუნდაც კომპოზიციის სიმაცრესა და სიტყვის ცხოველიწყოფელობას და სიგრძე-სიგანეს, ამაზე არც აქვს პრეტენზია, მოვთხოვთ ის, რაც უბრალო გონიერ ადამიანს, ქარხნის შრომით კოლექტივის ფერხულში ჩაბმულს, მისი შრომითი წარმატების თუ წარუმატებლობის თვითმხილველსა და უშუალო მონაწილეს მოეთხოვება, ამ მხრივ ავტორი, ვუიქრობ „გამოცდაზე არ ჩაიჭრება“. ეს წიგნი პირველი ცდაა ამ ქარხნის ისტორიის დაწერისა და, ბუნებრივია, სრულყოფილებას ვერ მოვთხოვთ და ვერც ნაკლოვანებებისაგან იქნება დაზღვეულია. ვიმედოვნებთ, ავტორი ამით არ დაკამაყოფილდება, გამოცემის მერცე არ მოეშვება, კიდევ ჩაუღრმავდება ქარხნის ისტორიას და გააგრძელებს მუშაობას წიგნის გამდიდრებისათვის. მერე სხვაც ამ ქარხანაში მომუშავე ვეტერანი თუ დღევანდელი მოლვაზე წაეშველება ბატონ გივის და თავის წვლილს შეიტანს ქარხნის უფრო სრულყოფილი ისტორიის დაწერაში, მთავარია, რომ ბატონმა გივიმ „ფამირი გატეხა“.

ღმერთმა ქას, სხვა ქარხანასა და საწარმოსაც გამოუჩნდეს ასეთი ენთუზიასტი, როგორიც გივი კალატოზიშვილია, თუნდაც უფრო აღმატებულიც.

და ბოლოს, ამ წიგნის შეძენითა და წაკითხვით დაინტერესებული მკითხველი არ ინახებს.

წამკითხველო, მადლობა უბოძე გივი კალატოზიშვილს საინტერესო ნაშრომ-ნაღვაწისათვის.

გიორგი ხორგუაშვილი

მწერალი, კასპის მხარეთმციდნების მუზეუმის დირექტორი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

სარჩევი

| | |
|---|-----|
| კურამიკის სიკეთე | 3 |
| გიგანტის ქონტურები | 5 |
| პირველები შრომით ვახტე | 10 |
| გიგანტის შენება | 15 |
| აშურიანული ნობათი | 24 |
| აღმშენებლობა | 37 |
| მოდიან ახალგაზრდები | 41 |
| სოციალურ-კულტურული მმენებლობა | 46 |
| თავბრუდამხვევი წარმატებები | 48 |
| ახალი ზღუდეები | 51 |
| 70-80-იანი წლები და შემდგომ | 54 |
| უგირგვინი გმირები | 60 |
| ცოტა რამ მხატვრულ თვითმოქმედებაზე | 66 |
| ახალი ქარხანა | 71 |
| ხელმძღვანელი | 74 |
| პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა | 76 |
| პროფორგანიზაცია | 83 |
| მოურნებები | 86 |
| აშურიანი - მეტეხი | 92 |
| ბოლოოქმა | 98 |
| *** ამონაბეჭდი გაზ. „განთიადიდან“ | 109 |
| გ.ხორგუაშვილი - ორიოდე სიტყვა „აშურიანის გამოძახილსა“ და მის ავტორზე | 110 |

აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „სკოლაში“



კომპიუტერული უზრუნველყოფა
ამირან ჭანტურია
ლია მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი
ლამარა დათაშვილი

კორექტორი
იზო ოთარაშვილი



გივი გიორგის ძე კალატოზიშვილი დაიბადა 1930 წელს კასპის რ-ნ სოფ. მეტეხში, მუშის ოჯახში. შრომითი საქმიანობა 11 წლისამ დაიწყო. 1948 წლიდან მუშაობს მეტეხის მშენებარე აგურის ქარხანაში დამხმარე მუშად. მუშაობდა კრამიტის დამყალიბებლად, აგურის გამომწველად, წუნმდებელ-

კონტროლიორად, ცელის უფროსად, სამქროს უფროსად, საწარმოო განყოფილების გამგედ, დირექტორის მოადგილედ, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ, პარტბიუროს მდივნად. დანერგილი აქვს მრავალი რაციონალიზაციული წინადადება.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ინდუსტრიული ტექნიკური, სკოლის ცენტრის არსებული უმაღლესი პატიული სკოლა, ხალხთა მეცნიერობის მოსკოვის კომპუტერული ინსტიტუტის ვაჭრობის ეკონომიკის ფაკულტეტის თბილისის ფილიალი. **ქართული კულტურული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი**. პედაგოგიკური უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი.

პედაგოგიკური უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი.